ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2017 წელი, 16 აპრილი, №7-8 (6445)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 60 თეთრი

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

აღდგომა ქრისტესი

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა! – ასე ესალმებიან ერთმანეთს ქრისტიანები აღდგომას. ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა უდიდესია ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის. ეს არის ცოდვაზე გამარჯვების ზეიმი. აღდგომას წინ უსწრებს სააღდგომო მარხვა, რომელიც 48 დღე გრძელდება და სულიერად გვამზადებს ამ უდიდეს დღესასწაულთან შესახვედრად.

აღდგომა მოძრავი დღესასწაულია. წელს მართლმადიდებლურ სამყაროში წამებული იესოს მკვდრეთით აღდგომას ქრისტიანები 16 აპრილს ულოცავენ ერთმანეთს.

იესოს ჯვარცმის შემდეგ ორმა დღემ გაიარა. მესამე დღეს კი უნდა აღსრულებულიყო ქრისტეს წინასწარმეტყველება: „მესამე დღეს მკვდრეთით აღვდგები“. კვირა დღეს, გამთენიისას საფლავის დარაჯებმა მიწისძვრა იგრძნეს. მერე ანგელოზი დაინახეს, რომელმაც საფლავიდან ლოდი გადააგორა. ბოლოს იხილეს მაცხოვრის საფლავიდან აღდგომა. შიშით თავზარი დაეცათ და როდესაც გონს მოეგნენ, გაიქცნენ.

ჯერ გათენებული არ იყო, როცა მარიამ მაგდალინელი, სალომე და სხვები საფლავთან მიდიოდნენ, რათა იესოს სხეულისთვის ნელსაცხებელი ეცხოთ, რაც დამარხვის დროს ვერ მოასწრეს. ქრისტეზე მგლოვიარე მარიამმა როცა დაინახა გადაგორებული ლოდი და ცარიელი საფლავი, იფიქრა, რომ ქრისტეს სხეული მტრებმა წაიღეს. დაიჩოქა და მწარედ ატირდა.

მაშინ ორი ანგელოზი იხილა. მათ მაგდალინელს ტირილის მიზეზი ჰკითხეს. მარიამმა უთხრა, რომ უფალზე ტიროდა. ეს რომ თქვა, უკან მკვდრეთით აღმდგარი უფალი იესო ქრისტე დაინახა. მარიამი ვერაფერს მიხვდა, ეგონა, მებაღეაო. მაშინ იესომ უწინდელი ხმით დაუძახა: „მარიამ!“ მარიამმა მაშინვე იცნო ხმაზე იესო. გაექანა, უნდოდა მუხლებზე მოჰხვეოდა, მაგრამ იესომ მას შეხების უფლება არ მისცა. გაგზავნა თავის ძმებთან და დააბარა, რომ ეთქვა: „აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქვენისა, ღვთისა ჩემისა და ღვთისა თქვენისა თანა“. მარიამმა სასწრაფოდ ახარა იესოს აღდგომა იოანე და პეტრე მოციქულებს. მათ მიირბინეს მაცხოვრის საფლავთან და ნახეს, რომ ის ტილო, რომელშიც მაცხოვრის სხეული იყო გახვეული, ცალკე იდო, ხოლო სუდარა – ცალკე. იოანემ დაიჯერა, პეტრეს კი უკვირდა ეს ამბავი.

იესო ქრისტე ორმოცი დღის განმავლობაში არაერთხელ გამოეცხადა მოწაფეებს. იგი მოციქულებს ღვთის სასუფეველზე ესაუბრებოდა. აჩვენა ჯვარცმიდან დარჩენილი წყლულები, რომლებიც სხეულზე ჰქონდა დარჩენილი და რამდენიმე სასწაული. ამის შემდეგ კი ქრისტეს აღდგომა მათაც იწამეს, რომელთაც ეს მანამდე არ სჯეროდათ. იესომ წმიდა სისხლით გამოგვისყიდა ცოდვისა და სიკვდილის მონებისგან.

აღდგომის დღესასწაულს მრავალი ტრადიცია უკავშირდება. მათ შორის არის კვერცხების წითლად შეღებვის ჩვეულება. ეს ტრადიცია წითელ პარასკევს, ანუ ქრისტეს ჯვარცმის დღეს უკავშირდება. როდესაც მარიამ მაგდალინელი იმპერატორს წარუდგინეს, მან ქვეყნის მმართველს სიმბოლურად კვერცხი გადასცა და ქრისტეს აღდგომა ახარა. იმპერატორს ამის გაგონებაზე გაეცინა და თქვა, რომ ამის დაჯერება ისეთივე რთული იქნებოდა, როგორც ის, რომ ეს კვერცხი გაწითლდებოდა. მას ჯერ სიტყვა არ დაესრულებინა და კვერცხი ჯერ გავარდისფრდა, ბოლოს კი გაწითლდა. მარიამმა იმპერატორს ისიც აუწყა, რომ კვერცხი სიცოცხლის სიმბოლოა, წითელი კვერცხი – მაცხოვრის აღდგომისა. ეს გახდა დასაბამი იმისა, რომ ქრისტიანებს უფლის აღდგომა ერთმანეთისთვის წითელი კვერცხებით მიელოცათ.

ლარნაკებში დათესილი ხორბალი და მწვანე ჯეჯილზე გაგორებული წითელი კვერცხები სიკვდილის ძლევის სიმბოლოა. სააღდგომო სუფრა მრავალფეროვანი უნდა იყოს. ამ დღისთვის გამომცხვარი პასქა მაცხოვარს გვახსენებს, რომელიც ამბობს: „მე ვარ პური ზეცით გარდამოსული“.

ქრისტე აღდგა!!!

ეკლესიურმა ცხოვრებამ, პირველ რიგში მომცა შინაგანი სულიერი სიმშვიდე და სწორად სავალი გზა

მართლმადიდებელი სამყარო 16 აპრილს აღნიშნავს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. რა თქმა უნდა, რომ საქართველოშიც ყოველთვის ზეიმით ხვდებიან ამ დღეს. წითლად შეღებილი კვერცხებიც ხომ ბავშვების სიხარულისა და ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის ერთ-ერთი სიმბოლოა. ამ დღესთან დაკავშირებით ინტერვიუ ვთხოვეთ ჩვენი რაიონის მკვიდრს, ერთ-ერთ აქტიურ მრევლს, პენსიონერ მასწავლებელს, ქალბატონ ირა სანაკოევას.

– ქალბატონო ირა, რამდენი წელია ხართ ყვარლის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მრევლი. ვიცი, რომ ხშირად გიხდებათ საეკლესიო წირვა-ლოცვებზე დასწრება. ოჯახში საქმეს რა გამოლევს, ეს ხომ არ გიშლით ხელს, საეკლესიო რიტუალებზე სულის სიმშვიდის მისაღებად რომ იაროთ?

– საპენსიო ასაკი რომ შემისრულდა, სამსახური დავტოვე და აბიტურიენტებს ვამეცადინებდი რუსულ წერაში, რადგან მაშინ ბევრ უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე რუსული წერაც ბარდებოდა. ორი წლის მუშაობის შემდეგ წნევამ დამარტყა და ძალიან ცუდად გავხდი. ჩემი შვილი ჩამოვიდა თბილისიდან, მამა ბენიამინს ჩემი თავი მოანათვლინა და თბილისში წამიყვანა. იქ მკურნალობის შედეგად უკეთესად რომ შევიქენი, დავიწყე სიონის ეკლესიაში სიარული (მაშინ წმიდა სამების ეკლესია ჯერ არ იყო აშენებული და პატრიარქი სიონის ეკლესიაში აღავლენდა წირვა-ლოცვებს). იქ ყოველ კვირას პატრიარქი თავზე ხელს მადებდა და ამან ძალიან დადებითად იმოქმედა ჩემს ჯანმრთელობაზე. გამოვკეთდი, ხუთი თვე დავრჩი თბილისში და ისევ შინ დავბრუნდი. აქ განვაგრძე ეკლესიაში სიარული, ვცხოვრობდი ეკლესიურად: ვეზიარებოდი ქრისტეს სისხლსა და ხორცს, ვკითხულობდი რელიგიურ ლიტერატურას, რომ ქრისტიანული ცხოვრება ღრმად შემესწავლა. ზოგჯერ იყო დროის უქონლობაც, ავადმყოფობაც, მაგრამ მას შემდეგ მე ყოველთვის ღმერთთან ვიყავი და ღმერთიც ყოველთვის ჩემთან იყო და მფარველობას არ მაკლებდა. ერთხელ დაცემისას ტვინის შერყევა მივიღე და რამდენიმე დღით ლოგინში წოლა მირჩიეს. მესამე ღამეს ჩაძინებულს მესმის: ალერსიანი ხმით ვიღაცა მეკითხება: „რაო, თავი გტკივა?“ გამიკვირდა, ასეთი ალერსიანი ხმით ჩემი შვილიშვილი მელაპარაკება ხოლმე, მაგრამ ის ახლა თბილისშია და ეს ვინ არის? თვალი ოდნავ გავახილე და ვხედავ ჩემს სანოლთან დგას თეთრ ქათქათა ბზინვარე სამოსელში ჩაცმული ახალგაზრდა ვაჟკაცი და კიდევ მეკითხება: „თავი გტკივა?“. თვალდახუჭულმა ვუპასუხე, რომ ძალინ მტკივა. მან ორივე ხელები მუშტად შეკრა, ჩემს თავთან მოიტანა და უცებ გაშალა თითები. ეს გაიმეორა სამჯერ. (მე ამას თვალდახუჭული ვხედავ). მესამედ რომ გაშალა, ჩემი თავიდან კლაკნილი ათი პატარა გველი გამოცურდა, უკანა ფანჯრისკენ გაცურდნენ და იქიდან გარეთ გავიდნენ. ამას ისიც უყურებდა და მეც. როცა ფანჯარაში გავიდნენ, მობრუნდა და მეკითხება: კიდევ გტკივა თავიო? მე თავი გავიქნიე-გამოვიქნიე და ძალიან უმნიშვნელო უსიამოვნებასღა ვგრძნობდი. ეს რომ ვუპასუხე, მან მითხრა: „ამას თქვენ თვითონ მოუვლითო“ და ჩემს თვალწინ გაქრა.

გაგრძელება მე-8 გვ. -ზე

გავაზის საჯარო სკოლა 130 წლისაა!

ყვარლის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის გავაზის საჯარო სკოლა ყოველთვის გამოირჩეოდა პედაგოგთა წარმატებული საქმიანობითა და მიღწეული შედეგებით, ხოლო ახალმა სკოლის შენობამ კიდევ უფრო აამაღლა მასწავლებელთა პასუხისმგებლობა, რაც მოსწავლეთა აკადემიურ მაჩვენებლებშია ასახული.

იმის გამო, რომ გავაზის სკოლას მიმდინარე წელს დაარსებიდან 130 წლისთავი შეუსრულდა გადავწყვიტე საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ლელა კაპანაძეს შევხვედროდი და რამოდენიმე კითხვით მიმემართა.

– ქალბატონო ლელა, ჩვენი საუბარი დავიწყოთ გავაზის საჯარო სკოლის ისტორიით. როდიდან იწყება სკოლის ფუნქციონირება და რა სირთულეები გამოიარა სკოლამ დღევანდლამდის?

– მოგესალმებით. მივესალმები ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და განსაკუთრებით, გაზეთ „ყვარლის“ მკითხველს.

ყველაფერი ის, რაც წარსულთან გვაკავშირებს, ჩვენი საგანძურია, ჩვენი კულტურაა და სწორედაც თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს

სსიპ-ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ გავაზის საჯარო სკოლას არსებობის ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჩვენ ხელთ არსებულ წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიმდინარე სასწავლო წელს გავაზის საჯარო სკოლა 130 წლის გახდა. ილია ჭავჭავაძემ სწორად ბრძანა – „ქვეყანა იმით კი არაა უძლური, რომ ღარიბია, არამედ იმით, თუკი მას გაუნათლებელი ახალგაზრდობა ჰყავს!“ ალბათ, მაშინდელმა ახალ გავაზის მოსახლეობამ სწორედ შესაბამისად დაიწყო ფიქრი სკოლის დაარსებაზე და მალევე, 1886 წლის 3 ივლისის გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა სტატია „ახლა გავაზში ცხოვრობს სამასამდე კომლი გლეხობა...ახალ გავაზს აქამდინ შკოლა არა ქონია, მაგრამ ახლა გამართეს და შემოდგომიდამ დაიწყობენ ყმაწვილები სიარულს“...

1886 წლიდან დღემდე გავაზის საჯარო სკოლამ ფიზიკურად შეიცვალა ოთხი სასკოლო შენობა. თავდაპირველად, როგორც ალბათ ყველგან, სკოლა გახსნილი იყო იმ პერიოდისათვის შედარებით შეძლებული ოჯახების ერთ-ერთ ოთახში და სწავლება სახლის პირობებში მიმდინარეობდა. მოგვიანებით, დღევანდელი სოფლის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე აიგო ორკლასიანი ხის შენობა.

გაგრძელება მე-9 გვ. -ზე

ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საყურადღებოდ!

27-28 და 29 აპრილს ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომათა დარბაზში მოხდება მყარი ნარჩენების ხუთწლიანი გეგმის განხილვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა და საჯარო სკოლების აღმზრდელ-მასწავლებლების, კერძო კომპანიების წარმომადგენლების მონაწილეობით. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პროექტის განხილვაში.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა

აღდგომა და სააღდგომო ტრადიციები საქართველოში

ქრისტიანთა უმთავრესი რელიგიური დღესასწაული – ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა, მიუხედავად იმისა, რომ მოძრავია, ყოველთვის გაზაფხულს ემთხვევა. საქართველოში აღდგომა განსაკუთრებული ზარზეიმით აღინიშნება. აღდგომა – უმთავრესი დღესასწაულია თორმეტ საუფლო დღესასწაულს შორის. ამ დღეს ქრისტე მკვდრეთით აღდგა და ადამიანები პირველქმნილი ცოდვისგან დაიხსნა. მხოლოდ ამის შემდეგ გაიღო ადამიანთათვის სამოთხის ბჭე. ადამის მოდგმის მხსნელად მოვლენილმა მაცხოვარმა გოლგოთას მთაზე ჯვართან ერთად კაცობრიობის ცოდვა ზიდა. ამ დღეს ღამის 00:00 საათიდან საქართველოს ყველა ეკლესიაში საზეიმო წირვა–ლოცვა იწყება, რომელიც დილამდე გრძელდება. ქრისტიანები ერთმანეთს სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების დღეს ულოცავენ სიტყვებით „ქრისტე აღდგა! – ჭეშმარიტად აღდგა!“ ამ დღეს ჩვენში ყველა ოჯახში სადღესასწაულო სუფრა იშლება და ყველა სახლის კარი ღიაა სტუმრისთვის. ადამიანები უდიდესი სიხარულით აღნიშნავენ მაცხოვრის აღდგომას. მომდევნო დღეს, ორშაბათს საქართველოში საფლავებზე გასვლა, გარდაცვლილების მოხსენიება და საფლავზე წითელი კვერცხების გადაგორებაა მიღებული. აღდგომის კვირისთავი, ანუ მომდევნო კვირა დღე, ხალხური რწმენით, ყველაზე ბედნიერად მიიჩნევა ჯვრისწერისთვის. ამ დღეს ყველა ოჯახში იშლება სადღესასწაულო სუფრა, რომელიც საქართველოში განსაკუთრებული სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მწვანე ჯეჯილზე დალაგებული აუცილებელი წითელი კვერცხებისა და პასკის გარდა მაგიდას ხორცისა და თევზისგან დამზადებული, სუნელებით შეკმაზული კერძები, სალათები, საწებლები, ხაჭაპურები, ლობიანები და უამრავი სხვა ნუგბარი ამშვენებს. სიცოცხლის სადიდებელი ამ დღეს საქართველოში წითელი ღვინით ისმება – ესეც ქრისტეს სისხლის სიმბოლოდ.

სააღდგომო პასკა, სააღდგომო ტრადიციები

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აღდგომა სხვადასხვანაირად აღინიშნებოდა. ამ ტრადიციათაგან ბევრი დღემდეა შემორჩენილი. მაგალითად, ყაზბეგში, სოფელ სნოში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია მეორის სამშობლოში ამ დღეს ახალგაზრდა ვაჟთა მშვილდ-ისრებიანი ჯგუფი იკრიბებოდა, რომელსაც სოფლისთვის პატივსაცემი უფროსი ასაკის მამაკაცი ხელმძღვანელობდა. ჯგუფი მთელ სოფელს მოივლიდა და აუცილებლად სოფლის მცხოვრებთა ყველა ეზოში შევიდოდა. ჭიშკართან ჯგუფის უფროსი ხმამაღლა იძახდა „ქრისტე აღდგა!“ რასაც ახალგაზრდები ჩვეული ქრისტიანული წესით ერთდროულად პასუხობდნენ – „ჭეშმარიტად!“ მოსულთ ოჯახის წევრებიც გამოეგებებოდნენ პასუხით „ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად! შეგეწიოთ იმისი მადლი თქვენცა და მთელს თქვენს ხევსა!“ ამის შემდეგ ოჯახის დიასახლისს შესაწირი გამოჰქონდა – წინასწარ შეღებილი სააღდგომო კვერცხი, რომელსაც ეზოს შუაგულში მწკრივად აწყობდნენ ოჯახის წევრთა სადღეგრძელოდ და ხმამაღლა იძახდნენ, ვის სახელზეც იდებოდა კვერცხი. პირველ შესაწირს მოხევეები ოჯახიდან შორს მყოფთათვის და მოგზაურთა სადღეგრძელოდ დებდნენ. მწკრივში დალაგებულ კვერცხს ახალგაზრდები, უფროსის მიერ დადგენილი რიგის მიხედვით, მონაცვლეობით ესროდნენ ისრებს, მანამ, სანამ ყველა მათგანს არ მოხვდებოდა ისარი. ბედნიერად ითვლებოდა ის, ვის სახელზე დადებული კვერცხიც პირველად გატყდებოდა. ხშირად შესაწირში კვერცხთან ერთად მოხევეები სხვადასხვა საჭმელს და ფულსაც დებდნენ. დღის ბოლოს მოგროვილით საერთო საზეიმო ტრაპეზი იმართებოდა, ფული კი აუცილებლად სოფლის სასარგებლო საქმეს ხმარდებოდა.

სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხის სააღდგომო ტრადიციები

ინგლისში ბავშვებს აღდგომა დილით ბალიშის ქვეშ „სააღდგომო ბოცვრის“ (ბოცვერი ინგლისელებისთვის ნაყოფიერების სიმბოლოა) მოტანილი საჩუქრები, ძირითადად ტკბილეული ხვდებათ. შემდეგ ბავშვები სააღდგომო კვერცხებს ეძებენ შინ, ეზოში და მეზობლებთანაც. ვინც მეტს იპოვის, პრიზი ერგება.

ინგლისში ასევე ამზადებენ სააღდგომო ნამცხვარს ქიშმიშითა და დაშაქრული ხილით, რომელიც ფერადი კვერცხებითა და სათამაშო წიწილებით არის მორთული. ლანკაშირში ადგილობრივები ერთმანეთს კვერცხების ბორცვიდან დაგორებაშიც ეჯიბრებიან. ვისი გაუტეხავი კვერცხიც ყველაზე ადრე ჩაგორდება ბორცვის ძირას, გამარჯვებულიც ის არის...

საფრანგეთში სააღდგომოდ ხეებს რთავენ. ფრანგები მიირთმევენ ღვინოს, კვერცხის კერძს და ზანზალაკს აჟღარუნებენ. ზანზალაკებს ამაგრებენ ტანსაცმელზე, კარზე, ავტომობილებზე და უწყვეტი კაკაფონიის გამო მთელი ქვეყანა „მუსიკალურ ზარდახშას“ ემსგავსება. ბავშვები დილიდან ეზოებში, შუშის გროვაში ეძებენ ტკბილეულსა და შოკოლადის კვერცხებს. მშობლები კი ბავშვებისთვის საჩუქრებს შინ მალავენ. ყველაზე სასურველი ფრთიანი შოკოლადის ზანზალაკის პოვნაა.

გერმანიაში პარასკევი და შაბათ-კვირა უქმეა. ტრადიციის თანახმად, გერმანელები დიდ კოცონს აჩაღებენ, ახალგაზრდები კი აღდგომის მისალოცად კარდაკარ სიმღერით დადიან და ტკბილეულს აგროვებენ. ოჯახის უფროსი აღდგომა დილით საჩუქრებს ბალახში ჩამალულ კალათებში აწყობს, რომლებსაც ოჯახის წევრები ერთად ეძებენ.

გერმანელების მთავარი სააღდგომო კერძი შემწვარი თევზია. ამზადებენ სხვადასხვა ფორმის უამრავ ნამცხვარს.

სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს ნარცისების თაიგულიც, რომელსაც გერმანელები „სააღდგომო ზანზალაკებს“ უწოდებენ. კვერცხების სიმაგრეს კი ასე ამოწმებენ: მიწაზე ორი ღარი გაჰყავთ და კვერცხებს შესაჯახებლად ღარებში აგორებენ.

შვედეთში სახლებს ტრადიციულად ყვითელი, მწვანე და თეთრი ფერის ყვავილებითა და ხელოვნური, ფერადფრთიანი ყვითელი წინლებით რთავენ. სააღდგომო კვერცხებს კი მუყაოსგან ამზადებენ, რომელშიც ლამაზად შეფუთული კანფეტია მოთავსებული.

ჩეხეთში სააღდგომოდ აუცილებლად აცხობენ „იდაშის“ – ყულფის ფორმის მქონე ნამცხვარს, რომლითაც „იუდამ თავი ჩამოიხრჩო“. ძველი ტრადიციით, „იდაშის“ თაფლს უსვამენ, რათა წლის განმავლობაში ადამიანი გველმა არ დაკბინოს. ჩეხებს სუფრაზე აუცილებლად აქვთ ბისკვიტის „ცხვარიც“.

პოლონელები ლამაზად გაფორმებულ საზეიმო სუფრას ძეხვის ასორტით ავსებენ, აუცილებელია ე.წ. თეთრი ძეხვი, რომელიც ღორის ხორცით, ნივრითა და მუსკატით არის მომზადებული. უფლის აღდგომის სიმბოლოდ სუფრის ცენტრში აუცილებლად ბისკვიტის კრავი დგას. აცხობენ ასევე სააღდგომო ნამცხვარს, „მაზურეკს“ – ნიგვზით, ნუშით, ჩირითა და მურაბით.

ეკლესიაში წასვლისას „საკურთხ კალათაში“ აუცილებლად დებენ „წარმატების 7 სიმბოლოს“: პურს, მარილს, კვერცხს, ყველს, შებოლილ ხორცს, ნამცხვარსა და პირშუშხას.

იტალიელები სააღდგომო სუფრისთვის ამზადებენ ბატკანს, ხაჭოიან პიცას. აცხობენ მტრედის ფორმის პასქას და ნუშით ფარავენ. გენუელები კი ამზადებენ ისპანახის ფენოვან ნამცხვარს – „ტორტა პასქუალინას“, რომელიც 33 ფენისგან შედგება – იესოს ცხოვრების წლების შესაბამისად...

ავსტრალიაში განსაკუთრებით პოპულარულია შოკოლადის ან შაქრისგან დამზადებული სხვადასხვა ზომის სააღდგომო კვერცხი. სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს შემწვარი ცხვრის ხორცი და ტრადიციული სააღდგომო ბეზეს ტორტი კივით, მარწყვით, ანანასითა და მანდარინით მორთული.

ბერძნები აღდგომას ძალიან სერიოზულად ეკიდებიან. სუფრაზე თავდაპირველად მიირთმევენ ცხვრის ხორცითა და კვერცხით დამზადებულ და ლიმონით შეზავებულ წვნიან „მაიერიცას“. ასევე აცხობენ ტკბილ პურს – „ჩურეკს“, რომელსაც წითელი კვერცხებით რთავენ, ხოლო დესერტად ნიგვზიან ნამცხვარს – „ბაქლავას“ აყოლებენ...

ბულგარეთში ტრადიციული ბატკნის კერძის – „დროხსარმას“ გარდა, სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს ბოსტნეულის სალათა, წითელი ღვინო და ტკბილი ნამცხვარი – „კოზუნაკი“, ანუ პასქა, რომელიც ბევრი ვანილით არის შეზავებული. სუფრასთან პირველად ბავშვები სხდებიან.

ბზობა-ბაიობა საქართველოში

ბზობა იგივე ბაიობა ათთორმეტ ქრისტიანულ დღესასწაულს განეკუთვნება. ბზობა მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლის აღსანიშნავად იდღესასწაულება, როდესაც იესო ქრისტეს იერუსალიმში ხალხი პალმების რტოებით, ფეხქვეშ გაგებული სამოსითა და მადიდებელი შეძახილებით – ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა – შეეგება. იმ კუთხეებში თუ ქრისტიანულ ქვეყნებში, სადაც პალმა არ ხარობს, ადგილობრივ დადგენილი ტრადიციის მიხედვით სადღესასწაულოდ ის მცენარე იხმარება, რომელიც გაზაფხულზე ამ დროს იქ ხარობს.

ბზობა-ბაიობა, როგორც ეს საეკლესიო კალენდრის მიხედვითაა დადგენილი, აღდგომის წინა კვირას მთელ საქართველოში იდღესასწაულება.

დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიციების შესახებ გვესაუბრება ნინო ღამბაშიძე (ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი):

„სვანეთის ყველა სოფელში ბზობის საღამოს გოგონები უკაცრიელ სახლში იკრიბებოდნენ და მღეროდნენ ე.წ. ლიგლოვი – კრირიელოს (კირიე ელეისონს): „ქრისტე! მიუტევე ცოდვები ჩემ გარდაცვლილს (დაასახელებდნენ) და დღეგრძელი და ყველა საქმეში წარმატებული ამყოფე ჩემი ნათესავი (დაასახელებდნენ) და ოჯახის წევრი (დაასახელებდნენ)“. თითოეული გოგონა ჩამოყვებოდა და მოიხსენიებდა თავის მიცვალებულებს და ცოცხლებს, დანარჩენები კი მასთან ერთად იმეორებდნენ. გარეშეს, ვისაც ლიგლოვაშში მისიანების მოხსენიება ენდომებოდა, როგორც ცოცხლების ასევე მიცვალებულების, მომღერლებისთვის კაკალი ან მარილის ნატეხი უნდა მიეცა, თითქოსდა იმის გამო, რომ მაცხოვარს მათი ლოცვები შეესმინა. გოგონები ვნების კვირაში, ოთხშაბათ-პარასკევის გარდა, ამ წესს სიმღერის გარეშე ასრულებდნენ. ხალხის რწმენით ამ დღეებში არ ვარგოდა სიმღერა.

სვანეთში ბზობის საღამოდან მთელი მომდევნო კვირის ანუ ვნების კვირის განმავლობაში ლიროკინალი ანუ ბოროტი ძალის განდევნა იწყებოდა. ბზობა საღამოს ყველა ოჯახის უფროსს ტყიდან ეკალი მოჰქონდა, რომლის ტოტებს კარის ქვეშ, ყველა ფანჯარასა და ნახვრეტში დებდა, რათა სახლში ბოროტი ძალა არ შესულიყო. ლიროკინალის წესი ამგვარად სრულდებოდა: ოჯახის უფროსი ხელში იღებდა პატარა ნაჯახს, დანარჩენი ბავშვები და მამაკაცები მუგუზალს და გამორბოდნენ გარეთ, თან იძახდნენ: „ფუი! უწმინდურო ძალაო, დაგეწვათ ფრთები! შეგიცნობთ და გამოგარჩევთ ისევე, როგორც შავ ცხვრებს თეთრებისაგან. თქვენ შესახებ ხსოვნა თორმეტი მთის იქით. წმინდა გიორგის ბეჭდით ხართ დაბეჭდილები; ლითონის იარაღით ხართ დაჭდევებულები. აიღეთ კბილებით ქვის ფილა, ჩვენთან კი ჯვრისა ძალაა! ქვიშისა და ქვის ფილის გარდა სხვა არავითარი საჭმელი არ გქონდეთ!“ ამის შემდეგ ოჯახის უფროსი ნაჯახის ყუას ურტყამდა ქვას და ამბობდა: „დაე აქციეთ ქვად თქვენი მომავალი!“ დანარჩენებიც იმავეს იმეორებდნენ და აკეთებდნენ. ბოროტი ძალების განდევნის ამ წესს ყველა ოჯახი ვნების ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს ასრულებდა.

რაჭა-ლეჩხუმში ეს დღე უქმე იყო. მიდიოდნენ ეკლესიაში და იქიდან მოჰქონდათ ბზა. სახლში მოტანილ ბზას თავზე შემოივლებდნენ და ნაკვერჩხლებზე დადებდნენ. თუ აბრიალდებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ბზის პატრონი დიდხანს იცოცხლებდა, თუ მალე ჩაქრებოდა – ცოტა ხანს (ლეჩხუმი). რაჭაში ცეცხლში ჩაგდებული ბზა თუ ცეცხლის ალში ორჯერ ან სამჯერ წაღმა დატრიალდებოდა, ეს კარგი წელიწადის მომასწავებელი იყო, თუ უკუღმა – ცუდის.

სამეგრელოში ბზობა-ბაიობას ბაიას ყვავილს, რომელიც ფერის გამო ხალხისთვის მზესთან იყო ასოცირებული, სახლში, იატაკზე წრიულად დააფენდნენ და ზედ კვერცხებს გადააგორებდნენ. ამ კვერცხებს სააღდგომოდ აუცილებლად შეღებავდნენ. ბზობას ამზადებდნენ ფხალეულს, რომელშიც ბაიას ყვავილს აუცილებლად გაურევდნენ. სწამდათ, რომ ფხალეულის შეჭმის შემდეგ მთელი წლის განმავლობაში ენერგიით სავსენი იქნებოდნენ. ბზობისთვის ასევე უნდა ეჭამათ თევზი. ეკლესიაში კურთხევის შემდეგ ბზა სახლში მოჰქონდათ. მას მიცვალებულსაც უდებდნენ საფლავზე და ერთმანეთსაც ჩუქნიდნენ. ზოგან მამაკაცები იკრიბებოდენ და ბზებით ეკლესიას სიმღერით გარს უვლიდნენ. ისინი ბზას ეკლესიაში მისულ ხალხს ჩუქნიდნენ.

მესხეთში ბზობას ქალებს მინდვრიდან თოვლი მოჰქონდათ და გზაში ჭამდნენ, შინ კი ოჯახის წევრებს და საქონელს გადააყრიდნენ, თან ამბობდნენ: „ბზო, ბზო, ბუზებო, აქაურობას მოშორდით“. ხალხს სწამდა, რომ ამ წესის შესრულების შემდეგ ბუზები მათ აღარ შეაწუხებდნენ.

ქართლში მღვდელი ტყიდან მოტანილ ბზას აკურთხებდა და ხალხს დაურიგებდა. ხალხი ამ დღეს თევზს ჭამდა. მიცვალებულებისთვის ზურგიელს აკეთებდნენ. ვისაც ახალი მიცვალებული ჰყავდა, დიდ ორაგულს მოხარშავდა და ეკლესიაში წაიღებდა. თუ ბზას ბევრი მარცვალი ჰქონდა, „დაპურებული“ იყო და ხალხის რწმენით პურის თავთავი კარგად დაისხამდა. იცოდნენ სანთლის დანთება. ქართლში წირვა-ლოცვაზე სიარულს ბზობიდან იწყებდნენ (ე.ი. დადიოდნენ ყოველდღე), ოთხშაბათიდან კი „დაიუქმებდნენ“. ქართლში ვნების ოთხშაბათს ბზობის ოთხშაბათსაც ეძახდნენ.

კახეთში ბზობას ხალხი ეკლესიაში მიდიოდა. ბზა ზეთისცხების შემდეგ მოჰქონდათ სახლში. აქაც თვლიდნენ, რომ თუ ბზას ბევრი მარცვალი ჰქონდა, პურის უხვი მოსავალი ექნებოდათ, თუ არა და პირიქით. ბზობას კახეთში მიცვალებულებისთვის წანდილს ხარშავდნენ, აკეთებდნენ ზურგიელს. კახეთში სწამდათ, რომ თუ ზურგიელს არ შეჭამდნენ, მათი მიცვალებულები საიქიოში წყალს ვერ დალევდნენ. მათ წყალთან არ მიუშვებდნენ. ეკლესიიდან ბზა რომ მოჰქონდათ, ერთმანეთს დაარტყამდნენ, თან გაულექსდავდნენ:

„აჰა, ყვაო ბზა,
ეგერიოს გზა,
მიტრიალდი, მოტრიალდი,
გაოხრდი და გატრიალდი“.

ხალხი ცდილობდა მთელი დღის განმავლობაში ყვავი არ დაენახა: ყვავი წიწილას აღარ შეჭამსო. ხალხში ასეთი გამოთქმა არსებობს: „ბზობის ყვავივით გაქრაო“, რაც ვისმეს ერთბაშად გაუჩინარებას ნიშნავს. მთელი ზამთრის განმავლობაში ყვავი სარჩოს საძებნელად სოფელს დასტრიალებს. ხალხის დაკვირვებით გაზაფხულზე, რომლის დადგომასაც იგი ბზობას უკავშირებდა, ყვავები სოფლის მახლობელ ტყეებში მიფრინავენ, სადაც საკვებს უხვად პოულობენ, ბზობის შემდეგ კი სოფელში იშვიათად ჩანან.

კახეთში ბზობას საქმის კეთება იცოდნენ, – ყველაფერი ბარაქიანი იქნებაო. უფრო თესავდნენ: სიმინდს, ლობიოს, კიტრს – ბზასავით დაისხამო. კახელებმა კარგად იცოდნენ, რომ ხარება და ბზობა შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს, შესაძლოა, ხარება წინ უსწრებდეს ბზობას, ან პირიქით. იმ შემთხვევაში, თუ ხარებობა ბზობას მოსდევს, ხალხის თქმით თევზით არ ხსნილდება, რაც საეკლესიო ტიპიკონს სრულად შეესაბამება.

გუდამაყარში ბზას ბავშვებს თავში უკეთებდნენ, ყვავები დაიმალებიანო. ზოგი ბზას კვერცხებზე ცვლიდა.

ბზობას ხევში ბზობა-კაზარობას ეძახდნენ. მოხევეები ამ დღეს უქმობდნენ, ეკლესიაში წირვა-ლოცვას ესწრებოდნენ, ეზიარებოდნენ და მღვდელი მათ ბზით ნაკურთხ წყალს ასხამდა. ხევში ბზის მაგივრობას ტირიფი ასრულებდ.

მთელ ფშავ-ხევსურეთში მხოლოდ სოფელ მაღაროსკარში არის ბზა. ამ სოფელში იყო პატარა კოშკი – წმ. გიორგის სალოცავი. გადმოცემის მიხედვით, რადგანაც ქრისტიანულ ეკლესიას ბზა სჭირდებოდა და ფშავ-ხევსურეთში იგი არ იყო, ქრისტიანობის განსამტკიცებლად თამარ მეფეს წმ. გიორგის ნიშთან ეს მცენარე გაუშენებია. ამ ადგილს ბზიანას ეძახიან. აქვე ქრისტიანული ეკლესიაც მდგარა. თავდაპირველად მცირე ტერიტორიაზე დარგული ბზა დროთა განმავლობაში დიდ ფართობს მოსდებია. ხატი ბზიანაში პირუტყვის შეყვანას კრძალავდა. ვისი პირუტყვიც ბზიანაში შევიდოდა, ხატი მას დაამიზეზებდა, ანუ ავად გახდიდა, ან საქონელს უზარალებდა, ან სხვა რაიმეს შეამთხვევდა. დაზარალებული მივიდოდა მკითხავთან, რომელიც ერთი საკლავისა და სანთელ-საწირის მიტანას დაავალებდა. ფშავში ბზობა მათურის მთავარანგელოზის ხატში იცოდნენ. მიცვალებულის პატრონს ეკლესიაში თევზი მიჰქონდა და იქ მყოფებს უმასპინძლდებოდა. ხატში არც საჭმელის მიტანა იცოდნენ და არც სასმელის. ხევისბერი მლოცველის მიერ მიტანილ სანთელს ჩამოქნიდა, დაანთებდა, ილოცებდა ხატის ყმებისთვის, რის შემდეგაც მლოცველი შინ ბრუნდებოდა“.

9 აპრილი – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე

1985 წელს საბჭოთა კავშირში გარდაქმნის კურსი გამოცხადდა, რომელიც დანგრევის პირას მისული სსრკ-ს მოდერნიზაციისთვის მოიგონეს „დემოკრატიის მამებმა“, გამოიწვია საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ძალადობით შეყვანილ სახელმწიფოებში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობების აღმავლობა. ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ ყველაზე დიდი მასშტაბები მიიღო საქართველოში, ჩამოყალიბება იწყეს სხვადასხვა პარტიებმა და პოლიტიკურმა ოროგანიზაციებმა, რომელსაც მაშინ არაფორმალურ გაერთიანებებს უწოდებდნენ. გაჩნდა იმედი დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და საქართველოს გათავისუფლებისა, რომელსაც ყოველთვის სათუთად, გულში ინახავდა ქართველი კაცი.

ეროვნული მოძრაობა, რომელსაც სათავეში ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ედგნენ, განსაკუთრებით მძლავრი ხდება 1988 წლიდან. ქართველი მამულიშვილების ძალისხმევით ეწყობოდა მიტინგები და საპროტესტო აქციები საბჭოთა ხელისუფლების დიქტატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. 1989 წლის 4 აპრილს საქართველოს ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლის და დამოუკიდებლობის აღდგენის ლოზუნგი წამოაყენეს. მიტინგის მონაწილეთა ერთმა ჯგუფმა დაიწყო პოლიტიკური შიმშილობა.

ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური მოთხოვნები კომუნისტური ხელისუფლებისათვის იმდენად მიუღებელი იყო, რომ მთავრობასა და ეროვნულ მოძრაობას შორის მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა გადამჭრელი ზომები მიეღო და ძირშივე აღეკვეთა ეროვნული მოძრაობის გაძლიერება. 1989 წლის 8 აპრილს, კრემლის დავალებით, საქართველოს რესპუბლიკური აქტივის სხდომაზე მხარი დაუჭირეს მომიტინგეთა წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღების წინადადებას. იმავე დღეს გამოქვეყნდა სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება, რომლის თანახმადაც მკაცრდებოდა მიტინგებისა და დემონსტრაციების აღკვეთის პირობები. ეს ბრძანებულება უშუალოდ თბილისის მოვლენების აღკვეთის მიზნით მიიღეს. ყოველივე ამით შეიქმნა მიტინგის დარბევის „იურიდიული“ საფუძველი.

9 აპრილის დილისათვის მიტინგის დასაშლელად გამოყენებული იქნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილები. მოსკოვიდან თვითმფრინავებით გადმოისროლეს საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების ასობით ჯარისკაცი გენერალ ეფიმოვის მეთაურობით. მიტინგის დაშლის ოპერაციას უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი იგორ როდიონოვი. დილის 4 საათზე დამსჯელმა ნაწილებმა მომიტინგეებს ყველა მხრიდან შემოარტყეს ალყა. ისინი შეიარაღებული იყვნენ ხელკეტებით, ორლესული მახვილებითა და მომწამვლელი გაზით.

სამხედრო ჯავშანმანქანების კოლონა, რამდენიმე ასეული ჯარისკაცის თანხლებით, იერიშით შეიჭრა მთავრობის სასახლის წინა მოედანზე და შეუბრალებლად დაუწყო ჩეხვა მომიტინგეებსა და მოშიმშილეებს, რომელთა უმრავლესობა ქალები იყვნენ. სადამსჯელო ჯარებმა, რომელსაც გენერალი ი. როდიონოვი ხელმძღვანელობდა, ქართველი მამულიშვილების აქცია სისხლში ჩაახშო. საბჭოთა კავშირის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც ეროვნული მოძრაობა 9 აპრილის სისხლიანი მოვლენების ორგანიზატორად თვლის, დაუსჯელი დატოვეს. საბჭოთა არმიის სადამსჯელო ნაწილებმა გაუგონარი სისასტიკით დაშალეს მშვიდობიანი მიტინგი, რის შედეგადაც მოედანზე დარჩა 19 მოკლული ადამიანის, აქედან 16 ქალის (მათ შორის, ერთი ორსულის) გვამი. 2000-ზე მეტი ადამიანი გაზით მოიწამლა, მრავალი კი დაიჭრა. 9 აპრილს უღმერთო-კომუნისტურმა სადამსჯელო შენაერთებმა ადამიანების მოსაწამლად გამოიყენეს მანამდე უცნობი ქიმიური შემადგენლობის მომწამვლელი გაზი, რომლის გამოყენებაც აკრძალული იყო საერთაშორისო კონვენციით.

9 აპრილის სისხლიანმა მოვლენებმა კიდევ უფრო გააძლიერა ეროვნული მოძრაობა, კიდევ უფრო შეუპოვარი გახადა ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. და აი, 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობას მიეცა საშუალება, აერჩია ეროვნული ხელისუფლება, რომელმაც 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

საქართველოს უახლეს ისტორიაში 9 აპრილი შევიდა როგორც დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. ამ დღეს ქართველი ერის ზეიმს სევდაც დაჰკრავს. ეს დღე 1989 წლის 9 აპრილს მთავრობის სასახლესთან საბჭოთა არმიის ნაწილების მიერ სასანგრე ნიჩბებით აჩეხილი ქართველების ხსოვნის დღე არის.

საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება და 9 აპრილი, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ გამოაცხადა!

ნუში, როგორც სასარგებლო და საოჯახო ხე-მცხენარე

სხვა კულტურათა შორის ნუშის (Prunus dulcis) კულტურა ქართულ, უძველეს ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია ჯერ კიდევ ჩ.წ.აღრიცხვამდე სამი ათასი წლის წინ, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, ოდითგანვე არსებულ განსაკუთრებულ დაინტერესებაზე ამ კულტურისადმი, რომელიც განპირობებულია ნუშის ნაყოფების სასაქონლო – სამეურნეო და კვებითი ღირებულებებით. კულტურის მოხმარების ფართო სპექტრი და გავრცელების შეზღუდული არეალი კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ამ კულტურისადმი ინტერესს.

ნუშის კულტურა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4 ათასი წლის წინ ფინიკიელების წყაროებში არის აღწერილი, როგორც „მაგიდის დამამშვენებელი“ ხილი. პირველად ევროპის ქვეყნებს შორის ნუში საბერძნეთში შეიტანეს აზიის ქვეყნებიდან. ბერძენი მეცნიერი ატენეა აღნიშნავდა, რომ „იუპიტერის რკო და მბრწყინავი ნუში ჩვენთან შემოჰქონდათ მცირე აზიის ჩრდილოეთი ნაწილის მცხოვრებლებს – პაფლაგონელებს“.

ნუშის შეტანა საბერძნეთში უკავშირდება ისტორიამდელ ხანას, რასაც ადასტურებს ფესალიაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად ხეხილოვანი კულტურებიდან აღმოჩენილი მწარე ნუში. ძველ ათინელებს კი ნუშის ხე, როგორც ყველაზე ადრე მოყვავილე მცენარე, მიჩნეული ჰქონდათ ნაყოფიერების სიმბოლოდ და სხვა „მცენარეულ და ცხოველურ ღმერთთა“ შორის ნუშის ხესაც აღმერთებდნენ. ამავე პერიოდში, ვინაიდან ნუშზე მოთხოვნილება ძალიან გაიზარდა, იგი გავრცელდა ალჟირში, ტუნისში, მაროკოში, ხოლო მე-9 საუკუნეში ნუშის კულტურა, როგორც „აღმოსავლეთის კაკლის ხე“, ცნობილი გახდა ბრიტანელებისთვის.

მისი წარმოშობის ზუსტი ადგილი უცნობია, ევროპელები კი მის გაცნობას არაბებს უნდა უმადლოდნენ. მე-13 საუკუნეში იტალიელმა მოგზაურმა მარკო პოლომ ნუში ცენტრალური აზიის ტრამალებზე შეამჩნია. მას შემდეგ სამეფო კაკალი მოგზაურთა ძირითად საკვებად იქცა. მრავალ ქვეყანაში ნუში წარმატების, სიყვარულისა და ბედნიერების მომტან კულტურად ითვლება, ამიტომაც განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება საქორწილო, ნათლობისა თუ რელიგიურ ცერემონიებზე. მაგალითად, ინგლისში არსებობს ნუშის ჩამორიგების ტრადიცია – ქორწილში სტუმრებს ურიგებენ ხუთ ცალ ნუშს – ეგრეთ წოდებულ პატარძლის საჩუქარს, რომლებიც სიმბოლურად ჯანმრთელობას, სიმდიდრეს, სიუხვეს, ბედნიერებასა და დღეგრძელობას განასახიერებს.

ნუშის კულტურა ამჟამად სამრეწველო ბაღების სახით გავრცელებულია სამხრეთ ესპანეთში, პორტუგალიაში, იტალიაში, საბერძნეთში და ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე – კორსიკაზე, სარდინიაში, სიცილიაზე, კიპროსზე, კრეტოსზე, საბერძნეთის არქიპელაგის კუნძულებზე და ამერიკაში კი – კალიფორნიაში.

საქართველოში ნუშის კულტურა ფართოდ ყოფილა გავრცელებული ძირითადად, სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს მთისწინეთში, როგორც საოჯახო ხე-მცენარე, რომელიც თითქმის ყველა ეზოში ჰქონდათ დარგული. ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ სხვა ხილთან ერთად ნუშიც არის მოხსენიებული: „ხოლო ხილი წალკოტთა მრავალნი, ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთის ხილი, ბროწეული, ყურძენი, ვაშლატამი, ყაისი, ჭერამი, ალუჩა, ტყემალი, ნუში, უნაბი, თუთა, ხართუთა, ბუსტუღი (ფსტა), ქლიავი მრავალგვარი, ლეღვი. . .“

მე-13 საუკუნეში „წიგნი სააქიმოის“ ფურცლებზე, სხვადასხვა სახის მრავალი დაავადების საწინააღმდეგო წამლის გვერდით, დასახელებულია როგორც თვით ნუში, ასევე მისი ზეთიც. მაგალითად, თირკმლის ტკივილის, ყურის დაავადების, შარდსადენი გზების, კანისა და სხვა დაავადებების მკურნალობისთვის.

ნუში ეკუთვნის ვარდყვავილოვანთა ოჯახს და ტყემლისებრთა ქვეოჯახს. ნუშის გვარში გაერთიანებულია 40-ზე მეტი სახეობა.

ნუშის ხის სიმაღლე 10 მეტრამდე აღწევს. მისი ფოთლები ძლიერ წააგავს ატმისას. ფოთოლი მოკლე ლანცეტისებრია. ყუნწი მოკლეა, ფოთლის ფუძესთან აქვს 2-4 ჯირკვალი. ვარჯი სხვადასხვაგვარია, მეტწილად არასწორი, ხანდახან განიერპირამიდული.

ნაყოფი ჩვეულებრივი კურკაა, მოთავსებულია მწვანე ან ღია შეფერვის შებუსვილ ნაყოფგარემოში, რომელიც ნაყოფის სიმწიფის პერიოდში იხსნება ნაწიბურის მხრიდან და ნაყოფი თავისუფლდება მისგან. იმ ნაყოფს, რომელიც ვერ ასწრებს დამწიფებას ნაყოფგარემო შედარებით თხელი უვითარდება და სრული სიმწიფის დროსაც კურკას არ სცილდება.

ნაყოფი სხვადასხვა ფორმისაა, მეტწილად მრგვალი, კონუსისებური ან ოვალური. მსხვილი და ბლაგვი წკვერტით. ნაჭუჭი სხვადასხვა სისქისა და სიმკვრივისაა, რომელშიც მოთავსებულია გული, რომელიც დაფარულია ღია-მოყავისფრო კანით.

ნუშის გული მოგრძო-მომრგვალოა და თეთრი ფერისაა. გემოს მიხედვით განასხვავებენ: ტკბილ და მწარე ნუშებს. საინტერესოა ნუშის გარეული სახეობა, ქართული ნაგალა ნუში – Amygdalus georgica, რომელიც საქართველოს სხვადასხვა მხარეშია გავრცელებული, იგი გვხვდება ტირიფონაზე, ნადარბაზევის ქედზე, სამგორისა და უდაბნოს ველზე. ხევებში და ფერდობებზე.

ნუში, სხვა კაკლოვან კულტურებთან შედარებით, უფრო მეტ სითბოს მოითხოვს და მეტი სიმშრალის ამტანია. იგი ფართოდაა გავრცელებული და გამოიყენება როგორც ნედლ ხილად, ისე საკონდიტრო მრეწველობაში და მედიცინაშიც. განსაკუთრებით ძვირფასია ნუშის ზეთი, რომელსაც მრავალმხრივი გამოყენება აქვს. ნუში ტიპიური სამხრეთის კულტურაა. მის სამშობლოდ წინა და შუა აზიას თვლიან. ბევრი მკვლევარი მის სამშობლოდ კავკასიას ასახელებს. უფრო გვიან ის გავრცელდა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში.

ნუშის ხე ივითარებს ძლიერ ფესვთა სისტემას, ზრდასრული ხის ფესვი დაახლოებით 5-7 მეტრამდე ჩადის ნიადაგში. ფესვის განვითარების ასეთი სიღრმე ნუშს საშუალებას აძლევს გამოიყენოს საკვები ელემენტების და წყლის ის უმცირესი მარაგიც კი, რომელიც სხვა ხეხილისათვის შესაძლოა მიუწვდომელი იყოს.

ეს ფაქტორი ასევე მნიშვნელოვნად განაპირობებს კულტურის გვალვაგამძლეობას. თუმცა მიუხედავად ამ თვისებისა, საწარმოო დანიშნულებით ნუშის წარმოებისას აუცილებელია მისი უზრუნველყოფა ნოყიერი და კარგად დრენირებული ნიადაგებით. ნუში კარგად ვითარდება კირით მდიდარ ნიადაგებზე, ასევე კარგად ვითარდება მცირედ დამლაშებულ ნიადაგებზეც.

ნუში განსაკუთრებით მგრძნობიარეა ტენისადმი. იგი თანაბრად ვერ იტანს როგორც ჰაერის, ასევე ნიადაგის მაღალ ტენიანობას. ამ დროს ის შეიძლება დაავადდეს ფესვის ყელის სიდამპლით ან ფომოზით.

ნუშის კიდევ ერთ თავისებურებას წარმოადგენს მისი ძლიერი ადრეული ყვავილობა, რაც დაკავშირებულია მისი მოკლე ბუნებრივი შესვენების პერიოდთან. ყვავილობის დაწყება, ისევე როგორც ყველა სხვა ხეხილოვანი კულტურის შემთხვევაში, დამოკიდებულია შინაგან და გარეგან ფაქტორებზე.

ყვავილობისთვის ხელსაყრელი კლიმატური პირობების დადგომის შედეგად ყოფილა შემთხვევები, როდესაც ნუში ჩვენში აყვავებულა შუა ზამთარშიც. რადგან მისი ყვავილობა ხშირ შემთხვევაში დაბალი ტემპერატურის პირობებში მიმდინარეობს, ყვაილობის პერიოდიც გახანგრძლივებულია და საშუალოდ 12-15 დღე გრძელდება. ამიტომაც ნუში ითვლება შედარებით ყინვაგამძლე მცენარედ, რადგან მას შეუძლია დაუზიანებლად გადაიტანოს ტემპერატურის ხანმოკლე დაწევა -22, -25 გრადუსამდე.

საყვავილე კვირტების დიფერენციაცია ნუშის ხეში ხდება წინა წლის ზაფხულში, დაახლოებით 1-1.5 თვით ადრე ნაყოფის დამწიფებამდე. იგი საყვავილე კვირტებს ისხავს მრავალწლიან სანაყოფე თაიგულებზე, მრავალწლიანი სანაყოფე და ერთწლიანი შერეული სახის ტოტებზე.

ნუშის ჯიშების დიდი უმეტესობა თვითსტერილებია და ჯვარედინ დამტვერიანებას მოითხოვენ.

ნაყოფის გამონასკვიდან მომწიფებამდე საჭიროა დაახლოებით 100-200 დღე. ნუშის თესლნერგები მსხმოიარობაში შედიან 4-5 წლიდან, ხოლო ნამყენები მე-3 წლიდან. დაახლოებით 15 წლიანი ნუშის ხე, ნორმალური განვითარების შემთხვევაში სრულმსხმოიარეა, მაგრამ ეს პერიოდი დიდხანს არ გრძელდება.

30-40 წლის ხეები იწყებენ მოსავლის კლებას და 50-60 წლის შემდეგ თითქმის უნაყოფონი რჩებიან. ეს პერიოდი გაცილებით ადრე უდგება, თუ მას, როგორც სიმშრალის, სითბოსა და განსაკუთრებით სინათლისმოყვარულ ხეხილოვან კულტურას, რომელიმე ამ ფაქტორთაგანი არ ყოფნის.

ამასთანავე, საქართველოში, განსაკუთრებით კახეთში ვხვდებით 100 და მეტწლიან ნუშის ხეებს. ზღვის დონიდან სამრეწველო მნიშვნელობით ნუში ვრცელდება დაახლოებით 700-750 მეტრამდე, თუმცა ამაზე მაღალ ადგილებში იგი საკმაოდ კარგად გრძნობს თავს და მოსავალსაც იძლევა.

ნუში ფართოდ გამოიყენება როგორც კვებით ასევე ფარმაკოლოგიურ მრეწველობაში.

ნუშს სამეფო კაკალსაც უწოდებენ – თავდაპირველად ის განსაკუთრებული მოწონებით სამეფო კარზე სარგებლობდა და ზეპური საზოგადოების ნუგბარად ითვლებოდა. ეგვიპტელები ნუშს უმატებდნენ ფქვილს, რომლისგანაც ფარაონისთვის განკუთვნილ პურს აცხობდნენ.

ყოველგვარი კაკალი ცილებისა და მინერალების (რკინა, თუთია, მაგნიუმი) წყაროა, ნუშის გული კი, ამასთან ერთად, მდიდარია E ვიტამინით, რომელიც წარმოადგენს ბუნებრივ ანტიოქსიდანტს, ხელს უშლის გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და სიმსივნურ დაავადებათა განვითარებას. ნუში კალციუმისა და B ჯგუფის ვიტამინების წყაროც არის, შეიცავს შაქარს, გლიკოზიდ ამიგდალინს, ფერმენტ ემულსინს და ცხიმებს. ნუშის გულს აქვს დამარბილებელი, შემომგარსველი, ტკივილგამაყუჩებელი და კრუნჩხვის საწინააღმდეგო მოქმედება. შუაზიურ მედიცინაში შაქარში არეულ დანაყილ ნუშს წარმატებით იყენებენ სისხლნაკლებობისა და ასთმის, ხველის, უძილობის, თავის ტკივილის, ხელ-ფეხის დაბუჟების სამკურნალოდ. კლასიკურ მედიცინაში ნუშის ემულსია, როგორც შემომგარსველი, დამარბილებელი და ტკივილგამაყუჩებელი საშუალება, ინიშნება კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს. ნუშის ზეთისგან ამზადებენ მალამოებს. გარდა ამისა, ის ნაზი საფაღარათო საშუალებაც არის და ნუშის რძესთან ერთად კოსმეტოლოგიაშიც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ნუშის ზეთი

ნუშის ზეთს ორი სახეობის – ტკბილი და მწარე – ნუშისგან ხდიან. ის წარმოადგენს სასიამოვნო გემოს მქონე მოყვითალო ფერის გამჭვირვალე უსუნო სითხეს. მაღალი კონცენტრაციით შეიცავს ფიტოსტეროლს, ამიგდალინს,ტოკოსტეროლს, ტრიოლეინს, ლინოლეინის მჟავას გლიცერიდს და სხვა მნიშვნელოვან ნივთიერებებს. ნუშის ზეთი მდიდარია E ვიტამინით, რომელიც აფერხებს უჯრედთა დაბერებას, აცხრობს კანის ანთებით პროცესებს და F ვიტამინით, რომელიც ხელს უწყობს ცხიმოვანი ჯირკვლების ფუნქციის ნორმალიზებას, ხელს უშლის ფორების გაფართოებას, უნარჩუნებს თმას ელასტიკურობასა და ბზინვარებას. ნუშის ზეთი არეგულირებს კანში წყლისა და ლიპიდების ცვლას, ეპიდერმული ბარიერის განვლადობას, აქტიურებს უჯრედთა რეგენერაციის პროცესს. საუკეთესო საშუალებაა მასაჟისათვის. გამოიყენება როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვა ზეთებთან კომბინირებულად ცელულიტის სამკურნალოდ. კარგად შეიწოვება კანიდან, აქვს ანთების საწინააღმდეგო, რეგენერაციული და მატონიზებელი მოქმედება, ამშვიდებს, კვებავს და ატენიანებს კანს. რეკომენდებულია მგრძნობიარე და მშრალი კანის გასანმენდად, ნაწოლების სამკურნალოდ, მშრალი თმის მოსავლელად. მისი რეგულარული შეზელა აუმჯობესებს თმის სტრუქტურას, აჯანსაღებს და ბზინვარებას მატებს მას. ეფექტურია ნაოჭების (განსაკუთრებით – თვალის ირგვლივ არსებულთა) საწინააღმდეგოდ. კარგია თერმული დამწვრობის, კანის მიკროტრავმების სამკურნალოდაც.

მაინც რისთვის არის ნუში სასარგებლო?

30 გრ ნუშში ზუსტად იმდენი ცილაა, რამდენიც 30გრ ხორცში. ნუში შეიცავს ორგანიზმისთვის აუცილებელ ნივთიერებებს: კალცს, მაგნიუმს, მარგანეცსა და ფოსფორს, ასევე ფერმენტებს, რომელიც კუჭ-ნაწლავს ფუნქციონირებაში ეხმარება. აღსანიშნავია, რომ ნუშში B და E ვიტამინებიც შედის, გლიკოზიდების ამიგდალინი კი მას მომწარო გემოსა და სპეციფიკურ სურნელს ანიჭებს.

ნუში სისხლის უჯრედებს კვებავს და ასევე წმენდავს მას. სახალხო მედიცინაში ნუში გამოიყენება ღვიძლის სამკურნალოდ. ის ყველა ორგანოს ასუფთავებს და კენჭჭების ან მარილების წარმოქმნას უშლის ხელს. გიუმჯობესებთ მხედველობას, მკერდსა და ყელს კიბოსგან იცავს.

ნუში გამოიყენება ასთმისა და პლევრიტის პრევენციისთვის. ეს მცენარე კუჭის და შარდი ბუშტის წყლულისგან გაგათავისუფლებთ.

იტალიელმა მეცნიერებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომელმაც აჩვენა: ნუში ვირუსის საწინააღმდეგოდ წამალზე უკეთესია. ის იმუნიტეტს აძლიერებს.

ნუში კანს ელასტიურობას ანიჭებს, თმას კი ბზინვარებას, სწორედ ამიტომ კოსმეტიკაში აქტიურად გამოიყენება.

ნუში ჯანმრთელობისთვის ძალზე სასარგებლო რომ იყო, ძველადაც სცოდნიათ. მის მაკურნებელ ძალას თვით ავიცენაც კი აღიარებდა: „ნუში აძლიერებს ტვინის მოქმედებას, აუმჯობესებს მხედველობას, არბილებს ორგანიზმს, აშუშებს ჭრილობებს, წყლულებს...“

ნუშის სამკურნალოდ გამოყენება დღემდე არ შეუწყვეტიათ. მედიცინაში უმთავრესად მის მწარე ჯიშებს იყენებენ, რომლებიც ცხიმოვან მჟავებთან, ცილებს და შაქართან ერთად ამიგდალინის გლიკოზიდსაც შეიცავს. სწორედ ის ანიჭებს ნუშს მომწარო გემოს და ძალზე ტოქსიკურიც არის. წინასწარი დამუშავების გარეშე მწარე ნუშის ჭამა არ შეიძლება, 50 ცალის ჩაკნატუნება კი სიკვდილის ტოლფასია!

გარდა ამისა, ნუში მდიდარია ვიტამინებით (განსაკუთრებით – E ვიტამინით, რომელიც ეფექტური ანტიოქსიდანტია) და მინერალური ნივთიერებებით (რკინით, კალციუმით, თუთიით, მაგნიუმით...).

ნუში რომ უაღრესად სასარგებლოა, თანამედროვე მედიცინაც აღიარებს. ის არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას, აუმჯობესებს მხედველობას, ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და კიბოს განვითარების რისკს, აშუშებს გაღიზიანებულ ლორწოვან გარსს (ეფექტურია ანგინის, სტომატიტის დროს) და ასტიმულირებს კუჭში სასარგებლო ბაქტერიების გამომუშავებას, რომლებიც საჭმლის მონელებაში მონაწილეობენ.

ნუში განსაკუთრებით სასარგებლოა კანისთვის, ამიტომ მისი ზეთი მრავალი კოსმეტიკური საშუალების შემადგენლობაში შედის.

ნუშის ზეთს სხეულის მოსავლელად ათასობით წელია იყენებენ, თუმცა მისი უნიკალური შემადგენლობა სულ ათიოდე წლის წინ გაშიფრეს. აღმოჩნდა, რომ ნუშის ზეთი მდიდარია: B ჯგუფის, A, E და F ვიტამინებით, უჯერი ცხიმოვანი მჟავებით, ცილებით, მინერალებით, გლუკოზით, ემულსინით (ფერმენტია), ლეციტინით, მრთიმლავი ნივთიერებებით.

ნუშის ზეთში შემავალი F ვიტამინი, რომელსაც ანტიოქსიდანტური (თავისუფალი რადიკალების შემბოჭავ) თვისებები აქვს, ხელს უშლის უჯრედების დაბერებას, აცხრობს ანთებით პროცესს, გარდა ამისა, აუმჯობესებს ცხიმოვანი ჯირკვლების ფუნქციას, ხელს უშლის ფორების გაფართოებას, ასტიმულირებს თმის ზრდას, ანიჭებს მას მოქნილობას და ბზინვარებას.

ოლეინის მჟავა (ამ უნიკალური ნივთიერების შემცველობა ნუშში 82%-ია) ზრდის კანის შეღწევადობას, ხელს უწყობს ქსოვილში ნივთიერების თანაბარ განაწილებას, ამიტომ იოლად შეიწოვება და ეფექტურად კურნავს კანს.

ნუშის ზეთზე დამზადებული კოსმეტიკური საშუალებები იდეალურია მგრძნობიარე, გამომშრალი და გაუხეშებული კანისთვის, რადგან ეფექტურად ატენიანებს კანის ქსოვილს, აცხრობს გაღიზიანებას, სიწითლეს, გამონაყარს, ამავე დროს საუკეთესო მკვებავია ტონუსდაკარგული, მოდუნებული კანისთვის და, რაც მთავარია, ეფექტურად ებრძვის ნაოჭებს, რაც ზეთის აღმდგენი თვისებების დამსახურებაა: ნუშის ზეთში შემავალი ნივთიერებები გამომშრალი, სიცოცხლედაკარგული უჯრედების ჩამოფცქვნას და ახლების გამრავლებას უწყობს ხელს.

ნუშის ზეთი თოთო კანისთვისაც მარგებელია: ხსნის გაღიზიანებას, აქრობს ანთებას, არბილებს და კვებავს კანის ქსოვილს. ამიტომაც არის, რომ უხვად ამატებენ ბავშვის კანის მოსავლელ საშუალებებს.

ნუშის ზეთის ნიღბები

● დასველებულ და საგულდაგულოდ განურულ ბამბის ქსოვილის ხელსახოცზე დაასხით 20-25 მლ ნუშის ზეთი, დაიფინეთ სახესა და კისერზე, ზემოდან კი პირსახოცი გადაიფარეთ. გაიჩერეთ 20-30 წუთი. ამ ნიღბის გაკეთებას თვეში 1-2-ჯერ გირჩევთ. ის განსაკუთრებით სასარგებლოა ასაკოვანი, დეკორატიული კოსმეტიკით გაღიზიანებული კანისთვის.

● 2-3 ს. კ. შვრიის ფქვილს დაასხით ცხელი წყალი – იმდენი, რომ არაჟნისმაგვარი მასა მიიღოთ. დაამატეთ 5-10 მლ ნუშის ზეთი, 2-3 წვეთი ლიმონის, ვარდის, სანდალოზის ფორთოხლის, პაჩულისა და ვარდის ხის ეთერზეთები.

ნუში პრობლემური კანისთვის

● თუ გაუხეშებული, მოდუნებული კანი გაქვთ, 1 ს. კ. ნუშის ზეთს დაამატეთ თითო წვეთი ლიმეტის, ვარდისა და სანდალოზის ეთერზეთები და სახეზე გადაისვით. შეგიძლიათ შეურიოთ იმავე ოდენობის ლავანდის, ვარდის, ლიმონისა და კვიპაროსის ეთერზეთები.

● ჰერპესული გამონაყარის გასაქრობად ნუშის ზეთს დაამატეთ იმავე მოცულობის ლავანდის, ილანგ-ილანგის, გვირილის ან ჩაის ხის ზეთი. ამ ნარევით გამონაყარი დღეში 4-5-ჯერ დაიმუშავეთ.

● თუ კანი დაგეწვათ (თუნდაც გარუჯვისას), გადაისვით მხოლოდ ნუშის ზეთი ან ნუშისა და ხორბლის ღივის ზეთების ნარევი (1:1). შეგიძლიათ, 1 ს. კ. ნუშის ზეთს დაამატოთ 2-3 წვეთი ლიმონის, გრეიპფრუტის, ვარდის ეთერზეთები.

ნუში ცელულიტისთვის

აიღეთ 1 ს. კ. ნუშის ზეთი, დაამატეთ 1-2 წვეთი ფორთოხლის, მანდარინის, პაჩულის, კამის, გრეიპფრუტის ეთერზეთები და შეიზილეთ სხეულის პრობლემურ (ბორცვაკებიან) უბნებზე.

ნუში თმისთვის

● თუ ცხიმიანი თმა გაქვთ, შეიზილეთ თმაში ნუშის ზეთი დაბანამდე რამდენიმე წუთით ადრე და თანაბრად გაანაწილეთ თმის მთელ სიგრძეზე – დაიწვეთეთ ძირებზე და ჩამოივარცხნეთ. მეტი ეფექტისთვის 1 ს. კ. ნუშის ზეთს 2-2 წვეთი ბერგამოტისა და ლიმონის ან კვიპაროსისა და კედრის ეთერზეთები დაამატეთ.

● მშრალი თმის შემთხვევაში კი გირჩევთ, ნუშის ზეთი დაბანის შემდეგ შეიზილოთ. შეგიძლიათ, 10 მლ ზეთს 5-5 წვეთი ილანგ-ილანგისა და ფორთოხლის ან მანდარინისა და სანდალოზის ეთერზეთები დაამატოთ.

● ქერტლის დროს შეიზილეთ თმაში 2 ს. კ. (სასურველია, ეთერზეთებდამატებული) ნუშის ზეთი, გაიჩერეთ 15-60 წუთი და შემდეგ ჩამოიბანეთ.

მოამზადა ია გიგიაშვილმა

აგროპერლიტის გამოყენება – მებოსტნეობა, მებაღეობა, მეყვავილეობა

ბოლო წლების განმავლობაში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მისაღებად, უფრო და უფრო ხშირად გამოიყენება ნიადაგის ბუნებრივი სუბსტრატები და ტორფის ყველა შესაძლო სახეობა, როგორც „სუფთა სახით“, ასევე ნარევი სახით ქვიშასთან, ვერმიკულიტთან, პერლიტთან, მინერალურ ბამბასთან. ნიადაგის ბუნებრივი სუბსტრატების მისაღებად დიდი უპირატესობა ენიჭება აგროპერლიტს.

აგროპერლიტი – ეკოლოგიურად სუფთა მასალა, მარცვლის ზომა 1-5 მმ, ნაყრითი სიმკვრივე 90-130 კგ, ტენიანობა არა უმეტეს 5% – მიიღება ვულკანური წარმოშობის პერლიტის ნედლეულისაგან.

პერლიტი – ეკოლოგიურად სუფთა, ფხვიერი, ფოროვანი, რბილი, მსუბუქი, მტკიცე და გამძლე მასალაა. ცეცხლგამძლეობა: გამოყენების ტემპერატურა – მინუს 200-დან +900°C-მდე.

ახასიათებს შესანიშნავი თბოსაიზოლაციო და ბგერათსაიზოლაციო თვისება, აქვს მაღალი აბსორბაციის უნარი: შეიწოვს საკუთარი წონის 400%-ზე მეტი სითხეს, რომელსაც უსაფრთხოდ ინახავს და ნელ-ნელა აბრუნებს ტენს მცენარეების ფესვებში.

ბიოლოგიურად მდგრადობა: არ ექვემდებარება მიკროორგანიზმების მიერ დაშლასა და განადგურებას, არ წარმოადგენს მღრღნელებისა და ქვეწარმავლებისთვის მიმზიდველ გარემოს. ქიმიურად ინერტული: ნეიტრალურია ტუტეებისა და მსუბუქი მჟავების მოქმედებისას, სტერილურია, არატოქსიკური, არ შეიცავს მძიმე მეტალებს, pH – 7.0, ორთქლგაუმტარია და ახშობს ხმაურს 55 დეციბელამდე.

აგროპერლიტი გამოიყენება:

- ნიადაგში ტენიანობის შესანარჩუნებლად, რაც საშუალებას იძლევა ნაკვეთზე მიწა კვირაში ერთხელ მოირწყას;
- როგორც ნიადაგის სუბსტრატის საფუძველი სასათბურე მეურნეობებში, ფიტოტრონებსა და კლიმატურ საკნებში;
- როგორც ხილ-ბოსტნეულის ჩითილის გამოსაყვანი სუბსტრატი;
- როგორც ნიადაგის შემადგენელი კომპონენტი ღია გრუნტებზე ხილ-ბოსტნეულის მოსაყვანად;
- როგორც სუბსტრატის ბაზა სათბურებში კულტურების ჰიდროპონიკური მეთოდით მოსაყვანად;
- ნიადაგის სუბსტრატის მოსამზადებლად ხილისა და კენკროვანი კულტურების დაფესვიანებისათვის;
- როგორც კომპონენტი ხილისა და კენკროვანი კულტურების ნერგების კონტეინერებში მოსაყვანად;
- როგორც სტრუქტურანარმომშობი კომპონენტი ნიადაგის მომზადებისას ღია გრუნტებზე ინტენსიური კულტურების მოსაყვანად;
- სანერგე ხვრელების მოსამზადებლად ტყის მასივების გაშენებისთვის;
- საქოთნე კულტურების მოსაყვანად, ოთახის მცენარეებისა და ყვავილების მოსაშენებლად;
- როგორც სტერილური და ბიომდგრადი შესაფუთი მასალა ხილ-ბოსტეულის ნერგების, ჩითილების, კალმებისა და ბოლქვების შენახვა-ტრანსპორტირებისთვის;
- გაზონების, ჩოგბურთის კორტების, გოლფის მინდვრების მოსაწყობად, ასევე ნებისმიერი სპორტული მოედნის ბალახის საფარით უზრუნველსაყოფად;

ბოსტნეულის მოყვანის მთლიანი ციკლის დროს, აგროპერლიტი უზრუნველყოფს შესანიშნავ სანიაღვრე სისტემას და ამავე დროს ინარჩუნებს საჭირო ტენიანობას. არ მაგრდება და არ ლბება, ამცირებს ფესვების დანაკარგს ჩითილების და ნერგების ნიადაგიდან ამოღებისას, რადგან ის ეკვრის ფესვებს.

აგროპერლიტი მეყვავილეობაში – ეს არის ძალიან სტერილური გარემო და ნარევების დანამატი. აგროპერლიტი აკუმულირებს წყალს საკვებ ნივთიერებებთან ერთად და შემდეგ ამარაგებს მცენარის ფესვებს, ანუ მორწყვის დროს საკვები ნივთიერებები არ ირეცხება და რჩება აგროპერლიტის მარცვლებში, რითიც შემდგომში იკვებება მცენარე.

აგროპერლიტი – ეს არის ტენიანობის ბუნებრივი დამგროვებელი, რომელიც

აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას და ქმნის წყლისა და ჰაერის მოძრაობის უნაკლო სისტემას.

აგროპერლიტი – ეს არის თესლის დაჩქარებული აღმოცენება გრუნტში გადარგვამდე (ტენიან პერლიტში დათესვის შემთხვევაში); ეს არის მცენარეთა დაცვა (განსაკუთრებით ფესვების) ტემპერატურის მნიშვნელოვანი ცვლილებებისაგან გაზაფხულზე და ზამთარში ღია გრუნტებზე; ნიადაგის გამაფხვიერებელი საჭირო ტენიანობის შესანარჩუნებლად.

აგროპერლიტის გამოყენება უზრუნველყოფს:

- წყლისა და ჰაერის იდეალურ ბალანსს და ნიადაგის გაუმჯობესებულ სტრუქტურას;
- ნიადაგის ჰაერდამჭერი შესაძლებლობების გაზრდას და აუცილებელ სანიაღვრე გარემოს;
- ნიადაგზე ტემპერატურის ყოველდღიური ცვლილების გავლენის შემცირებას;
- დანაკარგების შემცირებას როგორც ზედმეტი ტენიანობისას, ასევე ტენის ნაკლებობის დროს;
- ნიადაგის ზედაპირზე ქერქის წარმოშობის თავიდან აცილებას;
- ნიადაგის დატკეპვნის პრევენციას;
- მცენარეების ფესვთა სისტემის თანაბრად განაწილებას;
- პროდუქციის ღირებულების შემცირებას მოსავლის 10-20% ზრდის ხარჯზე.

აგროპერლიტი ფართოდ გამოიყენება პომიდვრის მოყვანისას. ამ შემთხვევაში, რთული შემადგენლობის გრუნტი უნდა აკმაყოფილებდეს სხვადასხვა მოთხოვნებს: იგი უნდა ხასიათდებოდეს მაღალი ფორიანობით (65-75%), შემცირებული წყლის მოცულობით (45-50%), ჰაერის მოცულობით – 20-25%, სიმკვრივე – 0,4-0,6 გ/სმ3.

აქედან გამომდინარე, ნიადაგში შეჰყავთ ის კომპონენტები, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი ფორიანობით და წყალგამტარობით. როგორც წესი, კომპონენტები სათბურის გრუნტში შეაქვთ შემდეგი თანაფარდობით: აგროპერლიტი 20-30%, ტორფი – 50-60%, კომპოსტი – 20-30%.

ტრადიციულად, ბოსტნეულის მოსაყვანად სათბურებში იყენებდნენ მინერალურ ბამბას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მინერალური ბამბის კუბურები გაცილებით მეტ წყალს აკავებენ, ვიდრე სხვა რომელიმე უფრო ფოროვანი სუბსტრატი, მაგალითად, პერლიტი. პერლიტს გააჩნია ძლიერი კაპილარული სისტემა, რომელიც წყალს ისეთივე სიჩქარით შთანთქავს, როგორც შეიწოვება მცენარის მიერ.

აგროპერლიტი უზრუნველყოფს ნარევში მეტი ჰაერის არსებობას, ნიადგაში საკვები ნივთიერების შეკავებას და მათ თანდათანობით გაცემას მცენარეზე. აგრეთვე, პერლიტი წარმოადგენს საკმაოდ სტერილურ გარემოს, რომელიც აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას და სანიაღვრე თვისებებს.

დღესდღეობით სასათბურე მეურნეობების მწარმოებლების უმრავლესობა პერლიტს თვლის იდეალურ გარემოდ მცენარეთა კალმით გამრავლებისათვის. აქ მთავარია, რომ შენარჩუნდეს პერლიტის სუბსტრატის ტენიანობა და კალმები არ განიცდიდნენ მზის სხივების პირდაპირ ზემოქმედებას.

საბოლოო შედეგი უმეტესად დამოკიდებულია ნერგების ხარისხზე. უკეთესია, თუ ლერწი დაფესვიანდება პერლიტისა და ტორფის ნარევში. პერლიტის დადებით თვისებებში უნდა გამოვყოთ მისი სტერილურობა (არანაირი ლპობა), იგი აბსოლუტურად უსაფრთხო და საიმედოა, არ საჭიროებს სტერილიზაციას.

სოფლის მეურნეობაში პერლიტი გამოიყენება ნიადაგის კონდიცირებისა და სტრუქტურის გასაუმჯობესებლად, ტენის შესანარჩუნებლად, მინერალური სასუქების მატარებლად. ბოლო 30 წლის მანძილზე, ნორვეგიის ტყის მასივების მოსაშენებლად ნერგები ფაქტიურად მთლიანად გამოყვანილია აგროპერლიტის გამოყენებით.

აგროპერლიტის გამოყენება ამცირებს სუბსტრატის დატკეპვნას და მას უფრო ფხვიერს და ჰაერგამტარს ხდის. ჰოლანდიაში პომიდორი მოჰყავთ როგორც პერლიტის ტომრებში, ასევე სპეციალურ პოლიეთილენის მილებში, რის შედეგადაც მოსავლიანობა იზრდება 7-10%-ით.

აშშ-ში აგროპერლიტი აქტიურად გამოიყენება ქალაქების გამწვანება-კეთილმოწყობისთვის, ბაღებისა და პარკების მოწყობისთვის, გოლფისა და სტადიონების მინდვრების გასამწვანებლად. გამოყენებული ნიადაგი შედგება 70% ქვიშის, 20% აგროპერლიტისა და 10% აზოტისაგან.

ქალაქის ბაღების, სკვერებისა და პარკების გამწვანებისთვის გამოყენებული სუბსტრატებში ძირითადად აგროპერლიტი და ტორფი შედის. აგროპერლიტის დაბალი თბოგამტარიანობა მცენარის ფესვებს იცავს დაზიანებისაგან ტემპერატურის ექსტრემალური ცვლილებების დროს.

სიცხის დროს აგროპერლიტიანი ნიადაგი არ ხურდება, ხოლო ყინვის დროს ისე არ ცივდება, როგორც ჩვეულებრივი მიწა. ასეთი თვისებები ძალიან მნიშვნელოვანია ლანდშაფტის დიზაინისთვის ადრე გაზაფხულზე და შემოდგომაზე, განსაკუთრებით ისეთი მცენარეებისთვის, რომლებიც ღია გრუნტებზე იზამთრებენ.

შოტლანდიამ და სკანდინავიის ქვეყნებმა პომიდვრის და კიტრის მოსაყვანად დიდი ხანია უარი თქვეს მეთილ ბრომიდის ხსნარის გამოყენებაზე და პრაქტიკაში იყენებენ აგროპერლიტის ნარევს.

პომიდვრის მოყვანისას მინერალური ბამბის ნაცვლად აგროპერლიტის გამოყენება, მოსავლიანობას 7-10%-ით ზრდის. აგროპერლიტის გამოყენებისას მცირდება ან საერთოდ არ იხმარება სასუქები და ინსექტიციდები. აგროპერლიტს შეუძლია შეაკავოს რადიონუკლიდების დიდი მოლეკულები.

დღესდღეობით, თითქმის მთელი ევროპა აგროპერლიტს იყენებს კიტრის მოსაყვანად. აგროპერლიტი დაფასოებულია პოლიეთილენის ტომრებში მოცულობით 60 კუბ. მეტრი დმ. ტომრებს 4-6 ხვრელი აქვს დატანებული მცენარისთვის. ტომრები მოთავსებულია სპეციალურ ხის კონტეინერებში. საკვები სითხე, რომელიც გარკვეული რაოდენობით მიეწოდება, აღწევს პერლიტის ზედა ფენაში და წარმოადგენს რეზერვს მიწოდების შეფერხების შემთხვევაში.

აგროპერლიტი იდეალური მასალაა ხილის, ბოსტნეულის და კენკროვანის შესანახად. პროდუქტი შეიძლება ჩალაგდეს 10, 15, 20 კგ სტანდარტულ ყუთებში ფენებად და ყოველი ფენა დაიფაროს 2-5 სმ სისქის პერლიტის ფენით. პერლიტი ხელს უშლის პროდუქტებს შორის აირის გაცვლის პროცესებს, იცავს როგორც დალპობისაგან, ასევე მწერების და მღრღნელების ზემოქმედებისაგან.

სამთო კომპანია „ფარავანპერლიტი“ – დაარსდა 2004 წელს. ფლობს ექსკლუზიურ უფლებას მოიპოვოს და აწარმოოს პერლიტი ფარავნის პერლიტის საბადოდან. კომპანიის მფლობელობაშია საწარმო ბაზა, რომელიც მოიცავს ფრაქციონირებული და აფუებული პერლიტის წარმოების სრულ ტექნოლოგიურ ციკლს.

სამთო კომპანია „ფარავანპერლიტი“ – საქართველოში ერთადერთი მწარმოებელია ფრაქციონირებული და აფუებული პერლიტის, აგროპერლიტის და ფილტროპერლიტის, რომელიც მიღებულია უმაღლესი ხარისხის ნედლეულისგან და შეესაბამება როგორც დსთ-ს ქვეყნების, ასევე ევროპულ და ამერიკულ სტანდარტებს.

ვთანამშრომლობთ ამერიკის და უკრაინის პერლიტის ინსტიტუტებთან, შესაძლებლობა გვაქვს წარმოებაში დავნერგოთ უახლესი ტექნოლოგიური მიღწევები ხარისხიანი პროდუქტის წარმოებისთვის. კომპანიის მიზანია წარმოებული პროდუქცია შეესაბამებოდეს მომხმარებლის ნებისმიერ მოთხოვნას.

აგროპერლიტი – ეკოლოგიურად სუფთა, უნივერსალური და მრავალფუნქციური გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობასა და მებაღეობაში.

სამთო კომპანია „ფარავანპერლიტი“ – საქართველოში ერთადერთი მწარმოებელია ფრაქციონირებული და აფუებული პერლიტის, აგროპერლიტისა და ფილტროპერლიტის, რომელიც მიღებულია უმაღლესი ხარისხის ნედლეულისგან და ორიენტირებულია ნებისმიერ მომხმარებელზე. კომპანიის პროდუქციის 95% გადის ექსპორტზე აზერბაიჯანში, რუსეთში, უკრაინასა და ყაზახეთში.

ნაცარი – ბუნებრივი (ორგანული) სასუქი

საქართველოში სასოფლო დასახლებების მოსახლეობის ნაწილი, საჭმლის მოსამზადებლად, გასათბობად და ა.შ ხის ღუმელს და ბუხარს იყენებს. შესაბამისად, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში უხვად გროვდება ნაცარი.

ნაცარი კი ერთ-ერთი საუკეთესო სასუქია. ეს ორგანული სასუქი მდიდარია სხვადასხვა მიკროელემენტებით.

ფოთლოვანი ხის ნაცარი შეიცავს: 3,5% ფოსფორს, 10% კალიუმს და 30% კალციუმს.

ხოლო წიწვოვანი ხის ნაცარი შესაბამისად: 2,5% ფოსფორს, 6% კალიუმს და 35% კალციუმს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა ნაცარი შეიცავს მაგნიუმს, ნატრიუმს და სხვა ელემენტებს. შემადგენლობიდან გამომდინარე ნაცარი, ხელს უწყობს მცენარის ზრდას და განვითარებას, აძლიერებს მცენარეთა იმუნიტეტს და კარგი საშუალებაა მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლაში.

ნაცარს იყენებენ მებაღეობაში, მემცენარეობაში, განსაკუთრებით სასარგებლო კი ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურებისთვისაა.

ნაცრის სასუქად გამოყენების რამოდენიმე მეთოდი

1. მშრალად

ა) მორწყვის წინ ნაცარს თხელ ფენად აბნევენ მცენარეთა მწკრივში.

ბ) ზოგი ფერმერი ჩვეულებრივ იყენებს როგორც კალიუმიან სასუქს-100 კგ-ს 1 ჰექტარზე.

2. ნაცრის ხსნარი

ნაცრის ხნარის მომზადების წესი ამგვარია: 3 სუფრის კოვზ ნაცარს, 1 ლიტრ წყალს ვასხავთ და ვაჩერებთ 1 კვირის განმავლობაში (დაახლოებით 150-200 გრ. ერთ ვედრაზე). ხსნარის ნორმა ერთ ძირ კიტრზე, ხახვზე, დაახლოებით 0,5 ლიტრია.

ნაცარი უნდა ინახებოდეს მშრალ და დახურულ სათავსში, ნესტს და სისველეს მისგან გამოაქვთ კალიუმი და სხვა მიკროელემენტები.

agrokavkaz.ge

მეცნიერები და ექიმები გვაფრთხილებენ,

„დიაბეტი და კიბო გამოგონილი დაავადებებია“ – აი, რა უნდა გავაკეთოთ ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად

ეს ცნობილ პროფესორ ნეუმივაკინთან ინტერვიუა. ცნობილი ივანე ნეუმივაკინის სახელი დაკავშირებულია ალტერნატიული მედიცინის 40 წელთან. პროფესორი ამბობს, რომ დიაბეტიც და კიბო გამოგონილი დაავადებებია, რომ არ არსებობს პარკისონის დაავადება.

1. პროფესორო ნეუმივაკინ, რა ტიპის მედიცინას უჭერთ მხარს ?

– მოკლედ, მე ვეთანხმები იმ ცოდნას, რომ ყველა ადამიანი საკუთარი ჯანმრთელობის პასუხისმგებელია.

მე ასევე შევისწავლე ფიზიოლოგიის კანონები, თუ როგორ მუშაობს ადამიანის ორგანიზმი რეალურად.

მედიცინა არ ემორჩილება დღეს-დღეობით ამ კანონებსა და წესებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ გარეშე არ იქნებოდა დაავადების სამკურნალო წამლები.

დღეს, როგოც ჩანს, ხალხს ურჩევნია, ბევრი ფული დახარჯოს ძვირადღირებულ მედიკამენტებსა და თანამედროვე ტექნიკაში.

2. ალტერნატიული მედიცინის უამრავი პრობლემა არსებობს ბოლო 20 წლის განმავლობაში.

– და მასმედია დღეს ხალხს ეუბნება, რომ თითქმის შეუძლებელია პარკისონის დაავადების განკურნება, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ექიმი ვიცი მსოფლიოში, ვინც ამ პრობლემას აგვარებს.

მაგრამ, ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ არავის სურს სისტემის შეცვლა !

3. ოფიციალური მედიცინა ვერ ეხმარება ამ ხალხს, რომ სრულიად გათავისუფლდნენ დაავადებისაგან, კი მაგრამ, რატომ?

– იმის გამო, რომ იგი მედიკამენტებს ეყრდნობა. ეს ყველაზე დიდი პრობლემაა.

ისინი მე მადანაშაულებენ უკანონო მედიკამენტების გამოყენებისთვის და საერთოდაც კრიმინალად მთვლიან.

მაგრამ, მე არ ვნებდები. გამოვაქვეყნე ჩემი წიგნი „როგორ დავაღწიოთ დაავადებებს თავი, რომლებიც არ არსებობს – ჰიპერტენზია და დიაბეტი“.

მაგრამ, 300 მილიონზე მეტი ადამიანია მსოფლიოში, ვინც პანკრეასის დაავადებას უჩივის...

პანკრეასი ადამიანის სხეულის მხოლოდ ერთ-ერთი თანამშრომელია. არსებობს საზოგადოებრივი ორგანიზაცია , სახელწოდებით „მშვიდობით, დიაბეტო“ – და მხოლოდ 2 კვირის შემდეგ – დიაბეტი მთლიანად ქრება!

თქვენს სხეულს უბრალოდ ფიზიკური აქტივობა სჭირდება, ყოველდღე 1 საათი.

ჩვენ, ყველამ უნდა ვიზრუნოთ საკუთარ თავზე და მოვუაროთ მას, არ უნდა ვსვათ წამლები ყოველდღიურად.

დიაბეტით დაავადებულებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ფეხებს.

არსებობს მთლიანი სისტემა. ისინი ფიზიკურ აქტიურობას ითხოვენ, ყოველდღე.

4. და სხეული თვითონ აწარმოებს საკუთარ ინსულინს?

– რა თქმა უნდა! ეს ყველაფერი ფიზიოლოგიაა. აუცილებელია შეიქმნას ნორმალური გარემო ორგანიზმში, ასე რომ, საკნებს ექნებათ ნორმალური „ცხოვრება“ და ისინი იფუნქციონირებს.

უბრალოდ ნახეთ დღეს ბავშვები რას მიირთმევენ – ისინი ყველანი სტაბილიზატორებს იღებენ ნამცხვრებიდან, საღებავებსა და შაქრიან სასმელებს. სწორედ ამიტომაა, რომ 3-4 წლის ბავშვები უკვე დიაბეტით არიან დაავადებული.

ჩვენს ორგანიზმს არ უნდა მივაწოდოთ ასეთი შაქარი, რადგან იგი საზიანოა ჯანმრთელობისთვის.

როდესაც ჩვენ მივირთმევთ ამ ახალ საკვებს, ჩვენს სისხლში შაქრის დონე დაუყოვნებლივ იზრდება და პანკრეასი იძულებულია წარმოქმნას ინსულინი.

სამწუხაროდ, ბევრი ჩვილი განიცდის დიაბეტს. ეს თავიანთი მშობლების ბრალია, განსაკუთრებით დედის. რადგან ფეხმძიმობაში მან დიდი რაოდენობით ტკბილი მიიღო და მემკვიდრეობით გადავიდა დიაბეტი ბავშვზე.

მაგრამ, მე მაინც ვიტყვი, რომ არ არსებობს დიაბეტი !

5. უკაცრავად, მაგრამ ეს სიტყვები ჟღერს, როგორც სამეცნიერო ფანტასტიკა...

– კიბო არის მდგომარეობა, რომელიც უმეცარმა ადამიანმა მოიტანა ჩვენამდე.

საგნები ვერ იფუნქციონირებს ტოქსიკურ გარემოში. იგი დაიწყებს მუტაციას.

6. და სად არის გული ? აცხადებენ, რომ გული ჩვენს ქუსლებზეა. მაგრამ, რას ნიშნავს ეს ?

– თუ თქვენი კაპილარები არ მუშაობს გამართულად, და სისხლი ვერ აყენებს შეკუმშულ სისხლს, მაშინ სისხლი გროვდება სისხლძარღვებში და არტერიული წნევა იწევს... და იქ არის თქვენი ჰიპერტენზია.

7. თქვენ გვირჩევთ, რომ ჩვენ სასმელი წყალი ჭამამდე ადრე უნდა მივირთვათ?

– დიახ, რა თქმა უნდა, თქვენ შეგიძლიათ 5-10 წვეთი წყალბადის ზეჟანგი დაუმატოთ 1 ჭიქა წყალს.

8. არ არის ეს საშიში ?

– ის ყველა ჩვენს შიდა მტერს კლავს ორგანიზმში. 5-10 წვეთი არ არის ბევრი. მაგრამ ჩემს გამოცდილებაში მინახავს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც 1-2 წვეთი გამოიყენეს და დაიღუნენ.

9. ზოგიერთი ამბობს, რომ წყალბადის ზეჟანგი კუჭს წვავს ...

– წყალბადის ზეჟანგი მედიცინაში არ გამოიყენება. თქვენ არ უნდა გადააჭარბოთ რეკომენდებულ დოზას.

10. ასე რომ, რა არის ჯანმრთელობისთვის მთავარი მიზეზი?

– ცოტა ხნის წინ, მე წავიკითხე ერთი ქალის შესახებ, რომელსაც ფილტვის კიბო ჰქონდა. მან უარი განაცხადა ოპერაციაზე. მან გადაწყვიტა ჯანსაღი ცხოვრების წესი აერჩია. ის 80 წლისაა და ცოტა ხნის წინ დაამყარა მსოფლიო რეკორდი, ოქროს მედალი მოიგო.

– ოპტიმისტური ფსიქოლოგიური შეგუება ძალიან მნიშვნელოვანია !

ჭამეთ ეს ყოველ საღამოს სამი დღის განმავლობაში – შედეგი გაგაოცებთ

ხშირად გახდომის მსურველები, მიუხედავად იმისა, რომ დიეტასაც იცავენ და ცხოვრების წესსაც იცვლიან, სასურველ შედეგს ვერ აღწევენ. რა არის ამის მიზეზი?

მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, საჭმლის მომნელებელი სისტემაა. ზარმაცი ნაწლავები, გაუვალობა და საჭმლის მონელებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები მთავარი მიზეზია იმისა, რომ სასურველ შედეგს ვერ აღწევთ. საჭმლის მომნელებელი სისტემის შეფერხებული მუშაობა აფერხებს ორგანიზმის ტოქსინებისგან გასუფთავების პროცესს. რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის ზედმეტ წონასთან ბრძოლას.

ნორმალურ პირობებში ნაწლავები იცლება ჭამიდან ერთი-ორი საათის შემდეგ ან დღეში ერთხელ ან ორჯერ.

ამდენად, თუ ზედმეტ წონას ებრძვით, კუჭ-ნაწლავის სისტემის ჯანმრთელობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

შემოგთავაზებთ რეცეპტს, რომელიც ამ პრობლემის მოგვარებაში დაგეხმარებათ.

ინგრედიენტები:

კომბოსტო.
ჭარხალი.
სტაფილო.
ლიმონის წვენი.
ზეითუნის ზეთი.
მწვანილი.

მომზადების წესი:

გახეხეთ 1/3 კომბოსტო, ჭარხალი და სტაფილო და კარგად აურიეთ. სურვილისამებრ შეგიძლიათ დაუმატოთ მწვანილი, თუმცა აუცილებელი არ არის. მოასხით ცოტაოდენი ლიმონის წვენი და ზეითუნის ზეთი.

მიირთვით ეს სალათა ყოველ საღამოს – შედეგი გაგაოცებთ, თქვენ მარტივად გათავისუფლდებით მავნე ტოქსინებისგან.

რა შეუძლია ერთ ჭიქა სოდიან წყალს – საკუთარ სხეულს ველარ იცნობთ

საკვები სოდა ძლიერი ინგრედიენტია, რომელსაც თითქმის ყველაფერში შეუძლია დახმარება. ის შეიძლება გამოიყენოთ როგორც გაციების, ისე კიბოს სამკურნალოდაც.

სოდიანი წყალი კარგი საშუალებაა პირის ღრუს ჰიგიენისთვის. საერთოდ, ის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა სხვადასხვა დაავადების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის. მათ შორის, დიარეის, მყავიანობის, მეტაბოლური აციდოზისა და წყლულოვანი დაავადებების.

საკვები სოდა კანს ჯანმრთელობასა და ელვარებას უნარჩუნებს. გარდა ამისა, ნატრიუმის შემცველობის წყალობით, სოდას შეუძლია თავიდან აგაცილოთ ჰიპერკალიემია, კენჭების დაგროვება თირკმლებში და საშარდე ბუშტის ინფექციები.

მძიმე ვარჯიშის შემდეგ კუნთების ტკივილის შესამცირებლად შეგიძლიათ საკვები სოდა წყალში გახსნათ და დალიოთ.

სოდიანი წყალი, ასევე, ანადგურებს ფრჩხილის სოკოს და აშორებს ჭუჭყს. ამისთვის, უბრალოდ, ფრჩხილების ჯაგრისი ამოსვარეთ სოდაში და გაიწმინდეთ ფრჩხილები.

შეგიძლიათ სცადოთ ეს მეთოდიც: აურიეთ ერთმანეთში 3 სადილის კოვზი სოდა, 1 ჩაის კოვზი მარილი, რამდენიმე წვეთი პიტნის ეთერზეთი და ცოტაოდენი წყალი.

ჩაყავით ფრჩხილები 20 წუთის განმავლობაში და ქავილი, სუნი და ტკივილი მაშინვე გაგივლით.

რატომ უნდა დავწვათ სახლში დაფნის ფოთოლი?



კარგმა მზარეულმა იცის გემრიელი კერძების საიდუმლო ინგრედიენტი: დაფნის ფოთოლი, მაგრამ არომატული ფოთლები არამხოლოდ გემრიელი სანელებელია, ეს მცენარე ძალიან სასარგებლოა.

ის ეხმარება ორგანიზმს დეტოქსიკაციაში და ანელებს დაბერების პროცესს. ასევე, დაფნის ფოთოლი ებრძვის ბაქტერიულ ინფექციებს და სასარგებლოა უამრავი დაავადების დროს.

დაფნის ფოთლის სასარგებლო თვისებები:

შფოთვა და დაღლილობა

დაფნის ფოთლის შემადგენელ ქიმიურ ნივთიერებებს დამამშვიდებელი, ფსიქოდელიური ეფექტი აქვს. ამისათვის საკმარისია, დაწვათ რამდენიმე მშრალი ფოთოლი.

როდესაც დამწვარი ფოთლის არომატს შეისუნთქავთ, ორგანიზმი დუნდება და ნერვული სისტემა მშვიდდება. რაც მთავარია, ის არ იწვევს ძილიანობას.

სასუნთქი სისტემა

დაფნის ფოთოლი ასტიმულირებს სასუნთქ გზებს და ათავისუფლებს ლორწოსგან ფილტვებს.

უბრალოდ, ჩაისუნთქეთ ახალი ან გამხმარი ფოთლის არომატი. ალერგიისა და ასთმის დროს გულმკერდზე დაფნის ფოთლები შეიზილეთ.

ქერტლი

ქერტლის მოსაცილებლად, შეურიეთ დაფნის ზეთი და გამთბარი ჟოჟობას ზეთი. შეიზილეთ მიღებული მასა თავზე, შეიხვიეთ პირსახოცით და გაიჩერეთ 15-60 წუთით. შემდეგ ჩვეულებისამებრ დაიბანეთ.

დიაბეტი

დაფნის ფოთოლი ეფექტური საშუალებაა დიაბეტის მეორე ტიპის მკურნალობის დროს. კვლევების თანახმად, საკმარისია დღეში 3 გრამი დაფნის ფოთლის მოხმარება გლუკოზის დონის დასაწევად.

საჭმლის მომნელებელი სისტემა

დაფნის ფოთლის კერძებში გამოყენება აძლიერებს საკვების მონელების პროცესს, ხელს უწყობს ფერმენტისა და ნაღვლის სეკრეციას.

გულის ჯანმრთელობა

ორგანული მინარევი, სახელწოდებით „კოფეინის მჟავა“, რომელიც დაფნის ფოთოლში აღმოაჩინეს, ამაგრებს კაპილარების კედლებს. ეს ნივთიერება ასევე ეხმარება ცუდი ქოლესტერინის მოცილებაში გულ-სისხლძარღვთა სისტემიდან. გამოიყენეთ დაფნის ფოთოლი კერძებში ისეთ პროდუქტებთან, რომლებიც აუმჯობესებს გულის მდგომარეობას.

ამ მცენარის ფესვები კიბოს უჯრედებს კლავს – კიბოს წამალი თვალწინ გვქონია?

კიბოს წამლის ძიებაში წლები გადის და მილიარდები იხარჯება. თუმცა აღმოჩნდა, რომ ბუნებას ამ საშინელ დაავადებასთან ბრძოლაში დახმარებაც შეუძლია.

კარგა ხანია მეცნიერები ბაბუაწვერას ფესვებით დაინტერესდნენ. აღმოჩნდა, რომ ბაბუაწვერას ფესვები შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც აძლიერებს იმუნურ სისტემას და ებრძვის პროსტატის, ფილტვის, სარძევე ჯირკვლებისა და ღვიძლის კიბოს.

ბაბუაწვერას ფესვები ანადგურებს კიბოთი დაზიანებულ უჯრედებს და მათ ჯანმრთელი უჯრედებით ცვლის.

მართალია, ბაბუაწვერას ფესვების ჩაი სასიამოვნო დასალევი არ არის, მაგრამ ის ნამდვილად უკეთესია, ვიდრე ქიმიოთერაპია.

გვირჩევენ და გთავაზობენ!

გათავისუფლდით 15 კილოგრამი ტოქსინებისგან

ორგანიზმი ექვს თვეში ერთხელ, ანუ წელიწადში ორჯერ, უნდა გაიწმინდოთ. საქმე ის არის, რომ დროთა განმავლობაში ორგანიზმში დაგროვილმა ტოქსინებმა შეიძლება სხვადასხვა დაავადება გამოიწვიოს. ხშირი გაციება, ინფექციები, მოთენთილობა ძილიანობა, ყურადღების გაფანტვა – ყოველივე ეს ორგანიზმში ტოქსინების, მავნე ბაქტერიებისა და სხვა საშიში ნივთიერებების დაგროვებაზე მიუთითებს.

ეს რეცეპტი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ეფექტურია ხალხურ მედიცინაში. მოსამზადებლად მხოლოდ 4 ინგრედიენტი დაგჭირდებათ.

ინგრედიენტები:

1 სადილის კოვზი წიწიბურას ფქვილი.

1 კოჭას ფხვნილი (შეგიძლიათ გამოიყენოთ ნედლი კოჭა).

200 მილიგრამი კეფირი.

1 ჩაის კოვზი ნატურალური თაფლი.

მომზადების წესი:

ყველა ინგრედიენტი მოათავსეთ ჯამში და კარგად აურიეთ ერთმანეთში. შედგით მაცივარში და დატოვეთ მთელი ღამით. მეორე დილით კვლავ აურიეთ და წამალიც მზადაა.

მიღებული ნაზავი შეგიძლიათ საუზმის ნაცვლად მიირთვათ. შემდეგ კი 3 საათის განმავლობაში არაფერი შეჭამოთ.

მკურნალობის კურსი 14 დღეა.

თუ სისხლში შაქრის დონე მაღალი გაქვთ, შეგიძლიათ თაფლი არ გამოიყენოთ.

ეს რეცეპტი აძლიერებს ორგანიზმს, აუმჯობესებს სისხლძარღვების მუშაობას, ხსნის დაღლილობას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კიდურებში, ასევე – შარდგამომყოფ ფუნქციას.

სიცილი

ყველამ ვიცით, რომ სიცილი მხიარულების გამოხატულებაა. ის რეაქციაა იუმორზე და ძალიან სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

სიცილს დამამშვიდებელი მოქმედება აქვს, ქმნის ამაღლებულ განწყობას, აძლიერებს იმუნიტეტს, ანელებს სიბერეს, ამცირებს სტრესისაგან მიღებულ მავნე შედეგებს, კურნავს ბევრ დაავადებას, აკაჟებს ჯანმრთელობას და ახანგრძლივებს სიცოცხლეს. ამ ყველაფერში რომ დავრწმუნდეთ, განვიხილოთ სიცილი – როგორც ფიზიოლოგიური პროცესი ადამიანის ორგანიზმში. ფაქტია, რომ იუმორის გამოვლინება ადამიანებს მეტ-ნაკლებად ახასიათებთ (ზოგს – მეტად, ზოგს – ნაკლებად, ზოგსაც – საერთოდ არა აქვს). ეს ტვინში მოქმედი მთელი რიგი პროცესების შედეგია. პროცესი კი შემდეგნაირად მიმდინარეობს:

უცნაური და პარადოქსული ინფორმაცია აღწევს გონებაში. ის გადაეცემა თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფეროს (ეს ტვინის ის ნაწილია, რომელიც ითვლის, განსაზღვრავს, პასუხს (ჰორმონი, რომელიც ადამიანს ბედნიერებისა და ამაღლებული განწყობის შეგრძნებას აძლევს. ეს ჰორმონი ასევე გამოიყოფა შეყვარებულობისა და სექსის დროს). აღსანიშნავია, რომ რაც უფრო პარადოქსული და მოუხერხებელია ინფორმაცია, ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო ბრძანებას იძლევა ენდორფინის დოზის მით უფრო ძლიერი „გამოტყორცნისა“. ამავე დროს საქმეში ერთვება თავდაცვის მექანიზმი, რომელიც ამ „გადახარშული“ ინფორმაციით გამოწვეულ დაძაბულობას ხსნის და მთელს სხეულს გადასცემს მოდუნების განკარგულებას. ფილტვები ენერგიულად გამოისვრიან ჰაერს, ხდება მკვეთრი ამოსუნთქვა სიცილის დასაწყისისა – როგორც ფიზიოლოგიური პროცესისა. რიტმულად დუნდებიან და აქტიურდებიან სახისა და მუცლის კუნთები. საქმეში ერთვებიან გულ-მკერდისა და სხვა ორგანოების კუნთებიც. ეს შინაგანი ორგანოების მასაჟს ჰგავს, რის შედეგადაც უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა და ნივთიერებათა ცვლა.

ასე, რომ ტვინს არ შეუძლია გადაგებს ლოგიკაზე), მაგრამ მას არ შეუძლია ამ ინფორმაციასთან გამკლავება. წარმოიქმნება მოკლე ჩართვის მსგავსი იმპულსი და მარცხენა ნახევარსფერო გადასცემს ამ ინფორმაციას მარჯვენა ნახევარსფეროს (ტვინის ეს ნაწილი პასუხიმგებელია ინტუიციაზე, მხატვრულ და პოეტურ ქმნილებებზე). თავის ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო მიიღებს ამ გზავნილს, რომელიც დამატებით „ასაფეთქებელი მოწყობილობითაა“ დატვირთული და აგზავნის ელექტრულ მუხტს ტვინის მარცხენა ნახევარსფეროს გასანეიტრალებლად, რათა მოიგოს დრო, რომ ამ არასტანდარტული ინფორმაციისათვის გამონახოს ინდივიდუალური, მხატვრული ახსნა.თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფეროსთვის, რომელიც ყოველთვის ყველაფერს აკონტროლებს, ეს მომენტალური გათიშვაა, რომელიც ტვინის მოდუნებას იწვევს და გამოიყოფა ენდორფინი ხარშოს მოულოდნელი, პარადოქსული ინფორმაცია და თვითბლოკირებას აკეთებს. ის ფუნქციონირებას იწყებს როგორც „შეცდომის“ სიგნალი და „ითიშება“. ეს პროცესი წარმოადგენს ტკბობის ერთ-ერთ ყველაზე გასაოცარ წყაროს. რაც მეტს იცინის ადამიანი, მით უფრო ძლიერია მისი ჯანმრთელობა.იმის გამო, რომ სიცილის დროს ტვინის ორივე ნახევარსფერო აქტიურობს, ის ხელს უწყობს აზროვნებისა და მეხსიერების გაუმჯობესებას. გამოიყოფა უამრავი სასარგებლო ნივთიერება ადამიანის ორგანიზმში, რაც ხელს უწყობს იმუნიტეტის გაძლიერებას და დაავადებებთან ბრძოლას. ასევე სასარგებლოა წონის დასაკლებად, რადგან ადამინის ორგანიზმი სიცილის დროს აქტიურად წვავს კალორიებს.

იცინეთ და იყავით ჯანმრთელები და ღამაზები!

perla.ge

საზიფათო ხილი და ბოსტნეული, რომელთაც ჩვენ ყოველდღიურად ვიყენებთ

ხშირად ჩვენ არც კი ვფიქრობთ იმ დაფარულ საშიშროებაზე, რომელიც გვემუქრება ერთი შეხედვით უწყინარი პროდუქტების ყოველდღიური გამოყენების დროს.

ნუში

ნუში ითვლება მშრალ ხილად და არა კაკლეულად, როგორც ეს ბევრს მიაჩნია. მას გააჩნია უნიკალური გემო და წარმოადგენს უამრავი დესერტის მთავარ გემოვნებით დანამატს. ყველაზე არომატულია მწარე ნუში, რომელიც შეიცავს შხამიან ნივთიერებას-ციანიდს. სწორედ ამიტომ არ შეიძლება ნედლი ნუშის გამოყენება, მას გადაამუშავებენ ან უბრალოდ ხალავენ გამოყენების წინ. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ახალ ზელანდიაში მწარე ნუშის გაყიდვა კანონით აკრძალულია.

არაქისი

არაქისი, ისევე როგორც ნუში, ნედლ მდგომარეობაში არ გამოიყენება, ის გამოყენებამდე ექვემდებარება თბურ დამუშავებას. ეს კეთდება იმიტომ, რომ ნედლი არაქისი შეიცავს ნივთიერება ურუშიოლს, რომელიც ძლიერ ალერგიას იწვევს. ძალიან დიდი რაოდენობით ურუშიოლის მოხვედრამ ორგანიზმში შეიძლება ლეტალური შედეგიც კი გამოიწვიოს. თუმცა ამ პროდუქტით მოწამვლის ფაქტები იშვიათია, მაგრამ მუშები, რომლებიც მის გასუფთავებაზე მუშაობენ, ხშირად განიცდიან უსიამოვნო შეგრძნებებს, მაგალითად, კანის გაღიაზიანებას.

ალუბალი, ალუბლის კურკები

ალუბლის, ატმის, გარგარის და ქლიავის კურკები შხამიან ნივთიერებას ციანიდს შეიცავს. თუ ამ ხილის კურკების გატეხვა და ჭამა გიყვართ, იცოდეთ, რომ თქვენს ორგანიზმში წყალბადის ციანიდის მცირე რაოდენობა მოხვდება. რამოდენიმე ცალი ასეთი კურკის მიღება საშიში არაა, მაგრამ მისი დიდი რაოდენობით მირთმევას შეუძლია სერიოზული მოწამვლა გამოიწვიოს.

სატაცური

სატაცური ბოსტნეულია, რომლის ნაყოფიც შხამიანია ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. სატაცური უხსოვარი დროიდან გამოიყენებოდა, როგორც ბოსტნეული და სამკურნალო საშუალება მისი საუკეთესო გემოსა და სამკურნალო თვისებების გამო, მაგრამ ეს მხოლოდ მისი ღეროები. წითელი ფერის თესლი, რომელსაც ეს მცენარე იკეთებს, ადამიანისათვის მომწამლავია.

პამიდორი

საინტერესო ფაქტია, რომ პამიდორი ზოგ ქვეყანაში ბოსტნეულად ითვლება, ზოგან კი ხილად. ეს ყველასათვის საყვარელი პროდუქტი თურმე არცთუისე უსაფრთხო ყოფილა:მისი ფოთლები და ღეროები შეიცავს ნივთიერება გლიკოალკალოიდს, რომელიც ნერვული სისტემის გაღიზიანებას და ალერგიას იწვევს. ეს ნივთიერება მცირე რაოდენობით მწვანე პამიდორშიცაა, მაგრამ იმდენად მცირე, რომ ადამიანს ის ზიანს ვერ აყენებს.

მუსკატის კაკალი (ჯაოზი)

მუსკატის კაკალი შეიცავს ფსიქოაქტიურ ნივთიერებას-მირისტიცინს.ამ ნივთიერების დიდი რაოდენობით მიღება იწვევს ღებინებას, თავბრუსხვევას, თავის ტკივილს და ჰალუცინაციებს. მაგრამ არ ღირს შეშფოთება, რადგან მუსკატის ის რაოდენობა, რასაც ჩვენ კერძებში ვიყენებთ, ძალიან მცირეა და გვერდითი მოვლენები არ მოჰყვება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოზარდებში ამ ბოლო ხანებში მუსკატი გამოიყენება, როგორც მსუბუქი ნარკოტიკი და ამის გამო საკმაოდ ხშირია მათი მოწამვლის ფაქტები.

შოკოლადი

მართალია, შოკოლადი ადამიანებისათვის მომწამლავი და მავნე არაა, მაგრამ ნივთიერება თეობრომინი, რომელსაც ის შეიცავს, საკმაოდ მავნებელია ძაღლებისა და კატებისათვის. სულ 40 გრამ შოკოლადს შეუძლია მათი ძლიერი მოწამვლა გამოიწვიოს, ამიტომ გირჩევთ, რომ არასოდეს მისცეთ მათ ეს პროდუქტი.

მწვანე კარტოფილი

კარტოფილი ყველაზე გავრცელებული ბოსტნეულია დედამიწაზე. ისევე, როგორც პამიდორი, კარტოფილის ღეროები და ფოთლებიც შეიცავს გლიკოალკალოიდებს. მომწამლავია მწვანე და ამოსული კარტოფილიც. მისმა საკვებად გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ღებინება, თავის ტკივილი, ტემპერატურის მომატება, კომაში ჩავარდანაც კი. ამიტომ კარტოფილი ყოველთვის გრილ, ბნელ და მშრალ ადგილას შეინახეთ.

ვაშლი. ვაშლის კურკები

ვაშლის კურკა, ისევე როგორც ალუბლის, მცირე რაოდენობით ციანიდს შეიცავს. მისი მცირე რაოდენობით შეჭმა დიდი საფრთხეს არ წარმოადგენს, რადგან ჩვენს ორგანნიზმს შესწევს უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს ციანიდის მცირე დოზის მოქმედებას. თუმცა დიდი რაოდენობით ვაშლის კურკის გადაყლაპვა, განსაკუთრებით მისი დაღეჭვა, მით უმეტეს პატარა ბავშვებისათვის, საკმაოდ საშიშია და შეიძლება საკმაოდ ძლიერი კვებითი მოწამვლა გამოიწვიოს.

სოკო. ვარგისი და შხამიანი სოკოები

სოკოები მრავალ ქვეყანაში დელიკატესად ითვლება და ის მოჰყავთ კომერციული მიზნებისათვის, მაგრამ სოკოებს საკმაოდ ვერაგი ორეულები ჰყავთ, რომლით მოწამვლასაც ხშირად ლეტალური შედეგი მოაქვს. არასოდეს არ ენდოთ გავრცელებულ მითებს შხამიანი სოკოს გამოცნობისა:ვერცხლის კოვზის გაშავება, წერტილები სოკოს ქუდზე ან რგოლი სოკოს ფეხზე, ცუდი სუნი ან კაშკაშა მკვეთრი შეფერილობა. გირჩევთ, თუ კარგად არ იცით სოკოს ცნობა და თუ მის ვარგოსიანობაში ოდნავ მაინც გეპარებათ ეჭვი, ნუ გარისკავთ და ნუ მიირთმევთ მას. სოკოთი მოწამვლა ნებისმიერი ხილით ან ბოსტნეულით მოწამვლაზე მეტად საშიშია.



ეკლესიურმა ცხოვრებამ, პირველ რიგში მომცა შინაგანი სულიერი სიმშვიდე და სწორად სავალი გზა

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

მეორე ხილვა ასეთი მქონდა: ღამეა, ვწევარ და მძინავს. ვხედავ ჩემი ოთახის კარი შემოიღო და შემოვიდა ძალიან პატარა გოგონა ფურფუჭებიან შავ კაბაში ჩაცმული, ამას შემოყვა დედა შუშანიკი (მაშინ ის დუბის ეკლესიის მონაზონი იყო); დედა შუშანიკს შემოჰყვა ზუსტად ისეთივე ჩაცმული პატარა გოგონა, წინ რომ შემოვიდა, დედა შუშანიკი ჩემს ლოგინთან შეჩერდა და ღიმილით, ალერსიანად მეუბნება: „შენ ლოცვებში რომ ამბობ: „ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ მიმადლებულო ქალწულოო“ ასე კი არა, აი ასე: „ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ მიმადლებულო მარიამო და მერე განაგრძეო. ისინიც უკანა ფანჯრიდან გავიდნენ. მე მაშინვე ავდექი, ვნახე ლოცვების წიგნში ჩემი შეცდომა და გამოვასწორე.

– რა მოგცათ თქვენ ეკლესიურმა ცხოვრებამ და რას ნიშნავს თქვენთვის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული.

– ეკლესიურმა ცხოვრებამ პირველ რიგში, მომცა შინაგანი სულიერი სიმშვიდე, ცხოვრების სწორად სავალი გზა.

დღეს ჩვენც აღდგომის ღამეს ტაძრისკენ მივისწრაფით. მძიმე კვირის შემდეგ აღდგომის განუმეორებელ სიხარულს უნდა მოვეწიფოთ. უნდა მოვაწყოთ მსვლელობა ტაძრის გარშემო ჯვრით, სახარებით, ხატებით ხელში ლიტანიობა... გალობა: „აღდგომასა შენსა, ქრისტე მაცხოვარ ანგელოზნი უგალობენ ცათა შინა და ჩვენც ქვეყანასა ზედა ღირს მყვენ გულითა, დიდება შენდა!“

– ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილისა, სიკვდილითა დამთრგუნველი... განსაკუთრებით აღდგომის დღესასწაულის დღეებში ხომ გალობა მის გარეშე ვერ ჩაივლის. თქვენი კომენტარი.

– ადამიანებმა ღმერთს სიკვდილი მიუსაჯეს, მან კი თავისი აღდგომით ისინი უკვდავყო; გვემის წილ მარადისობა აჩუქა. ადამიანებს სურდათ, რომ ღმერთი მოკვდავი გაეხადათ, ღმერთმა კი თავისი აღდგომით ისინი უკვდავყო. აღდგა ჯვარცმული ღმერთი და მოკლა სიკვდილი. აღარ არის სიკვდილი. უკვდავებამ გარემოიცვა ადამიანი და მთელი მისი სამყარო. სიტყვა გარდაცვალება ცხოვრების, ადამიანის სიცოცხლის შეცვლას ნიშნავს, ე. ი. ადამიანი შეიცვალა: ხორცი კვდება, მაგრამ სული ცათა სასუფეველში მიდის და იქ მარადიულად მყოფობს, ხოლო ვინც თავისი ავკაცობით ეს ვერ დაიმსახურა, ის ჯოჯოხეთში მიდის და საუკუნეების მანძილზე იქ იტანჯება.

ქრისტეს აღდგომამ ჩვენი უმძვინვარესი მტერი დაამარცხა, რითაც მარადიული სიცოცხლე გვაჩუქა. უიმისოდ ეს წუთისოფელი იქნებოდა უსაძაგლესი, უაზრობათა ხმაურიანი გამოფენა.

ქრისტეს აღდგომა სულ ოთხ სიტყვაშია გაცხადებული – ქრისტე აღდგა, ჭეშმარიტად აღდგა“. ყოველ სიტყვაში თითო სახარებაა, ხოლო ოთხივე სახარებაში – მთელი ღვთაებრივი სამყარო ხილული და უხილავი.

ადამიანი ნამდვილად მაშინ კი არ იშვება, როდესაც მას მშობელი ამ ქვეყანაზე აჩენს, არამედ მაშინ, როდესაც აღმდგარ ქრისტეს იწამებს, რადგანაც მაშინ იბადება იგი მარადიული სიცოცხლისათვის. აი საყვარელი სიტყვები, რაც კი ადამიანის ყურს როდესმე მოუსმენია: „... და აჰა ესერა, მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა, და ვიდრე აღსრულებამდე სოფლისა!“

ის ჩვენთან არის მუდამ, ჩვენს გულებში, მთავარია გულის კარი არ მოვუხუროთ ჩვენ თვითონ.

– ბევრია მორწმუნე, მაგრამ ეკლესიურად ვერ ცხოვრობს. ამით, რა თქმა უნდა ვცოდავთ ყველა ადამიანი. რა არის ამისთვის საჭირო, რომ მოიპოვო სულის სიმშვიდე და დაესწრო ყველა საეკლესიო წირვა-ლოცვებს. ყველა ვერ ახერხებს ამას. თქვენ რას გვეტყოდით?

– ვინც ქრისტეს სისხლსა და ხორცს ეზიარება, ნამდვილი ქრისტიანი ის არის, რადგან თვითონ ქრისტე ამბობს:“რომელი ჭამდეს ხორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, ჩემს შორის გიეს და მე მის შორის“. ე.ი. ნამდვილი ქრისტიანი ის არის, რომელიც დადის ეკლესიაში, ეზიარება ქრისტეს სისხლსა და ხორცს; იგი იქნება მარადიული. მარადიულ ცხოვრებაში რომ ქრისტესთან ვიყოთ, ამას საფუძველი აქ უნდა ჩავუყაროთ, ეკლესიაში სიარულით, ზიარებითა და მისი მცნებების შესრულებით.

მთავარია, რომ ჩვენ ეს ვირწმუნოთ. მართალია, მორწმუნე ადამიანი ბევრია, მაგრამ რატომღაც ეკლესიაში სიარული არ უყვართ, რაც ძალიან სამწუხაროა. ეკლესია სიმშვიდე და მომავალში სიცოცხლის იმედია და ჩვენი მომავალი აღდგომის სახეა, ამიტომ მშობლებმა შვილებთანაც უნდა იმუშაონ ამაზე და დააყენონ ეკლესიის გზაზე. ჩემი აზრით არასწორია, თითქოს ადამიანებს დრო არ რჩებათ ეკლესიაში წასასვლელად, ეს მაშინ, როცა კვირის შვიდი დღიდან ეკლესიაში ყოფნას მხოლოდ 4-5 საათი სჭირდება. მთავარია მოწადინება და რწმენა. თუ თავიდან გიჭირს ყოველ კვირა სიარული, მაშინ ორ-სამ კვირაში ერთხელ წადი. მაშინ დაინახავ ეკლესიის სიკეთეს და მოგინდება უფრო ხშირად სიარული. ასე მიეჩვევი, რწმენაში შეხვალ, გაეცნობი ქრისტეს მცნებებს, ძალიან მოგეწონება და ველარ გაშორდები.

და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვიცოდეთ: არავითარ შემთხვევაში არ განიკითხო, არ გაჭორო ადამიანი, ამას ღმერთი არ გაპატიებს. შენ ვერც მიხვდები, რისთვის მოგივლინა ღმერთმა ესა თუ ის განსაცდელი, რადგან ღმერთი თვითონ ძალიან კარგად იცნობს თვითოეულ ადამიანს და რაც საჭიროა, თვითონ მოუვლენს. ღმერთი უფრო კარგად გვიცნობს, ვიდრე ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს. ის ასე ამბობს: „ჯერ შენ ჩასახულიც არ იყავი შენი დედის მუცელში, როცა მე გიცნობდიო“. ამიტომ ჩვენი ჭორაობის ცოდვა ჩვენვე დაგვიბრუნდება. ჩვენ ვერც მივხვდებით, რატომ და რისთვის მოგვევლინა ესა თუ ის განსაცდელი, თვითონ ვერც გამკითხველი მიხვდება. ეს მხოლოდ ღმერთმა იცის, ამიტომ ჯობია საკუთარ თავს მივხედოთ და სხვას თავი დავანებოთ

– გვყავს არაჩვეულებრივი ეკლესიის წინამძღოლები, – ნიჭითა და თავმდაბლობით გამორჩეულები. რას გვეტყოდით თქვენს მოძღვარზე?

– ძალიან კარგი და განათლებული მოძღვრები გვყავს, – მამა ბენიამინი და მამა გიორგი. დუბის ეკლესიის მოძღვარი მამა ბადრი. ისინი თავდაუზოგავად ემსახურებიან მრევლს და ესეც ძალიან გვეხმარება ეკლესიურ ცხოვრებაში. ისინი ნამდვილად რომ იმსახურებენ ღმერთის სამსახურში ყოფნას. იცოცხლონ დიდხანს ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ. მათაც ფარავდეთ უფალი.

– აღდგომამდე სულ ცოტა დრო დარჩა, ყველა ოჯახში სამზადისია. თქვენთვის როგორია ეს დღე და როგორ ხვდებით ხოლმე ამ ბრწყინვალე დღესასწაულს.

ახლა ვემზადებით აღდგომის დღესასწაულის აღსანიშნავად. რაც მთავარია, წავალთ ეკლესიაში წირვა-ლოცვაზე და მეორე დღეს მეგობრებთან ერთად სუფრაზე კიდევ ერთხელ მივულოცავთ ერთმანეთს: „ქრისტე აღდგა – ჭეშმარიტად აღდგა!“

მე, როგორც მორწმუნე, იმდენად მწამს ღმერთი, რომ ხშირად „პირისპირ“ ვესაუბრები, ვთხოვ რამეს და არ მახსოვს გულით ვთხოვო რამე და არ შეესრულებინოს. დიდება მას! დიდება ღმერთს!!!

– როგორც აქტიური მრევლი, რას ეტყოდით ხალხს.

– ჩემს ხალხს მივულოცავ აღდგომის ამ ბრწყინვალე, ქრისტიანულ დღესასწაულს და მოვუწოდებ ისევ თავიანთი სიკეთისთვის და კეთილდღეობისთვის იარონ ტაძარში, სადაც მოიპოვებენ სულის სიმშვიდეს. ღმერთი შეუნდობთ მათ ცოდვებს და გაათავისუფლებთ მათ ყოველგვარი ბოროტებისაგან. რამეთუ უფალი ამბობს, „ითხოვდე და მოგეცემაო!“ უფალი იყოს თქვენი შემწე.

ესაუბრა დალი ტატულიშვილი

ავთანდილ სამუკაშვილის (პიკასოს) საოცრებათა სამყარო

ყველაფერი ის, რაც წარსულთან გვაკავშირებს, ჩვენი საგანძურია, ჩვენი კულტურაა და სწორედაც თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

მე-19 საუკუნის ბოლოს იქვე, ახლოს აიგო ერთსართულიანი-ექვსოთახიანი, სინესტით გაჟღენთილი ქვისკედლებიანი შენობა, რომელსაც მზის შუქი არასოდეს ხვდებოდა. მე-20 საუკუნის 70 – იან წლებში მოხდა ორსართულიანი სასკოლო შენობის მიშენება, რომელიც ბოლოს იმდენად ამორტიზებული გახდა, რომ სწავლისათვის შეუფერებელ გარემოდ გადაიქცა. საბედნიეროდ, სკოლის მაშინდელი დირექტორის ბ-ნ პაატა ბერიაშვილის ინიციატივით და ყვარლის საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და გამგეობის მხარდაჭერითა და თანადგომით 2010 წელს სოფელ გავაზმა შეიძინა ახალი სასკოლო შენობა, რომელიც აიგო მსოფლიო ბანკის დაფინანსებით და მის მშენებლობაზე 5 მლნ ლარი გაიხარჯა.

– უპრიანი იქნება გავიხსენოთ ის პედაგოგები და დირექტორები, რომელთაც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესების სწორად წარმართვაში მიუძღვით უდიდესი როლი.

– 1886 წლიდან მრავალი წლის განმავლობაში გავაზის სკოლას ძირითადად წარმართავდნენ ჩამოსული დირექტორები და პედაგოგები. შემიძლია დავასახელო ზოგიერთი მათგანი, ვინც ჩვენთვის ცნობილია: 1895-1912 წლებში დირექტორი გახლდათ ევგენი კვარაცხელია-გურიიდან, 1924-32 წლებში ნინა ბურდიაშვილი-შილდიდან, 1932-34 წლებში-გაბო ურუშაძე იმერეთიდან და ა.შ. პირველი ადგილობრივი პედაგოგი გახლდათ სოფიო ვარადაშვილი. დღეს გავაზის საჯარო სკოლას ხელმძღვანელობს 21-ე დირექტორი, მე-10 მოადგილე და 247-ზე მეტი პედაგოგი. თამამდ შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ სკოლას ოდითგანვე ჰყავდა ისეთი ხელმძღვანელობა და პედაგოგები, რომელთა წარმატებული მუშაობა ყოველთვის აისახებოდა მომავალი თაობის სწორად აღზრდასა და აკადემიურ მოსწრებაზე. ამის დასტურია, რომ სკოლას ჰყავდა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი-მარიამ იმედაშვილი, უფროსი მასწავლებლის სტატუსის მატარებელი-ვალიდა კეწელაშვილი, სახალხო დეპუტატი და გაზეთ „სახალხო განათლების“ საკუთარი და გაზეთ „ყვარლის“ შტატგარეშე კორესპონდენტი, „შრომის ვეტერანის“ მედლის მატარებელი, „მეთოდისტი-მასწავლებლის“ წოდების მქონე, რესპუბლიკურ კონკურსში „კითხულობს მასწავლებელი“ პირველი ხარისხის დიპლომით და ამასთან, სხვა საპატიო სიგელებთან ერთად რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებზე ორჯერ მეორე ხარისხის დიპლომით დაჯილდოებული-გიორგი ვარადაშვილი, განათლების პროფკაშირის მიერ დაჯილდოებული „წარჩინებული პედაგოგის“ და „ სახალხო განათლების წარჩინებული“ მასწავლებელი-მარიკა სიყმაშვილი, ი.გოგებაშვილის სახ.მედალით დაჯილდოებული-ქეთევან ბანდუკაშვილი.

– გავაზის საჯარო სკოლის შენობა ერთერთი საუკეთესოა ქვეყნის მასშტაბით. რა სიკეთე მოუტანა ევრო დონის კომფორტმა პედაგოგიურ კოლექტივს და როგორი გავლენა მოახდინა რეფორმების განხორციელების პროცესზე?

– დიახ, უნდა ითქვას, გავაზის საჯარო სკოლის შენობა ერთერთი საუკეთესო შენობაა არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ ამიერკავკასიის მასშტაბით. 600 მოსწავლეზე გათვლილი, თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი სასკოლო შენობა თავისი ფართო და ნათელი საკლასო ოთახებით, ფოიეებით, სპორტული და 333 ადგილიანი სააქტო დარბაზით, ბიბლიოთეკით, ექიმის კაბინეტით, საინფორმაციო და საბუნებისმეტყველო-ლაბორატორიით, სპეც.მოსწავლეთათვის ადაპტირებული გარემოთი, ლიფტით და თანამედროვე გათბობის სისტემით ხელმისაწვდომია 380 მოსწავლის სწავლა-სწავლებისათვის და აღზრდისათვის. ბოლო წლებში სკოლამ შეიძინა უამრავი რესურსი, თვალსაჩინოება და თანამედროვე ტექნიკა, საგაკვეთილო პროცესისა და კლასგარეშე-შემოქმედებითი ღონისძიებების სრულყოფისათვის. სასიამოვნო გარემო პირობებმა და ყველაფერმა ერთად, დადებითად განაწყო მასწავლებელიც და მოსწავლეც – ამაღლდა მოტივაცია. მეტი პასუხისმგებლობა გაჩნდა პედაგოგებში საქმისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით. გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა. შემიძლია გავიხსენო სკოლის მოსწავლეთა რამოდენიმე წარმატება უახლესი წარსულიდან დღემდე:

1. ჯგუფური პროექტი – „თარგმანები“.მონაწილეებმა ჯილდოდ დაიმსახურეს სიგელები და პერსონალური კომპიუტერი.

2. ინგლისური ენის საერთაშორისო მე-9 და მე-10 წერითი ოლიმპიადის გამარჯვებულმა ხუთმა მოსწავლემ დაიმსახურა დიპლომები.

3. „ლეონარდო დავინჩის“ გამარჯვებული.

4. „ეტალონის“ გამარჯვებული.

5. „ფლექსის“პროგრამაში გამარჯვებული.

6. „სამოქალაქო ოლიმპადის“რესპუბლიკურ ტურში გამარჯვებული.

7. კავკასიის უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული ოთხი მოსწავლე.

8. „არამატერიალურ-კულტურული მემკვიდრეობის“ კონკურსში გამარჯვებული.

9. „სამშობლო ჩემი უბნიდან იწყება“ კონკურსში მოპოვებული წარმატება.

10. „საშობაო ბარათები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან“ – საერთაშორისო პროექტში წარმატებული მონაწილეობა.

11. სპორტის მიმართულებით წარმატებები (ჭიდაობა, ფეხბურთი)...

12. მუსიკის საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივლებში გამარჯვებული მოსწავლე.

...და კიდევ უამრავ სხვა პროექტებში აქტიური მონაწილეობა და ჩართულობა. ასევე, ყოველწლიურად გვყვავს სხვადასხვა უნივერსიტეტებში გრანტით ჩარიცხული მოსწავლეები.

– რით შეიძლება იამაყოს სკოლამ დღეს?

– მე ვიტყოდი, რომ გავაზის საჯარო სკოლას საამაყო მართლაც აქვს.

1. დავიწყებ იმით, რომ 2002 წლიდან რაიონში პირველად გავაზის საჯარო სკოლას ჰყავდა პირველი მოხალისე ამერიკელი მასწავლებელი და სულ ჯამში გვყვავდა შვიდი მოხალისე.

2. ჩართულები ვიყავით „სამოქალაქო ინტეგრაციის განვითარების“ პროექტში და დავმეგობრდით მარნეულის რაიონის სოფელ ქაფანახჩის აზებაიჯანულ სკოლასთან. გვქონდა გაცვლითი ურთიერთობები.

3. დავმეგობრით აშშ-ს კალიფორნიის შტატის ქ.ესპარტოს სკოლასთან და გვქონდა გაცვლითი ურთიერთობები.

4. დავმეგობრდით ეგვიპტის ამერიკულ კოლეჯთან და გვქონდა გაცვლითი ურთიერთობები.

5. გავაზის საჯარო სკოლის რვა კურსდამთავრებული სხვადასხვა დროს ერთწლიანი პროგრამით იმყოფებოდნენ სასწავლებლად აშშ-ში: შოთა ცუკოშვილი, გიორგი გიორგაშვილი, ნიკა ბერიაშვილი, გიორგი ბებურიძე, სალომე ბებურიძე, ნინო ხუციშვილი, ნინო ბულბულაშვილი, გიორგი ვარადაშვილი.

6. გავაზის საჯარო სკოლა არის სამი გმირის მშობლიური სკოლა, რომლებმაც თავი შესწირეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. გელა მებაღიშვილი – 8 აგვისტოს გმირია. კახა ნანოშვილი – მოხალისედ წავიდა აფხაზეთის ომში. კობა წაწიშვილი – შს სამსახურებრივი მოვალეობის დროს შეეწირა სამშობლოს სენაკში.

7. სკოლაში გვაქვს „გმირების მემორიალური დაფები“ და ასევე, გელა მებაღიშვილის მემორიალური კუთხე.

8. ტრადიციულად, ყოველწლიურად ვაკეთებთ „საქველმოქმედო“კონცერტს და ასევე, „მადლიერების დღის“აღსანიშნავ ღონიძიებას, სადაც ჩართულია სკოლის ყველა მოსწავლე და მასწავლებელი. შემოწირულ თანხას და სურსათ-სანოვაგეს ვუნაწილებთ სოფლის უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს.

9. სკოლაში გვაქვს „სასკოლო ეთნოგრაფიული“ მუზეუმი.

10. გავაზის სკოლას ჰყავს გოგონათა მუსიკალური ჯგუფი-კვარტეტი „ანეთი“.

11. ამჟამადაც ჩართულები ვართ სამოქალაქო ინტეგრაციის განვითარების პროგრამაში. გავაზისა და თივის სკოლებს შორის.

– პედაგოგთა კვალიფიკაციის დონე თუა სათანადო სიმაღლეზე და რამდენი გყავთ სერთიფიცირებული პედაგოგი?

– დღევანდელი მდგომარეობით, გავაზის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა სწავლა-აღზრდას ემსახურება 49 პედაგოგი. მათგან 12 უფროსი მასწავლებელია, ხოლო დანარჩენი 37 პრაქტიკოსი. თითოეულ მათგანს გააჩნია პედაგოგის კვალიფიკაცია და შემიძლია გითხრათ უფრო მეტიც. უმეტესი მათგანი ატარებს პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსს, მაგრამ საუკეთესოდ ასრულებენ პედაგოგის უფლება-მოვალეობებს და წარმატებები აქვთ მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში.

– თქვენ მეგობრული ურთიერთობა გქონდათ აშშ-ის კალიფორნიის შტატის სკოლასთან. როგორ გრძელდება ეს ურთიერთობები?

– დიახ, ჩვენ სკოლას ჰქონდა მეგობრული ურთიერთობები ქ. ესპარტოს „ High School“-თან და ასევე, ეგვიპტის ამერიკულ კოლეჯთან, რომელიც მხოლოდ ორი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ამჟამად, რამდენადაც ვიცი, პროექტი აღარ ფინანსდება აშშ-ს მთავრობის მიერ და მეგობრული ურთიერთობები მხოლოდ ვირტუალურად გრძელდება.

– თქვენ შესანიშნავი მუზეუმი შექმენით. ვისი ინიციატივა იყო და ვინ შეიტანა წვლილი სამუზეუმო ექსპონატების მოძიებაში?

– გავაზის საჯარო სკოლას, ამ უზარმაზარ ლამაზ სასკოლო შენობას, ასევე ამშვენებს „სასკოლო ეთნოგრაფიული მუზეუმი“, რომელიც 2013 წელს, პირადად ჩემი ინიციატივით შეიქმნა.

...ასეთ ამბავს გავიხსენებ. 2012 წელს ჯერ კიდევ მყავდა 93 წლის პაპა(-დედის მამა). ერთხელ მასთან სტუმრობისას თვალში მომხვდა საწოლთან კოხტად დაკიდული ქალამნები. შეკითხავზე, თუ კიდევ ატარებდა ქალამნებს, მიპასუხა – მაგის შეკვრის თავი სადღა მაქვსო და დაამატა, შენ თუ გინდა წაიღეო. გამეცინა-მე რად მინდა მეთქი. შემდეგ მისვლაზე პატარა სამფეხა ძველისძველი სკამი მომხვდა თვალში. გამახსენდა ჩემი ბავშვობის სკამი. სწორედ იმ წუთს „გამიელვა“ თავში, რომ წამომეღო სკამიც და ქალამნებიც და ...ზუსტად ერთი წლის განმავლობაში ჩემს მეუღლესთან ერთად, რომელიც ძალიან დამეხმარა, ჩემს მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებთან ერთად და პედაგოგების, მშობლების, თანასოფლელების, სხვა სოფლელების გვერდში დგომით, გულისხმიერებით, ჩვენ მოვაგროვეთ, როგორც მე-18, მე-19, ასევე, მე-20 საუკუნის დასაწყისის უნიკალური უძველესი ნივთები.

ყველაფერი ის, რაც წარსულთან გვაკავშირებს, ჩვენი საგანძურია, ჩვენი კულტურაა და სწორედაც თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს. ადამიანის ყველაზე დიდი პატივი და ღირსება ისტორიის პატივისცემაა. წარსულის მემკვიდრე და პატრონიც ის არის, ვინც მომავალზე ფიქრობს და აწმყოს აშენებს. ჩემი დიდი სურვილი, რომ შემექმნა „ერთი დიდი ძველი ოჯახი“ ნაწილობრივ, ვფიქრობ გამომივიდა. ჩემი მიზანი-მომავალი თაობისათვის თვალსაჩინო გახდეს ჩვენი მხარის-ჩვენი კახეთის ეთნოგრაფიული ყოფის უძველესი საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ტრადიციები, არ იქნეს მივიწყებული ჩვენი წინაპრების ყოფა-ცხოვრების ამსახველი მომენტები და ის, რაც ქართულმა ეთნოგრაფიულმა ყოფამ შემოინახა ყველას ახსოვდეს, შეიგრძნოს, ვფიქრობ ნაწილობრივ მაინც შევძელი.

ჩვენი სკოლის ყველა საგნის პედაგოგებისათვის სკოლის მუზეუმი არის ხელმისაწვდომი დამხმარე თვალსაჩინო მასალა. აქ ტარდება სხვადასხვა სახის საგნობრივი თუ შემოქმედებითი სახის საჩვენებელი გაკვეთილები-მომავალი თაობის სწორად აღზრდის, ჯანსაღად მოაზროვნე, წარსულის პატივისმცემელი ქართველი ადამიანის ჩამოყალიბებისთვის. იგი ყოველთვის არის და იქნება „ ადგილზე“ სწავლების შესანიშნავი რესურსი.

– თქვენი სკოლის კურსდამთავრებულების შესახებ რას გვეტყვით? რამდენად წარმატებული გამოდგა მათთვის გავაზის სკოლაში მიღებული ცოდნა და შეგიძლიათ თუ არა განსაკუთრებით წარმატებული ადამიანების გამორჩევა?

– გავაზის სკოლა 130 წლის მანძილზე ყოველთვის გამოირჩეოდა, როგორც მოსწავლეთა რაოდენობის, ასევე, აკადემიური მოსწრებითაც. მე ვიტყოდი, რომ ჩვენი სკოლა შორეული წარსულიდან დღემდე, უამრავი განათლებული ადამიანის მშობლიური სკოლაა. რა ინფორმაციაც გამაჩნია, შევეცდები გავიხსენო მათგან ზოგიერთი.

- საბა (ფეხშველა) ვარადაშვილი – სოფლის მამასახლისი;
- სოფიო ვარადაშვილი – პირველი ადგილობრივი პედაგოგი;
- ამირან კობახიძე – საქართველოს საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;
- ქეთო სეფაშვილი (ჯანელიძე) – ექიმი;
- ზურაბი ვარადაშვილი – პირველი ადგილობრივი დირექტორი;
- ჯემალ ხარებავა – ყვარლის რაიკავშირის თავმჯდომარე;
- როსტომ სესიაშვილი – ყვარლის რაიაღმასკომის თავმჯდომარე;
- საბა (ბიჭიკო) ვარადაშვილი – საქართველოს გამწვევი კომისიის შტაბის უფროსი;გურჯაანის სამხედრო კომისარი;
- ალექსი თათრიშვილი – დოცენტი;
- გიორგი სიბაშვილი – პროფესორი;
- სოსო პაკაცოშვილი – ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი. ატომური ყინულმჭრელი გემის ფიზიკური სამსახურის უფროსი. პირველი ქართველი ჩრდილოეთ პოლუსზე;
- ნატა ვარადაშვილი(ნატა ვარადა)-პოეტი და მწერალი;
- ეტაპობრივად გავაზის საჯარო სკოლა უამრავმა ახალგაზრდამ დაამთავრა წარჩინებით. სასიამოვნოა იმ ფაქტის გახსენება, რომ 60-იანი წლებიდან დღემდე გვყვავს ოქროს და ვერცხლის მედლის მფლობელი მოსწავლეები: ჯული პაკაცოშვილი, როლანდ ვარადაშვილი, ლიური თეთრაშვილი, ლევან გოზალიშვილი, ნინო ბერიაშვილი, ვაჟა კეწელაშვილი, სალომე ბებურიძე, ლიკა მაჭავარიანი, ვალერი მარაქველიძე, ვალერ გიორგაშვილი, სოფიკო გიორგაშვილი.

აღარაფერს ვამბობ, როგორც საჯარო, ასევე ჯანმრთელობის, განათლების, ადმინისტრაციული სისტემების, კერძო სტრუქტურაში დასაქმებული წარმატებული, განათლებული, პროფესიონალი ახალგაზრდა ადამიანების შესახებ, რომლებიც ღირსეულად განაგებენ საპასუხისმგებლო თანამდებობებს.

– დღეს ყველაზე მეტად რა სჭირდება სკოლას.თუ გაქვთ სერიოზული პრობლემები?

– საბედნიეროდ, გვაქვს ისეთი სასკოლო შენობა, რომელიც აღჭურვილია ყველანაირი სასკოლო ინვენტარით, ადამიანური თუ სასწავლო რესურსით და გარემოთი. მთავარი და ერთადერთია-გქონდეს სწავლა-სწავლების დიდი სურვილი. ამ ეტაპზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მხოლოდ მშენებლობის დროს წარმოშობილი ხარვეზი – საკანალიზაციო სისტემასთან დაკავშირებით, რომლის შეცვლისათვის იმედიანი თვალით ვიყურებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსაკენ.

ესაუბრა
ალექსანდრე გიგილოშვილი

10 მარტივი და რეალური რჩევა: როგორ შევამციროთ საწვავის ხარჯი?

საწვავის ფასი ყოველთვის აქტუალური თემაა. ის ხშირად იზრდება, იშვიათად კლებულობს და ბევრ ავტომფლობელს ჯიბეს უცარიელებს. ბუნებრივია, ყველას სურს ხარჯის შემცირება. გამოცდილი მძღოლები ამას მეტნაკლებად ახერხებენ, გამოუცდელებს კი...

არსებობს რამდენიმე მეთოდი, რომელიც თქვენი ავტომობილის აპეტიტს ოდნავ მაინც მოთოკავს. მათ სწორედ გამოცდილი მძღოლები გვიზიარებენ:

1. ავტომობილი მუდამ გამართული უნდა იყოს!

როდესაც ავტომობილის აგრეგატი და ყველა კვანძი გამართულად მუშაობს, ავტომობილი მაქსიმალურად ნაკლებ საწვავს მოიხმარს. ამასთან, მისი მექანიზმების კონტროლი მუდმივად საჭიროა. კერძოდ:

► პერიოდულად უნდა შემოწმდეს ჰაერის და საწვავის ფილტრები. მათი დაბინძურება საწვავის ხარჯს დაახლოებით 4 პროცენტით ზრდის.

► ძრავისთვის მხოლოდ ის ზეთები უნდა გამოიყენოთ, რომლებიც მისთვისაა რეკომენდებული. ამ შემთხვევაში, საწვავის ხარჯი დაახლოებით 2 პროცენტით შეიძლება შეამციროთ.

► საბურავებში ოპტიმალური წნევა შეინარჩუნეთ. თუ წნევა დაეცა, საწვავის ხარჯის ზრდასთან ერთად, საბურავის მუშაობის რესურსიც შემცირდება. ამიტომ, საბურავებში წნევა თვეში ერთხელ მაინც უნდა შემოწმდეს. ასე საწვავის ხარჯის დაახლოებით 3 პროცენტით შემცირებას მიაღწევთ.

► დაბერეთ საბურავები წიგნში მოცემულ, რეკომენდებულ ნორმაზე 0.2-ით მეტით. ეს კიდევ უფრო ამცირებს საწვავის ხარჯს.

2. ავტომობილი ტვირთით ზედმეტად არ დაამძიმოთ

ავტომობილის წონის ზრდა პირდაპირ აისახება საწვავის ხარჯზე. რაც უფრო მსუბუქია ავტომობილი, მის აჩქარებას მით ნაკლები ენერგია და შესაბამისად, საწვავი სჭირდება. ამიტომ ზედმეტი, უსარგებლო საგნები ხარჯს მხოლოდ გაზრდის. ცნობისათვის, 100 კილოგრამი ზედმეტი წონა, საწვავის ხარჯს (100 კილომეტრზე) 0.4 ლიტრით ზრდის.

► გაათავისუფლეთ თქვენი ავტომობილი ბალასტისგან. ამოიღეთ ყველაფერი, რაც ყოველდღე არ გჭირდებათ – თითოეულ გრამს მნიშვნელობა აქვს. წონის დაკლება ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ საწვავის ხარჯი შემცირდება. ზოგიერთი მძღოლი, საწვავის ეკონომიის მიზნით, სათადარიგო საბურავს და შესაბამის აღჭურვილობასაც სახლში ტოვებს.

3. მართეთ რბილად

მკვეთრი აჩქარება და მკვეთრი შენელება მაგისტრალზე ხარჯს 30 პროცენტით გაზრდის, ქალაქში კი – 40 პროცენტით!

► ამიტომ კარგი იქნება, თუ უხეშად მართვაზე უარს იტყვით და მშვიდ, რბილ მართვას მიეჩვევით! სხვა თუ არაფერი, ამით გარემოსაც ნაკლებად დააბინძურებთ.

4. დაიცავით დისტანცია!

დისტანციის დაცვა შესაძლებლობას მოგცემთ, წინასწარ გათვალოთ ნებისმიერი სიტუაცია და თავიდან აიცილოთ როგორც სწრაფი მუხრუჭი (და შესაბამისად, ხუნდების ცვეთა), ასევე სიჩქარის თავიდან აკრეფა და იმ მომენტში საწვავის ხარჯის შესაბამისი მატება.

5. გააკონტროლეთ სიჩქარე

საშუალო სიჩქარით გადაადგილება საწვავის დაზოგვის უებარი საშუალებაა. წონის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც საქმეში ფიზიკის კანონი ერთვება: სიჩქარის ზრდის კვალობაზე, პირდაპირ-პროპორციულად იზრდება შემხვედრი ჰაერის წინააღმდეგობა.

► უმეტეს ავტომობილებზე, ხარჯი 80 კმ/სთ სიჩქარეზე მაღლა იზრდება. კერძოდ, 96 კმ/სთ სიჩქარისას, ხარჯი 14 პროცენტით მეტია. ამიტომ, მგზავრობისას, ოპტიმალური სიჩქარის შენარჩუნებით, ხარჯის საშუალოდ 15 პროცენტით შემცირებაა შესაძლებელი.

6. ნაკლებად ისარგებლეთ კონდიციონერით

სიცხეში ძრავა უფრო ეკონომიურად მუშაობს – ოპტიმალურ ტემპერატურამდე გახურებისთვის ნაკლები დრო ჭირდება. თანაც, თბილი ჰაერი ნაკლებ აეროდინამიკურ წინააღმდეგობას იწვევს. მაგრამ თუ კონდიციონერს ჩართავთ, საწვავის ხარჯი შესაძლოა 25 პროცენტითაც კი გაიზარდოს. ამიტომ:

► დაბალ სიჩქარეზე ფანჯრების გაღება სჯობს, მაღალ სიჩქარეზე კი მაინც კონდიციონერი უკეთესი ვარიანტია, რადგან მაღალ სიჩქარეზე, ღია ფანჯარა ჰაერისადმი წინააღმდეგობას ზრდის, რაც ასევე იწვევს მეტი საწვავის ხარჯვას.

► კონდიციონერი მას შემდეგ ჩართეთ, რაც მანქანა დაიძვრება. გაჩერებულზე ღია ფანჯრებით გაგრილება ამჯობინეთ.

7. ძრავის გახურებას ზედმეტი დრო არ დაუთმოთ

ცივ ამინდში ხარჯი მეტია – მინუს 25 გრადუსზე საწვავის ხარჯი დაახლოებით 12 პროცენტით იზრდება, მოკლე მანძილზე გადაადგილებებისას კი, ხარჯის ზრდა 22 პროცენტსაც კი აღწევს. თანამედროვე ავტომობილები, დაქოქვიდან დაახლოებით ერთ წუთში დაძვრის საშუალებას იძლევიან. თუ მაგალითად 3.0-ლიტრიანი ძრავით აღჭურვილი ავტომობილის „გახურებას“ 10 წუთს დაუთმობთ, დაახლოებით 0.2 ლიტრ საწვავს ქარს გაატანთ...

► თუმცა ბოლო დროს გაჩენილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადგილზე გახურება ძრავას ვნებს, მითია! გახურება ძრავისთვის ნამდვილად კარგია, უბრალოდ, ადგილზე გახურება აღარ არის აუცილებელი. სანამ ძრავა არ გათბება, მოერიდეთ მის მაღალ ბრუნებზე მუშაობას!

► მარტივად რომ ვთქვათ, მანქანა თამამად შეგიძლიათ დაძრათ ძრავის ამუშავებიდან 1 წუთში, მაგრამ ნუ ამუშავებთ მაღალ ბრუნებზე მანამ, სანამ ოპტიმალური ტემპერატურა არ დაფიქსირდება.

8. როდის აქვს აზრი ძრავის გამორთვას?

ყველას გვახსოვს, რომ ჩვენი მამები და ბაბუები დაღმართზე ძრავებს აქრობდნენ და ამას საწვავის ეკონომიის მიზნით აკეთებდნენ. თანამედროვე ავტომობილის შემთხვევაში ასეთი რამ, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

► საწვავის დაზოგვის მიზნით დღეს ძრავის გამორთვას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც ვდგავართ (მაგალითად, მძიმე საცობში) და ზუსტად ვიცით, რომ მინიმუმ 2 წუთი მაინც მოგვიწევს დგომა. თუ დგომის დრო 1 წუთზე ნაკლებია, ძრავის გამორთვას ფაქტობრივად აზრი არ აქვს, რადგან თავიდან დაქოქვისას მანქანა დაზოგილზე მეტ საწვავს დახარჯავს.

9. შუქნიშანთან მიახლოვებისას...

როცა წინ შუქნიშანზე წითელი ანთია, შეეცადეთ, შუქნიშანთან მიახლოვებისას, დაიცვათ გონივრული დისტანცია და იმდენი მოახერხოთ, რომ ჯერ დამუხრუჭება და მერე მანქანის ადგილიდან დაძვრა არ დაგჭირდეთ, რადგან ასეთ დროს ავტომობილი გაცილებით მეტ საწვავს მოიხმარს, ვიდრე მაშინ, როცა უკვე დაძრულს რბილად ააჩქარებთ.

10. გადართეთ დროულად და მოერიდეთ მაღალ ბრუნებს!

თუ თქვენს ავტომობილს მექანიკური გადაცემათა კოლოფი აქვს, ნუ დაგეზარებათ გადართვა და შეეცადეთ, რომ ტახომეტრის ისარი იშვიათად გადასცდეს 2000 ბრუნს.

► ეს ეხება როგორც მექანიკას, ისე ავტომატიკასაც: არასდროს დაიწყოთ მოძრაობა ძლიერი გაზით! მთავარია, ტახომეტრის ისარი 2000-ს იშვიათად ან საერთოდ არ ასცდეს. თუ გსურთ, რომ თქვენმა მანქანამ მაქსიმალურად ნაკლები საწვავი მოიხმაროს, გამორიცხეთ ძრავის მაღალ ბრუნებზე მუშაობა.

დასკვნა

ვისაც საწვავის ხარჯის შემცირება უნდა, ავტომობილი მშვიდად და გასწონასწორებულად უნდა მართოს. ცხადია, რთულია იმის აღიარება, რომ ავტომობილის ტარებისას ბევრ შეცდომას ვუშვებთ, მაგრამ ეს სულაც არ არის სამარცხვინო: ჩვენ ხომ ტარება გვასწავლეს და არა საწვავის დაზოგვა – შესაბამისად, ვმართავთ ისე, როგორც გვინდა და როგორც მოგვიხერხდება. ამ რჩევების გათვალისწინებით საწვავის ხარჯი მინიმუმ 10 და მაქსიმუმ 20 პროცენტით შემცირდება.

რატომ არ ისურვა სტალინმა პეტრე პირველის ქართველობის სამზეოზე გამოტანა?!

რუსეთის ისტორიაში პეტრე პირველი აღიარებულია უძლიერეს მეფე-იმპერატორად, ასევე უპირველეს სახელმწიფო მოღვაწედ და სარდლად. იგი იყო მეფე ალექსეი მიხაილოვიჩის ერთადერთი ვაჟიშვილი მეორე ქორწინებიდან (ნატალია ნარიშკინასგან).

„იყო ჩრდილოეთს ხელმწიფე,
თეთრი რუსეთის მჭირველი,
თვითმპყრობელობის მიმღები,
პეტრედ ცხებული პირველი“.

ასე წერდა ქართლის ჭირითა და უიმედობით შეძრული დავით გურამიშვილი და საქართველოს „ხსნას“ ისიც რუსეთის დიდი იმპერატორის მსგავსთა შემწეობით მოელოდა... თუმცა დავით გურამიშვილს იმ დროს მოუწია მოსკოვს ჩასვლამ, როცა პეტრე პირველი უკვე ოთხი ნლის გარდაცვლილი იყო, მაგრამ დიდი იმპერატორის სახელი ისევ ქუხდა რუსეთის ძლევამოსილ იმპერიაში.

რუსეთის ისტორიაში პეტრე პირველი აღიარებულია უძლიერეს მეფე-იმპერატორად, ასევე უპირველეს სახელმწიფო მოღვაწედ და სარდლად. იგი იყო მეფე ალექსეი მიხაილოვიჩის ერთადერთი ვაჟიშვილი მეორე ქორწინებიდან (ნატალია ნარიშკინასგან).

სახელი პეტრე ბერძნულად ნიშნავს კლდეს (როგორც ცნობილია, პეტრე, ანუ კლდე ზედწოდება გახლდათ იესო ქრისტეს უახლოეს მონაფე სიმონისა. სიმონმა ეს წოდება თვით იესოსგან მიიღო). ამდენად, სახელი პეტრე ღვთიური მადლით იყო ცხებული.

პეტრე პირველი თავადაც კლდესავით მაგარი და მტკიცე იყო, გამჭრიახი. გარშემო შემოკრებილი ჰყავდა ნიჭიერი, ერთგული მოღვაწენი, რომელთა შორის ერთ-ერთი გახლდათ ქართველი ბატონიშვილი ალექსანდრე, არჩილის ვაჟი. იგი თან ახლდა პეტრე პირველს საზღვარგარეთ, თავის დროზე შესაფერის განათლებამიღებულს არ გასჭირვებია რუსული არტილერიის პირველი სარდლის პოსტზე დგომა.

რუსეთის დიდ იმპერატორზე სხვადასხვა ჟანრის არაერთი ნაწარმოები, წიგნი და მონოგრაფია შეიქმნა. მხატვრულ ნაწარმოებთა შორის გამორჩეულია რუსი მწერლის, ალექსეი ტოლსტოის რომანი-ეპოპეა „პეტრე პირველი“. თავის დროზე ეს ნაწარმოები რუსულ მწერლობაში უმნიშვნელოვანეს მოვლენად აღიარეს. რომანში ავტორი ცდილობს რუსი ხალხისა და რუსეთის სახელმწიფოებრიობის საიდუმლოებათა ამოხსნას. რომანი-ეპოპეა ორ წიგნად გამოიცა გასული საუკუნის 30-40-იან წლებში, მესამე წიგნი კი მწერალს დაუმთავრებელი დარჩა.

პირველი წიგნი მოიცავს ეპოქას პეტრეს ბავშვობიდან დავაჟკაცებამდე.

ჩვენთვის საინტერესოა პეტრეს ბიოგრაფიის ზოგიერთი მომენტი, კერძოდ, მისი გენეტიკური წარმომავლობა. რომანში ეს ე.წ. საიდუმლოება გახსნილი არ არის. გავრცელებული ვერსიით, რუსეთის მეფე ალექსეი მიხაილოვიჩის პირველი მეუღლე უკურნებელმა სენმა იმსხვერპლა. პირველ ქორწინებაში შეძენილი ვაჟები სნეულნი იყვნენ, 41 წლის მეფეს კი ჯანმრთელობა გაუუარესდა და ღრმად მოხუცს ჰგავდა.

სამეფო ტახტს შთამომავალი არ ჰყავდა, ამიტომ პატრიარქ ნიკონის დაჟინებული მოთხოვნით, მეფე მეორედ დაქორწინდა 20 წლის თავადის ასულ ნატალია ნარიშკინაზე. ნატალიასთან, მის რუსეთის დედოფლად გახდომამდე, „მეგობრობდა“ ახალგაზრდა ქართველი უფლისწული ნიკოლოზი (ერეკლე). იგი კახთა მეფე თეიმურაზ I-ის ვაჟის, დავითის ძე იყო. პაპამ, თეიმურაზმა რუსეთის მეფის კარზე გაგზავნა. იქიდან დაბრუნებული ჯერ ქართლში მეფობდა, შემდეგ კახეთში (ერეკლე II), ბოლოს კი შაჰის სარდალიც გახდა და ნაზარალი-ხანი უწოდეს.

რადგან რუსეთის მეფეს შთამომავალი აღარ ეყოლებოდა, პატრიარქ ნიკონის „არჩევანი“ სწორედ ქართველ ბატონიშვილზე შეჩერდა – ბაგრატიონთა სამეფო გვარის შთამომავალს უნდა „გადაერჩინა“ რუსეთის სამეფო ტახტი უძეობისგან. პატრიარქ ნიკონის აზრით, ეს იყო პოლიტიკური თვალსაზრისით გადადგმული აუცილებელი ნაბიჯი. ამგვარად, ქვეყანას მოევლინა რუსეთის ყველა დროის უდიდესი იმპერატორი, რომლის ძარღვებში ქართველ ბაგრატიონთა სისხლი ჩქეფდა. თუმცა, ცნობილი არ არის, იცოდა თუ არა თავად პეტრე პირველმა თავისი წარმომავლობის საიდუმლო.

გავიხსენოთ ალექსეი ტოლსტოის რომანიდან ერთი ეპიზოდი:

„როდესაც მეფე ალექსეი მიიცვალა, პატრიარქმა ნიკონმა ყველას გასაგონად გამოაცხადა: „ვიგლოვოთ, დიდებულებო“, შემდგომ კი მრავალრიცხოვან შეკრებილთ მიმართა: „მეფის ძეთაგან რომელი აბრძანდეს ტახტზე“. არჩევანი დადგა: პეტრე თუ ივანე? უმეტესობა პეტრეს ირჩევდა, არავის უნდოდა ჭკუასუსტი ივანეს მეფობა.

თუმცა მრისხანებას ვერ ფარავდა მეფის ასული სოფიო, რომელსაც სძულდა დედინაცვალი, რუსეთის დედოფალი ნატალია ნარიშკინა. მან მოუწოდა თავის მომხრეთ: „ნუ შეშინდებით, შუბის წვერზე ააგეთ ჩემი მტრები, ნარიშკინები! ნუ შეშინდებით და ტახტიდან ჩამოაგდეთ ის ბიჭი (ე.ი. პეტრე, მისივე ნახევარძმა), იმ ძუკნის ლეკვი“.

ამგვარად, უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი: ვინ აეყვანათ სამეფო ტახტზე. ერთის დედა ნარიშკინის ქალი იყო, ხოლო მეორის – მილოსლავსკისა. ივანეს მომხრეთა მხრიდან გაიძახოდნენ: „რაზმის უფროსები მოგვეცით. ჩვენ თვითონ განვსჯით... სამრეკლოდან დავუშვებთ თავდაყირა, – გაჰყვიროდნენ მოსულები და მრისხანებდნენ, – რას ფიქრობდნენ ზევით დიდებულნი? რად დაგვინიშნეს მეფედ პაწია პეტრე, ნარიშკინების ბუში?“

თუმცა კი ჭკუასუსტ ივანეს ყრმა, მაგრამ ჯანსაღი პეტრე არჩიეს...

ეს ამონარიდები რომანიდან მრავლისმეტყველი დეტალებია და იქნებ სწორედ აღნიშნულმაც გაამყარა ის გახმაურებული ვერსია, რომლის მიხედვით, პეტრე პირველი წარმომავლობით ქართველი ბაგრატიონია.

აღნიშნულთან დაკავშირებით სრულიად შემთხვევით ერთ მეტად საინტერესო ფაქტს წავაწყდით. გასული საუკუნის 80-იან წლებში კურორტ ჯავის სანატორიუმში ვისვენებდით, სადაც გავიცანი მუსიკათმცოდნე, პროფესორი პავლე ხუჭუა. მან ქართველთა ერთ ჯგუფს აი, რა „გაგვიმხილა“:

„მოსკოვში, ასპირანტურაში რომ ვსწავლობდი, ერთი რუსი ინტელიგენტის ოჯახში მოვხვდი. იქ მოწვეულ მწერალთა და ხელოვანთა შორის აღმოჩნდა ცნობილი რუსი მწერალი ალექსეი ტოლსტოი.

მწერალმა ყველას გასაგონად და გულღიად განაცხადა: – რომან „პეტრე პირველზე“ მუშაობისას მოვიძიე უამრავი საარქივო მასალა და ისტორიული დოკუმენტი, საიდანაც იკვეთებოდა აზრი, რომ პეტრე უნდა იყოს წარმოშობით ქართველი, ბაგრატიონთა შთამომავალი... მე მსურდა აღნიშნული მასალების რომანში გამოყენება. საამისოდ რჩევა-კონსულტაციისთვის მივმართე იოსებ ბესარიონოვიჩ სტალინს. მან გულდასმით მომისმინა და ბოლოს გადაწყვეტით მითხრა: „არ გირჩევთ ამ ფაქტების სამზეოზე გამოტანასო“.

ამდენად, ალექსეი ტოლსტოის რომანში მხოლოდ ქვეტექსტებით თუ იგრძნობა, რომ პეტრე პირველი მეფე ალექსეის ღვიძლი შვილი არ არის.

საინტერესოა, რატომ აარიდა თავი რუსეთის მეორე პეტრე პირველად წოდებულმა სტალინმა ამ ფაქტის გამომზეურებას. ვინ იცის – საბჭოთა იმპერიის დიდ ბელადს არ უნდოდა კიდევ ერთი „დიდი ქართველის“ – პეტრე პირველის ჩრდილში ყოფნა...

სიმონ არველაძე, დარეჯან არველაძე
ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“

პოეზიის სამყაროში

იესოს გამოცხადება საქართველოში!!!

უფლის ნებითა შექმნილა, ჩვენი სამყარო მზიური
მისსივე ნებით ანათებს მაღლა ვარსკვლავნი ციურნი,
მთვარე კი ღამის ეტლია, სამოთხის ხიდის მომრთველი
დილის სხივს მზისგან ნაჩუქარს, მიეგებება მლოცველნი.

გაივსო ხალხით მიდამო, ტევა არ არის კაცისა,
ნეტავ რა ხელმა ააგო, კედლები სალოცავისა,
კედლების შიდან მოისმის, ლოცვა-კურთხევა უფლისა,
ანგელოზები ჰანგებით, გალობენ ოთხსავ კუთხისა.

წმინდა მარიამ ღვთისმშობელს, ცრემლი შეაშრა თვალზეა,
პირმშო იესო იღიმის, კვლავ რომ გააკრან ჯვარზეა,
და ამ ჯვარს ყველა ატარებს, ქრისტიანულად ნათლული,
დაგელოცებათ ოჯახი და პურ-მარილი ქართული.

იწამეთ მისი მოსვლა და იწამეთ მისი სახელი,
დედამიწაზე მის მოსვლას მოეფინება ნათელი
თვითეულ ჩვენგანს აჩუქებს სულსა წმინდასა ნათელსა
მაშ, გაუმარჯოს ამ ქვეყნად იესო ქრისტეს სახელსა.

ლოცვით იღვიძებს სამყარო, დილა თენდება მზიური
ცეცხლი ანათებს კაშკაშა, ცეცხლი სამოთხის ღვთიური,
სუყველამ გაინაწილეთ, მთელ საქართველოს ეყოფა,
ხელი მოჰკიდეთ ძმამ-ძმასა, შური და მტრობა გეყოფათ!

ვფიქრობ, რომ დავიღალენით და აღარ გვაქვს სათქმელი.
ეკლესიაში დავანთოთ, ჩვენ სათითაოდ სანთელი,
მის შუქზე ერთად ვილოცოთ, გულში დავინთოთ ლამპარი.
კაცობრიობამ ირწმუნოს და არ ეგონოს ზღაპარი.

ღმერთმა გვაჩუქა ქართველებს, ედემის ბაღის მშვენება,
დღითი-დღე კიდევ ემატოს, საქართველოსა შენება!
გულს ჩამეღვარა ცეცხლი ღვთიური,
შენახული მაქვს სულის უბეში.
მე გიწილადებთ თითო ნაპერწკალს,
ღვთისაგან არის დიდი ნუგეში.

ასედ გადმომცეს და ასეთ მითხრეს,
ცეცხლი გადავცე მას ვისაც სჭირდეს,
სული წმინდა აქვს ვინც მას იწამებს, მისთვისვე სჭრიდეს.
იწამეთ სანამ არ არის გვიან, მისი მოსვლა და მისი სახელი,
ის თვითონ ზეცით ჩამოვა ჩვენთან,
მოეფინება თქვენს გულს ნათელი.

დაილოცება დედამიწაზე, ყველა ვიქნებით მისი ნათლული,
დაილოცება თვით საქართველო, დაილოცება ენა ქართული!

ბესიკ მზექალაშვილი

9 აპრილის გახსენება

გული ვერ იტევს ტკივილს,
დამწუხრებულა ერი,
გლოვა ვაი და უი,
მსხვერპლი საკმაოდ ბევრი.
დაჩლუნგებულა ენა,
დამძიმებულა სული,
ვინ ჩაიდინა ნეტავ,
განზრახვა ასე მტრული?
„ობოლი ერი“ ტირის,
ხალხს ამოუჯდა გული,
ხალხი ჰგოდებს და მოსთქვამს,
თვალს არ ედება ლული,
უნდა გაირკვეს ალბათ,
ვინ გაგვიბზარა გული!?
ვინ გაგვიმეტა ასე, ვინ დაგვშანთა სული.
ვის რა შეშურდა ნეტავ?
რისთვის გაგვიხდა მტერი,
გასაკვირია ნუთუ?
რომ ვართ ამაყი ერი,
სამშობლოვ ჩვენო წმინდავ!
სათაყვანებელო ერის,
ვერ დაგიცავით კარგად
გადინეს ცხარე ცრემლი.
რა დამნაშავე შენ ხარ?
რომ ხარ სიმართლის მთქმელი,
ვერცა იცრუოს ვინმემ!
თითქოს აუგის მთქმელი,
ნურცა დაგწამოს ვინმემ!
ვითომც მშვიდობის მტერი.
ვფიცავ მაღალ ღმერთს, რომ ხარ
სულით ძლიერი ერი,
ვერ მოკლეს სუმთლად მაინც
შენი ქართული გენი,
ოდითგან მოგდევს სუნთქვა
განათლებული ერის.
დედაენაც გაქვს ღირსი
და დამწერლობაც ძველი,
არც მიწა გინდა სხვისი,
გაქვს შენი შესაფერი,
თუმცა მოგტაცეს ისიც,
ღვთისგან წილი და ხვედრი,
არ ედავები ვინმეს,
მიმტევებელი მტერის,
ვიცი დაგჩაგვრენ მაინც
კიდეც იდავო ბევრი.
ზღვაც გაქვს, ხმელეთიც, მზეც და
ანკარა წყაროც, მთებიც,
სარწმუნოება? – წმინდა
მართლაცდა შესაფერი.
მგოსნებიცა გყავს უხვად,
ფილოსოფოსნიც ბევრი.
მოხუცს ადგილი თვისი,
ბავშვს სიტყვა მოსაფერი,
ჭირში და ლხინში თან გდევს
ტრადიციები ძველი,
სხვა რომ არა ვთქვათ კმარა!
სათქმელი კი გვაქვს ბევრი...
იკადრებს ვინმე დავას?
რომ ხარ ძირძველი ერი,
შენ საქართველო გქვია –
სახელი შესაფერი.

ვანო ნანიკაშვილი

მერამდენეა?!

ეს მერამდენე გაზაფხულია
და მხრებზე ნისლი, ეს მერამდენე,
რატომ ჩაგვიტყდა კიბე ადრიან,
რატომ მივედით ჩვენ ასეთ დღემდე.

ყოველი დროის ფერთა ნახატი
წავა, გაივლის, დროს ეჭიდება,
შენ კი არასდროს არ გადაივლი,
ფიქრი არავის დაეკითხება.

წლები მიდიან, როგორც მოდიან...
რას მჩუქნის ახალს, შენ რომ გახარო,
შენა ხარ ჩემი დილაც, საღამოც
და ამ ვაების დიდი მალამოც.

მე შენთანა ვარ, ყველა სივრცეში,
ან ვინ დამიშლის შენზე გოდებას,
შენით ყვაოდა ჩემში ზამთარი,
ჩვენ ერთი გვქონდა ყველა ოცნება.

არ ვითვლი წლებს, თუ მერამდენეა...
გულს საღირალი მონყდა მშვენება,
ჩემო მომავლის საგალობელო,
შენით ღამდება, შენით თენდება.

მწარე მონატრება

(ჩემს შვილს)

მე არც აპრილის თოვას ვინატრებ
და არც მაისის ფერთა სილაღეს,
მე მხოლოდ შენი ნახვა მწყურია,
არყოფნას შენთან, მხოლოდ ვიდარდებ.

წლებმა დათოვა ჩემს მხრებზე, თუმცა
შენს დაბრუნებას ველი რატომღაც,
შენ უსასრულო ფიქრის ძაფი ხარ
და შენმა ხილვამ არც რომ დამტოვა.

ჭკნება ყოველი, წელთა სიმრავლეს
ქარი დროს აყრის დასავიწყებლად,
შენ ისევ ის ხარ, ჩემი ვარდნარი
დარდი, სიცოცხლის დასამიწებლად.

ამაზე მეტი, დიდი ტკივილი
ღმერთს არაფერი არ შეუქმნია,
როგორ ვინელებთ, ან თუ ვინელებთ,
გულს ქვეყნად ყოფნა არ შეუძლია.

არავინ არ თქვას: დრო მკურნალია,
რომ ამ საშინელ ვარამს ანელებს,
ვერ დავიჯერებ, არც დავიჯერებ,
რომ წლები ყოფას კი არ ანელებს...

ეს ჭრილობაა, ღია იარა,
ტკივილი ყველა კუნჭულს ედება
და სიხარული, თუმც უცაბედი,
კლდეში ყვავილად, თოვლში ეცემა.

კი, დადნა წლები, ფერი იცვალა
და სასურველიც არაფერია,
ჩვენი ცხოვრება გაუსაძლისი
ეს ღმერთის მწარე განაჩენია.

ეს დღეც გაივლის ღამის სადარად,
დრო სასწაულად კვლავაც იცოცხლებს,
გული ლოცულობს შენთან შეხვედრას
ვეღარ გაუძლებს, აღარ იცოცხლებს.

ნაზო გუგულაშვილი

ვინ არიან უდინები?

უდინები... დღეს ცოტამ თუ იცის, რომ ისინი საქართველოში ცხოვრობენ. ესენი ისტორიული საინგილოს მკვიდრნი არიან. სხვადასხვანაირი ტერმინოლოგიით მოიხსენიებენ ამ ხალხს: უდინები, უტინები, უტები, უტიქ. მათ დღემდე შემოინახეს ენა ქართული, სარწმუნოებაც შემოინახეს მათ, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ.

„უდინები თავის თავს ნოეს კაცებს უწოდებენ. ტრაგიკული ისტორიული მოვლენების განვითარების გამო უდინები ფიზიკურად განადგურდნენ. დღეს უკვე რამდენიმე ათასი ოჯახიღა დარჩა.

უდინების ყოფა-ცხოვრება საქართველოში სოფელ ზინობიანში კარგად ასახა ეკატერინე ნეშუმაშვილმა თავის წიგნში „ვინ არიან უდინები“.

1884 წელი, გაზეთი „დროება“:

„განჯის გუბერნიაში ნუხის აქეთ, არის ერთი პატარა ადგილი, რომელიც უდინებს უჭირავთ. ეს სახელი შეიძლება ბევრს არც გაეგონოს, მაგრამ ეს ხალხი წმინდა ქართველები არიან, ჟამთა ვითარებისგან შორეულ ქვეყანაში დაკარგულები. არა ჰყავთ პატრონი, არა აქვთ სკოლები. ცხოვრობენ ასე, უცხო რჯულის ხალხით გარშემორტყმულნი“.

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზინობიანში ცხოვრობენ უდინები, რომლებმაც იციან უდიური ენა, მაგრამ არა აქვთ დამწერლობა.

ტერმინი – უდი – ჰერეთის მკვიდრია.

ქრისტიანთა ლოცვა

ქართულად: მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, ამინ.

უდიურად: ბაბაი ვა, ღარი, ვა ელამულოი, ამინ.

ეს ორი სტრიქონი უჩვენებს, რომ უდინები მართლა ჭეშმარიტი ქრისტიანები არიან და საქართველოს იმ კუთხის მცხოვრებნი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაში დღეს არ შედის, ამიტომ ამ ხალხის დაკარგვა არ შეიძლება.

სოსო ჭიტაშვილი, საბუის საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

საიდუმლო საზოგადოებები, რა ვიცით მათ შესახებ?



ეს საიდუმლო საზოგადოებები, საუკუნეების განმავლობაში არსებობენ. ზოგიერთების აზრით, სწორედ ისინი ახდენენ ზეგავლენას სახელმწიფოებისა და ხალხების ბედზე. გთავაზობთ ყველაზე ცნობილ საიდუმლო საზოგადოებებს, რომელთა შესახებ საუბარი საუკუნეებია არ წყდება.

მასონები

ყველაზე გავლენიანი და მრავალრიცხოვანი საზოგადოება. მათ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისკენ სწრაფვაში, გლობალურ შეთქმულებაში, მასობრივ მკვლელობებსა და ეკონომიკურ კრიზისებში სდებენ ბრალს. ამჟამად მასონების ლოჟა მთელ მსოფლიოში 5 მილიონ წევრს ითვლის, რომელთაგან 2 მილიონამდე აშშ-ში ცხოვრობს, 480,000 – ინგლისში, შოტლანდიასა და ირლანდიაში.

საიდუმლო ორდენის შექმნის ფესვები მეჩვიდმეტე საუკუნის ინგლისშია.

ოფიციალურად მასონური ლოჟა 1717 წელს ჩამოყალიბდა. ორდენი თავდაპირველი სახელწოდება „free masons“ იყო და მასში მხოლოდ ის ადამიანები შედიოდნენ, ვისაც ამ ფილოსოფიური ორდენის სჯეროდა. განსაკუთრებულ ყურადღებას მასონები მორალურ ღირებულებებს ანიჭებდნენ, ამიტომ ორგანიზაციის მრავალი წევრი ცნობილი საკუთარი ქველმოქმედებით გახდა. ორდენის ძირითადი იდეები უპირისპირდება რელიგიურ სწავლებებს, ამიტომ ეკლესია ოდითგანვე უკმაყოფილებას გამოთქვამდა მასონობის გავრცელებასთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ მასონები იყვნენ: ალექსანდრე პუშკინი, მარკ ტვენი, უინსტონ ჩერჩილი, ჰენრი ფორდი და ა.შ.

ილუმინატები

ამ საიდუმლო საზოგადოებას ხშირად მასონებს მიაკუთვნებენ და იმავე „ცოდვებს“ მიაწერენ ხოლმე: მასობრივი მკვლელობები და ანტირელიგიური საქმიანობა. სინამდვილეში, ამ ორი ორგანიზაციის საქმიანობა მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. ილუმინატები – ეს განათლებული, ახალგაზრდა რეფორმატორების საზოგადოებაა, რომელიც ბავარიაში, ადამ ვაისჰაუპტის მიერ, ინგოლშტადტის უნივერსიტეტში, 1776 წლის 1 მაისს ჩამოყალიბდა და თავდაპირველად მხოლოდ 5 წევრისაგან შედგებოდა. ორგანიზაციის ეკლესიასთან დაპირისპირების გამო, იგი მალევე გამოცხადდა უკანონოდ.

როგორც ცნობილია, ლუმინატები არ ინტერესდებოდნენ ნებისმიერი მსურველით, ისინი თავად ირჩევდნენ ორდენის წევრებს. ეს ხანგრძლივი პროცესი მოიცავდა დაკვირვებას სასურველ კანდიდატზე, მის მომზადებას ორდენში განვრიანებისათვის, სპეციალური რიტუალის ჩატარებას, საზეიმო ფიცის დადებასა და ფარული ფსევდონიმის მინიჭებას.

საინტერესოა, რომ საზოგადოებაში არსებული ხმების თანახმად, სწორედ ილუმინატების იდეაა საერთო ენის, ვალუტის, კანონების და ა.შ. შემოღება.

კამორა

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იტალიური მაფია, რომელიც მე-18 საუკუნის ბოლოს და მე-19 საუკუნის დასაწყისში, სამხრეთ იტალიაში ჩამოყალიბდა. „კოზა ნოსტრას“ მთელი საქმიანობა, კამორას საქმიანობის მექანიზმთან შედარებით, არაფერია. წარმოიდგნეთ, რომ ეს სიტყვა, მაფიის მშობლიურ ქალაქ ნეაპოლში ახლაც შიშის ზარს სცემს ადგილობრივებს, ხოლო ორგანიზაციის მასშტაბებმა უკვე დიდი ხანია დატოვეს აპენინის ნახევარკუნძული.

სიმბოლიკა, ჩვეულებები, ტრადიციები დღემდე საიდუმლოდ ინახება. ცნობილია, რომ მთელი ტერიტორია, რომელსაც მაფია აკონტროლებს, რამდენიმე სექტორადაა დაყოფილი, რომელსაც „კაპო“ მართავს. ასევე ცნობილია, რომ კაპოს ყოველდღიური შემოსავალი 500 000 ევროა. ცოტა ხნის წინ სილვიო ბერლუსკონის შესახებ აგორებულმა სკანდალმა კიდევ ერთხელ წამოწია კამორას თემა.

ტრიადა

პირველი ტრიადები ჩინეთში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე – პირველ საუკუნეებში გაჩნდა. ორგანიზაციის წევრების რწმენით, ციფრ 3-ს მაგიური, მისტიკური მნიშვნელობა აქვს, საიდანაც გამომდინარეობს კიდეც მათი სახელწოდება ტრიადა. მშვიდობიანობის პერიოდში მსგავს ორგანიზაციათა უმრავლესობა არსებობდა, როგორც საძმო ურთიერთდახმარებისათვის, მაგრამ ზოგი მათგანი კრიმინალურ სამყაროშიც მოღვაწეობდა. ძირითადად ტრიადის წევრებს სისხლით ნათესაობა აკავშირებთ ერთმანეთთან და იგი მკაცრ იერარქიულ სისტემას ეფუძნება.

ჩინეთის განვითარებასა და მოსახლეობის რიცხვის ზრდასთან ერთად, ტრიადები ახალ საფეხურზე გადავიდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი სამომხმარებლო საქონლისა და ელექტრონიკის გაყიდვებს აკონტროლებენ. გარდა ამისა, არიან ვირტუალური მეკობრეები.

იაკუძა

ყველასათვის ცნობილია, რომ იაკუძა იაპონური მაფიის სახელწოდებაა. იაკუძას ამა თუ იმ ჯგუფისადმი მიკუთვნება ყველაზე კარგად ტატუებში გამოიხატება, რომლითაც იაკუძას ჯგუფის წევრი ადამიანის სხეულის 85-95%-ია დაფარული. სწორედ ეს „ნახატები“ აღწერენ, ვინ არის ადამიანი და რომელ „ოჯახს“ მიეკუთვნება. ტატუები ასევე ამ ოჯახების წარმოშობის მოკლე ისტორიას მოგვითხრობს.

ორგანიზაციაში არსებობს საკუთარი იერარქია, თუმცა, ტრიადისა და კამორისგან განსხვავებით, ფართოდ არის გავრცელებული, ერთი ჯგუფის წევრებს შორის ე.წ. „ძმური“ ურთიერთობები. 1995 წელს, იაპონიის მთავრობამ იაკუძას საქმიანობის წინააღმდეგ მიიღო კანონი.

როგორ ვებრძოლოთ ვაზის მავნებლებს

უძველესი დროიდან საქართველო ცნობილია, როგორც მევენახეთა და მეღვინეთა ქვეყანა. საქართველოსათვის ვაზს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად მრავალი გადავლილი ქარტეხილისა, დღემდე მოაღწია ვაზის უნიკალურმა, ენდემურმა ჯიშებმა. სწორედ ამ ჯიშების გადარჩენა, გამრავლება და აღორძინება განაპირობებს დღეს-დღეობით მეღვინეობა-მევენახეობის განვითარებას. ვაზის მავნებლების განვითარების ბიოლოგიური თავისებურებათა მოკლე აღწერა და მათთან ბრძოლის მეთოდები.

ყურძნის ჭია

ყურძნის ჭიის პეპელა პატარა ზომისაა. ზედა მხრიდან მურა ნაცრისფერია, გვერდებიდან და ქვედა მხრიდან – ღია-ნაცრისფერი. წინა ფრთები დაწინწკლულია ყვითელი, ნაცრისფერი და მოლურჯო – ლაქებით. უკანა ფრთები ღია –ნაცრისფერია. მას უკანა მხარეს ჯინჯილები (ფოჩები) აქვს. ულვაშები ძაფისებრია, შედარებით მსხვილი და უბეწვო. ფრთებგაშლილი პეპლის სიგანე

– 10-13 მმ-ია, სიგრძე – 4-5 მმ. ყურძნის ჭიის პირველი გენერაციის მატლი აზიანებს ყვავილებს, აბლაბუდის თხელ ძაფებში ახვევს, შიგ ექცევა და ისე იკვებება. ყვავილობის დამთავრების შემდეგ, მატლი ახლადგამონასკულ ნაყოფს და ყლორტს აზიანებს, რის გამოც მტევანი მთლიანად ან ნაწილობრივ ხმება. ივლისის დასაწყისში მეორე გენერაციის მატლი ვითარდება და მწვანე მარცვლით იკვებება. ახლადგამოჩეკილი მატლი მარცვლის ზედაპირზე მცირე ნაწილს ღრღნის, მოზრდილი კი მარცვალში იჭრება და მის მთელ რბილობს სპობს.

ბრძოლის ღონისძიებები – მექანიკური ღონისძიებებიდან კარგ შედეგს იძლევა ვაზის დროულად გაფურჩქვნა, რადგან ამ პირობებში მავნებლის კვერცხების დიდ ნაწილს პირდაპირ ხვდება მზის სხივები და იღუპება. ყურძნის ჭიას წინააღმდეგ საუკეთესო შედეგს იძლევა ქიმიური მეთოდების გამოყენება, რომელიც უნდა ჩატარდეს საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგისა და შესაბამისი სამსახურის კონსულტაციის საფუძველზე. ბიოლოგიური პრეპარატებიდან კარგ შედეგს იძლევა 1%-იანი ბიტოქსიბაცილინი, დენრობაცილინი ან ლეპიდოციდი. პირველ თაობაზე წამლობა ტარდება მაშინ, როდესაც მტევნები კოკრებშია, მეორე ყვავილობის დამთავრებისთანავე. მესამე კი სიმწიფის წინ, მარცვლების შეთვალებისას.

ბუკნა ანუ კვირტის ჭია

ბუკნას პეპელა მოლურჯო ან მომწვანო-ლურჯია, ფრთები მონაცრისფრო შავი აქვს. მამლის ულვაშები ორივე მხარეს სავარცხლისებრი და ბეწვიანია, დედალს კი ულვაშებზე ბეწვი განვითარებული არა აქვს. ვაზს კვირტების მავნებელი უფრო მეტად გაზაფხულზე აზიანებს, არის შემთხვევები, როდესაც სანაყოფე რქაზე კვირტები მთლიანად ნადგურდება. დაზიანებულ კვირტს გარედან წვრილი ხვრელი ემჩნევა. მატლი, გამოღრნის რა კვირტის შიგთავსს, შემდეგ ახალ კვირტზე გადადის და მასაც აზიანებს.

ბრძოლის ღონისძიებები – ვაზის შესხურება პესტიციდებით წარმოებს ყველა მხრიდან, რათა პესტიციდით მთლიანად დაიფაროს კვირტები და ფოთლები. უნდა ვეცადოთ ფოთლის ქვედა მხარე კარგად დასველდეს, რადგან ბუკნას მატლები უმეტეს შემთხვევაში ამ მხარეს სხედან. პირველი წამლობა ტარდება კვირტების

დაბერვის დასაწყისში, მარტის ბოლოს და აპრილის შუა რიცხვებში. მეორე წამლობა – კვირტების გაშლის დამთავრებისთანავე, მესამე – ივლისში, როდესაც გამოიჩეკება ბუკნას ახალი თაობის მატლები.

ვაზის ფქვილისებური ცრუფარიანა

ცრუფარიანას ზრდასრული დედლის ფორმა ოვალურია. მისი ვარდისფერი ან მომწვანო სხეული დაფარულია თეთრი, ფქვილისებრი ფიფქით. გვერდებზე თეთრი, ცვილისებრი ძაფები აქვს,

რომელთა სიგრძე სხეულის ბოლოსაკენ თანდათან იზრდება. ცვილისებრი ძაფების გარეშე სხეულის სიგრძე 4 მმ-ია, ხოლო სიგანე 2-8 მმ. მავნებელი აზიანებს ვაზის მიწისზედა ორგანოებს: ფოთოლს, ყლორტს, მტევანს და შტამბს. ფოთოლზე ცრუფარიანა ძარღვების გასწვრივ სახლდება, ინტენსიურად წუწნის მტევანს, მარცვლის ყუნწს და თვით მარცვალსაც კი. დაზიანებული ფოთოლი ყვითლდება, მტევნები ჭკნება და ძირს ცვივა. ცრუფარიანას ექსკრემენტებზე (ტკბილ გამონაყოფზე) სახლდება სიშავის გამომწვევი სოკო კაპნოდიუმი, რომელიც ვაზის მწვანე ნაწილებსა და მტევნებს აშავებს და გადასამუშავებლად უვარგისს ხდის. ცრუფარიანათი დაზიანებული ვაზი ნლების მანძილზე ძლიერ კნინდება და ხმება. დაზიანებულ ვენახებში მოსავალი 70-75%-ით მცირდება.

ბრძოლის ღონისძიებები – შესხურებისას სრულად უნდა დასველდეს მავნებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში პესტიციდები მათზე არ იმოქმედებს. ფოთლებზე ცრუფარიანების დასახლების ადგილში მათზე შესხურება ქვედა მხრიდან უნდა მოხდეს. კარგ შედეგებს იძლევა მტაცებელი ხოჭო კრიპტოლემუსი, რომელსაც საწარმოო ბიოლაბორატორიები ამრავლებენ. ხოჭოები უნდა გავუშვათ აგვისტოს დასაწყისში ჰექტარზე 10 ათასი ცალის რაოდენობით.

ვაზის აბლაბუდიანი ტკიპა

მავნებელი ვაზს ძირითადად ფოთლებს უზიანებს, რასაც მათი გაუფერულება და ნაადრევი ჩამოცვენა – მოჰყვება. გამოზამთრებული ტკიპა გაზაფხულზე ჯერ ახალგაშლილ კვირტებს აზიანებს, ხოლო შემდეგ, ფოთლებსა და ყლორტებს, განსაკუთრებით ძარღვების გასწვრივაა შესამჩნევი. ნაწუწნ ადგილებში ფოთლებსა და ყლორტებზე მოშავო ყავისფერი წერტილოვანი ლაქები ჩნდება. დაზიანებული ყლორტები მთლიანად შავდება და იღუპება. მზარდი ფოთლის დაზიანებული ფირფიტა არათანაბრად ვითარდება, იკრუნჩხება და ცვივა. დადგენილია, რომ ტკიპებით ინტენსიურად დაზიანებულ ვენახებში ყურძნის მოსავალი 20%-ით მცირდება, ხოლო შაქრიანობა 3%-მდე იკლებს.

ბრძოლის ღონისძიებები – აბლაბუდიანი ტკიპას წინააღმდეგ კარგ შედეგს იძლევა ენვიდორი, ნეორონი. გამოყენება – ფოთლები უნდა შესხურდეს კარგად, ქვედა მხრიდან. პირველი შესხურება ტარდება ყლორტებზე 3-4 ფოთლის გამოტანისას, მეორე წამლობიდან

10 დღის შემდეგ. საჭიროების შემთხვევაში ტარდება კიდევ ერთი წამლობა. ტკიპას წინააღმდეგ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კარტოფილის, თავიანი ხახვის ან ბაბუაწვერას ნაყენებიც.

იმერული ბალიშა ცრუფარიანა

ზრდასრული, სქესობრივად მომწიფებული დედლის სხეული მოგრძო ოვალურია, სიგრძეში 5-დან 11 მმ-მდე მერყეობს. ცრუფარიანას მატლები და ახალგაზრდა დედლები ვაზის ფოთლის ფირფიტის როგორც ზედა, ისე ქვედა

მხარეს, მტევნის კლერტზე, ყუნწზე, მწვანე ყლორტზე, პწკალზე სახლდებიან, ფოთლები ხმება და ცვივა, ყლორტი და მტევანი არანორმალურად ვითარდება, კლერტი ჭკნება და ნაყოფი ზრდადაუმთავრებელი რჩება. ამავე დროს, მათ ტკბილ, წებოიან გამონაყოფზე საპროფიტი სოკო ვითარდება, რომელიც ვაზის მწვანე ნაწილებს შავი ფიფქით ფარავს და ყურძნის ხარისხს აუარესებს.

ბრძოლის ღონისძიებები – იმერული ბალიშა ცრუფარიანას წინააღმდეგ საუკეთესო შედეგს იძლევა ქიმიური მეთოდების გამოყენება. კარგ შედეგს იძლევა კვერცხების დების პერიოდში მავნებლის მექანიკური გასრესაც.

ავტორი ირაკლი კვერნაძე

ძველი ყვარელი



ისტორიული წყაროებითა და არქეოლოგიური გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობდა უძველესი დასახლებები. აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია დღევანდელი შილდისა და ენისლის მიდამოებში აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები, რომლებიც გვიან ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის, ხოლო ძველი გავაზის (ამჟამად ახალსოფელი), ბალღოჯიანისა და გრემის ტერიტორიაზე მოპოვებულია ანტიკური ხანის საოჯახო და საომარი ნივთები. გრემ-ნეკრესის მიდამოებში მდებარეობდა უძველესი საკულტო ნაგებობები. ამ მხარის რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა ნეკრესი, სადაც მე-6 საუკუნეში მოღვაწეობდა ერთ-ერთი 13 ასურელი მამათაგანი, წმინდანად შერაცხული აბიბოს ნეკრესელი.

ნეკრესი და მისი შემოგარენი ნაშთია იმ უძველესი ისტორიული ქალაქისა, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ მრავალჯერ არის ნახსენები, როგორც „ნელქარისა ნეკრესი“. ისტორიული წყაროებით ნეკრესის დაარსება მიეწერება მეფე ფარნაჯომოს ძველი წელთაღრიცხვის 11 საუკუნეში. აქ მრავალი ნაშთია იმისა, რომ ქალაქი ნელქარისა ანუ ნეკრესი გაშენებული ყოფილა მდინარე „სასახლის ხევის“ პირზე.

მე-15-მე-16 საუკუნეებში თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია კახეთის სამეფომ, რომლის სატახტო ქალაქი ამ პერიოდში იყო გრემი. გრემის უნიკალური ციხე-სიმაგრე მთვარანგელოზის ეკლესიით, ნაქალაქარის ტერიტორიაზე შემორჩენილი ნანგრევები, არქეოლოგიური მასალა და ისტორიული წყაროები ადასტურებენ, რომ ეს იყო ფეოდალური ხანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი. აქ მე-15 საუკუნიდან ამრავლებდნენ ხელნაწერებს. გემზე გადიოდა მნიშვნელოვანი საქარავნო გზები.

მიუხედავად იმისა, რომ გრემი კახეთის დედაქალაქი იყო, მის ისტორიაზე, ცხოვრებაზე და გარეგან სახეზე საკმაოდ ძუნწი ცნობებია შემორჩენილი. თუმცა შემორჩენილი ნაგებობები და არქეოლოგიური მასალა ადასტურებს ქალაქის სიძლიერეს და მნიშვნელობას. 1614-1616 წლებში ირანის შაჰის შაჰ-აბას I-ის ლაშქრობების დროს გრემი სასტიკად ააოხრეს და ნანგრევებად აქციეს. მას შემდეგ გრემმა, როგორც კახეთის სატახტო ქალაქმა, ცოტა ხანს კიდევ იარსება, მაგრამ ძველი დიდება ვეღარ დაიბრუნა. 1667 წელს სატახტო ქალაქისთვის უსაფრთხო ადგილი მოინახა და მეფე არჩილმა კახეთის დედაქალაქად თელავი აირჩია, რომელიც შედარებით დაცული იყო დაღესტნელ ფეოდალთა გამუდმებული თავდასხმებისგან.

კახეთის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეს — ყვარელს, მდიდარი ისტორიული წარსული აქვს. მრავალი წყაროებითა და არქეოლოგიური გათხრებით დადასტურებულია, რომ აქ არსებობდა მნიშვნელოვანი დასახლებები.

ყვარლის დაარსებასა და წარმოშობაზე მრავალი ლეგენდა არსებობს. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, მეფეს დურუჯის ჭალებში ნადირობისას მოსწონებია მისი შემოგარენი, განსაკუთრებით კი ის ადგილი, სადაც ახლა ყვარელია გაშენებული და უბრძანებია: „ეს საყვარელი ადგილია და სოფელი უნდა გაშენდესო“.

ისტორიული წყაროები გვამცნობენ, რომ ყვარლის ახლანდელ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში (IV საუკუნეში) ჩამოსახლდნენ მთის ფშავლები სოფელ ყვარადან; ყვარადან ჩამოსახლებულებს ყვარელები შეარქვეს და ეს სახელი დასახლებასაც შერჩა. შემდგომში



ამ სახელწოდებამ სინტაქსური ცვლილება განიცადა, შეიკვეცა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა ტოპონიმი ყვარელი.

ყვარლის რაიონი არაერთი გამოჩენილი პიროვნების და ცნობილი მამულიშვილის სამშობლოა. გენიალური მამულიშვილი, დიდი ილია ჭავჭავაძე, ქართული თეატრის რეფორმატორი კოტე მარჯანიშვილი, ქართული თეატრის მშვენება მაკო საფაროვა-აბაშიძისა, გამოჩენილი ქართველი რეჟისორი ვახტანგ ტაბლიშვილი, პუბლიცისტი არჩილ ჯორჯაძე, საზოგადო მოღვაწე ლადო აღნიშვილი, კინოსა და თეატრის ცნობილი მსახიობები თამარ ჭავჭავაძე და დოდო ჭიჭინაძე, მხატვრები ვალერიან სიდამონ-ერისთავი და ვახტანგ ჯაფარიძე, მწერალი ილია ზურაბიშვილი და სხვანი ყვარლის მადლიანი მიწის შვილები არიან.

ნელი თედეიშვილის პოეტური პრეზენტაცია

31 მარტს ი. ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის სააქტო დარბაზში გაიმართა პოეტ ნელი თედეიშვილის ორი ახალი კრებულის („სიყვარულის უფლება“ და „ჩიტის ნამღერი დილა“) პრეზენტაცია. კრებულები წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საქველმოქმედო ფონდის მხარდაჭერით გამოიცა.

პრეზენტაცია დაამშვენა ნელი თედეიშვილის ლექსებზე შექმნილმა სიმღერებმა, რომლის კომპოზიტორები გახლდნენ ჩვენი თანამემამულეები : ნიჭიერი მუსიკოსი ალიკა ჩიხიაშვილი, გოგონათა კვარტეტი „ანეთი“ — ს ხელმძღვანელი იზა წყალობაშვილი და მოწვეული სტუმარი, მომღერალი და მსახიობი — დალი დოიჯაშვილი.

მსმენელთა მოწონება დაიმსახურა ახალსოფლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის წევრების მიერ მხატვრულად წაკითხულმა პოეტის ლექსებმა; ღონისძიებაში ჩართულმა სკოლამდელებმა, პოეტის პირველი მასწავლებლის ლილი ბიჭინაშვილის ემოციურმა მიმართვამ საყვარელი მოსწავლისადმი.

საქართველოს მწერალთა ყვარლის ორგანიზაციის თავმჯდომარემ მანანა შატავიძემ ნელი თედეიშვილს სასულიერო პირებისგან საჩუქრად გადასცა საეკლესიო წიგნები და ჯვარი. პოეტმა საჩუქრად მიიღო აგრეთვე მადლიერების დიპლომი საქართველოს მწერალთა კავშირისგან, რომელიც გადასცა მწერალმა მზია ხეთაგურმა . ქალბატონმა მზიამ პოეტი მანანა შატავიძეც დააჯილდოვა სამახსოვრო გულსაბნევით „ილიას მშობლიურ ყვარელში გაწეულ საქველმოქმედო საქმიანობასა და კულტურულ ღონისძიებებში შეტანილი წვლილისთვის“.

ნელი თედეიშვილს წიგნების გამოცემა მიულოცეს პოეტებმა და პოეზიის მოტრფიალე საზოგადოებამ.

მოწვეულ სტუმრებს შორის გახლდნენ: მწერალი და საზოგადო მოღვაწე მზია ხეთაგური; პოეტი ციცინო ბაბუციძე; ჟურნალისტი მაყვალა ლიპარტელიანი და კომპოზიტორი დალი დოიჯაშვილი.

ლია გიგიტაშვილი

ტრადიციული შაბათობა ქ. ყვარლის სასაფლაოზე

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის შესახვედრად ქართველები განსაკუთრებული მონდომებით ემზადებიან, მარხულობენ, ესწრებიან წირვა-ლოცვებს და სადღესასწაულო თადარიგს იჭერენ, რათა უფლის სადიდებელი სადღეგრძელო შესვან საგანგებოდ მომზადებულ სუფრებზე.

ადამიანების უმრავლესობა მიცვალებულთა საფლავებს ასუფთავებენ, რგავენ მარადმწვანე მცენარეებსა და ყვავილებს. სამწუხაროდ, ზოგიერთს ავიწყდება, რომ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეებში მიცვალებულთა პატივგება გარდაუვალია და პატრონობა სჭირდება მათ საფლავებს. ზოგიერთი კი მოქუჩებულ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს ადგილზე ტოვებს. ამის გამო სასაფლაოს ტერიტორია დაბინძურებულია და არასასიამოვნო გარემოს ქმნის.

ქ. ყვარლის სასაფლაოს ტერიტორიის ნარჩენებისგან გასუფთავების მიზნით ა(ა)იპ კეთილმოწყობის ყვარლის სამსახურის ხელმძღვანელმა გიგლა კუპრაშვილმა 12 აპრილს, ტრადიციულად, მასიური შაბათობა მოაწყო და სოლიდური რაოდენობის ნარჩენი იქნა გატანილი.

სააღდგომოდ ქ. ყვარლის მიცვალებულთა სავანე სანიმუშო სისუფთავით გამოირჩეოდა და მადლობას იმსახურებენ კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლები.

ალეკო ქაფიანიძე

იუბილარ ქალბატონს

ჩვენს თანამემამულეს, ყვარლის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელს, პოეტსა და პოეზიის მოყვარულს, თავის პოეზიაში მუდამ კეთილის მძებნელს და სიბოროტესთან მებრძოლს, ქალბატონ იზოლდა იოსებიანს ვულოცავთ იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და სიხარულს თავის ლამაზ ოჯახთან ერთად. სიმართლე და სიმართლე ყოფილიყოს ყოველთვის თქვენი ცხოვრების გზამკვლევი, იცოცხლეთ და იხარეთ. თქვენს შემოქმედებით წარმატებებს პოეზიაში ყოველთვის სიხარული მოეტანოს ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის. უფალი იყოს ყოველთვის თქვენი მფარველი.

ვაქვეყნებთ პოეტის რამდენიმე ლექსს.

მეგობარს

ზოგს სრა-სასახლე უბოძა ღმერთმა,
ზოგს საგანძური, ზოგს ბევრი ფული ...
მე – სიმართლისთვის დაუდგრომელი
და სიყვარულით გამთბარი გული!

უსამართლობას ვუცხადებ ბრძოლას
და კეთილ ზრახვებს ბავშვივით ვუვლი.
ვისაც გჭირდებათ, გაინაწილეთ
ჩემი თქვენდამი მოძღვნილი გული!

შენ, ვინც მარტო ხარ, დიდი ხანია,
გზისკენ მზირალი, მეგობარს ელი,
მიიღე ჩემი გამთბარი გული
და სამეგობროდ გაწვდილი ხელი!

ჰა, ჩემი გულის ციცქნა ნაწილი,
გამომიწოდე მტკიცე მარჯვენა!
ერთად ვიბრძოლოთ სიმართლისათვის
და სათნოების გადასარჩენად!

მომეცი ხელი, მე ჩემსას გიწვდი,
ხელს, როგორც მაშველს, ჩავეჭიდები!
მეც მარტოსული დავდივარ ქვეყნად,
როგორც მზის სხივი, ისე მჭირდები!

სამემკვიდრეოდ ნათქვამი სიტყვა

ერთხელ, ოდესღაც, მაშინ,
როცა ვიყავი ბავშვი ...
ალბათ, მტკაველზე პატარა,
ჰა და ჰა, ერთი ადლი ...

ბებიამ დამარიგა;
„იცოდე ცოდო-მადლი!“
წლებს დავუტოვე, წარსულს,
ბევრი სევდა და დარდი.

დღესაც ჩამესმის ყურში;
„იცოდე ცოდო-მადლი!“
წელში ვიხრები ცხრაკეც,
მძიმე ყოფილა მადლი,

წარსულში დარჩა გოგო,
სიმაღლით – ერთი ადლი.
ოცნებით ცაში ვიფრენ,
წლებს ფურცლებივით ჩავკეც,

ბებიის დარიგებით
მოვილუნები ცხრაკეც!
სხვისი ტკივილი ვიგრძნო
სხვისი სევდა და დარდი,

უცოდომადლო, ქვეყნად,
ისედაც ბევრი დადის!
მადლობელი ვარ, ბებო,
შენი ლამაზი სიტყვის ...

ცოდო-მადლიან ქალზე,
აუგს ვერავინ იტყვის!
შვილიშვილი რომ მყავდეს,
სიმაღლით ერთი ადლი,

განძივით დავუტოვებ;
„იცოდე ცოდო-მადლი!“

უკვდავება სიკვდილის შემდეგ

წლები წავიდა იქით, საიდან,
არ ბრუნდებიან უკან არასდროს ...
იქნებ მეც სადღაც გავქრე ფიფქივით,
ოქროდ ვიქცე და ცეცხლმა დამადნოს!
არ ვიცი, მიწას ვინ რად იქცევა;
მიწადვე, ოქროდ, ვერცხლად, სპილენძად?!
ვინც სუფთა გულით ცოცხლობს ამ ქვეყნად,
მჯერა, ბაჯაღლოდ გადაიქცევა!
მერე, გადამდნარს, ჯაჭვად დაგრეხილს,
ვინმე ასული ყელით ატარებს,
გადაეცემა მემკვიდრეობით
ზნემაღლებსა და სულით პატარებს!
რაც მინანია სოფლად ყოფნის ჟამს,
უფალო, ეგებ, ისიც მაკმარო ...
მიწად კი არა ოქროდ მაქციო,
ღარიბთა თავზე გადამაყარო!
უფალო, უწყი, გულწრფელი ვარ და
უსამართლობას ვერ ვხვდები უხმოდ,
ჯაჭვად დასაგრეხ ოქროდ მაქციე,
იმქვეყნადაც რომ არ ჩავიმუხლო!
მხოლოდ ერთსა გთხოვ, უფალო ჩემო,
რადგან შენა ხარ სიცოცხლის წყარო:
როცა დაგრეხილ ოქროდ ვიქცევი,
სულმდაბლის ყელზე არ გამაკარო!

„რამდენი ჩვენგან წასული კაცის,
ვერ დავივიწყებთ ვერასდროს ამაგს“
მ. ქვლივიძე

დიდი მასწავლებელი

ამაგიანი, მადლიანი, რაინდული ყველა ღირსებითა და ხიბლით შემკული ბრძანდებოდა ბატონი რაფიელ შავგულიძე, რომლის ნაადრევად ამ ქვეყნიდან წასვლამ მრავალ ადამიანს დასწყვიტა გული.

დაიბადა ყვარელში, 1925 წლის 3 მაისს, ბესარიონ შავგულიძის ოჯახში, რომელიც იმ დროისათვის არაერთი საშვილიშვილო საქმის თაოსანი ყოფილა; აქტიურად მონაწილეობდა პირველი ბანკისა თუ ფოსტა-ტელეგრაფის დაარსებაში, მდინარე დურუჯის კალაპოტის გასწვრივ დამცავი ნაგებობების — დამბებისა თუ სახალხო თეატრის მშენებლობაში, რის გამოც სხვა პატრიოტ ახალგაზრდებთან (ილია ზაუტაშვილი, იოსებ სეფაშვილი და სხვა) ერთად დახმარებისთვის მრავალგზის მიუმართავს დიდი ილიასთვის.

რაფიელ შავგულიძის ცხოვრების გზა აღსავსე იყო არაერთი დიდი ტკივილით; მეოცე საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიებს შეეწირა ბესარიონ შავგულიძე. მამით ადრედაობლებული ოჯახი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა, მაგრამ დედის — ეფემია იმერლიშვილის, და-ძმების დაუღალავი შრომისა და სწავლის შედეგად ხუთივე დედმამიშვილმა საუნივერსიტეტო განათლება მიიღო.

ბედის ბორბალი კი მათი ოჯახისათვის კვლავ უკულმა განაგრძობდა ტრიალს. უდროოდ, მშობიარობის შემდეგ გარდაიცვალა უფროსი და — ფრანგული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მარიამ შავგულიძე თავის პატარა პირმშოსთან. დიდ სამამულო ომში — ძმა ალექსანდრე შავგულიძე, ხოლო მამა-შვილი ვახტანგ და მარინე შავგულიძეები მოგვიანებით ავტოკატასტროფის მსხვერპლნი შეიქმნენ. ასევე ნაადრევად გარდაიცვალა მეუღლე — ეთერი შაოშვილი, რომელიც თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა რაიონის სააფთიაქო ქსელს და თავდაუზოგავად, დღე-ღამის ნებისმიერ დროს, უანგაროდ იდგა გაჭირვებული ადამიანების გვერდით.

ვაჟთა სკოლის დამთავრების შემდეგ, 18 წლის ვაჟკაცი, 1943 წელს გაინვიეს სამხედრო სამსახურში და შვიდი წლის განმავლობაში იცავდა ჩვენი ქვეყნის სამხრეთ საზღვრებს. ხშირად იხსენებდა ხოლმე ნაწყვეტს იმ დროის სამხედრო ნაწილებში ფართოდ გახმაურებული ლექსიდან „...ყარსზე გადიფრენს სტალინის დროშა და არდაგანში შევალთ სიმღერით“-ო. (იმ დროს საბჭოთა მთავრობა ემზადებოდა სამხედრო ოპერაციისთვის თურქეთის მიერ მიტაცებული ჩვენი ისტორიული მიწების დასაბრუნებლად).

სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებულმა 1950 წელს მიაშურა ცოდნის ტაძარს, საიდანაც ისტორიული მეცნიერებით ცოდნაგაღრმავებული დაუბრუნდა მშობლიურ ყვარელს.

იმ დღიდან მოყოლებული, რა თანამდებობაზეც არ უნდა ემუშავა, სხვადასხვა საშუალო სკოლის დირექტორად თუ განათლების განყოფილების გამგედ, ქ. ყვარლის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ თუ გაზეთ „ყვარლის“ რედაქტორად, რაფიელ შავგულიძე არასოდეს მოსწყვეტია თავის ძირითად პედაგოგიურ მოღვაწეობას.

სულით ხორცამდე მასწავლებელს, განგებამ მრავალ ღირსეულ ადამიანთან არგუნა მეგობრობა. არაერთგზის გვსმენია მისგან საინტერესო ეპიზოდები ანასტასია და ალექსანდრე გაბაშვილების, ნუცა და ვანო მათიკაშვილების, ანტონ მეტრეველის, გიორგი კევლიშვილის, გოგლა კორსაველის, მიხეილ ციხისთავის, ლევან გოთუას, იოსებ ნონეშვილის, ილო ბეროშვილის, შალვა იაშვილისა და სხვათა მამულიშვილური საქმიანობიდან.

რაც შეეხება ბატონ კონსტანტინე გამსახურდიასთან ურთიერთობას, ძმებს ვახტანგ და რაფიელ შავგულიძეებს კოლხურ კოშკში მწერლისთვის საჩუქრად მიურთმევიათ მთიდან ჩამოყვანილი ობოლი შვლის ნუკრი, რომელიც კარგა ხანს ამშვენებდა იმ ისტორიულ კარ-მიდამოს.

ჯერ კიდევ ათეისტურ ეპოქაში გვერდში ედგა დედაეკლესიას. რაფიელ შავგულიძისა და მისი მეგობრების დახმარებით საქართველოს საპატრიარქომ 1971 წელს გამოსცა წიგნი-კალენდარი, რისთვისაც მათ მიუღიათ მაშინდელი კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ეფრემ მეორის (სიდამონიძე) დალოცვა. მისივე თანადგომით გასული საუკუნის 90-იან წლებში ქ. ყვარელში, წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიას გადაეცა ხელით ნაქარგი, მაცხოვრის გარდამოხსნის იშვიათი ხატი.

ბატონ რაფიელს განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორ ბატონ ნიკო კეცხოველთან. ხშირად ღიმილით იხსენებდნენ უნივერსიტეტელები ბატონ ნიკოს იმ დროს გახმაურებული ბრძანების ამონაწერს, მათ თანაკურსელ გოგონასთან დაკავშირებით: „გამოეხცადოს საყვედური სტუდენტი გოგონასთვის შეუფერებელი ტანსაცმლის ტარებისათვის“-ო. დრო იყო მაშინ ასეთი...

რაფიელ შავგულიძე ბრძანდებოდა უბადლო მცოდნე ქართველ მწერალთა და პოეტთა შემოქმედებისა, განსაკუთრებით უყვარდა ვაჟა-ფშაველა, თითქმის ზეპირად იცოდა მისი ყველა ლექსი, პოემა თუ პუბლიცისტიკა. გახლდათ დიდი მოტრფიალე ბუნებისა და ნადირობისა, ქართული სუფრისა და ტრადიციებისა. ვაჟას პოეზიასა და ბუნებაში პოულობდა პირადი ტკივილის დაძლევის გზასაც და ამქვეყნად ღირსეული ცხოვრების არსსაც. ვაჟკაცური შემართებითა და ჰუმანიზმით იყო გაჯერებული მისი ყველა პუბლიკაცია, მოხსენება თუ სადღეგრძელო.

ხშირად უყვარდა თქმა: „სიკვდილო კარგის მოკვლისთვის, ნეტავ ვინ გეტყვის ქებასა“-ო.

მონადირეთა და მეთევზეთა რესპუბლიკური კავშირის თავმჯდომარე, ბატონი რეზო ჭიჭინაძე, რომელთანაც შავგულიძეებს მეგობრული და ნათესაური ურთიერთობა აკავშირებდათ, რაფიელ შავგულიძის შესახებ იხსენებდა: ერთხელ, მყვირალობისას, სანადიროდ წასულ ყვარლელებს მთაში გაუშლიათ სუფრა. მყვირალობა ის პერიოდია, როდესაც მდედრი ირმის დაუფლებისათვის ხარირმებს შორის იმართება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. შუა ნადიმის დროს, რომელსაც ბატონი რაფიელი უძღვებოდა, თავს წამოდგომიათ ბრძოლისგან ოფლში გახვითქული, დამარცხებული ირემი. ახალგაზრდა მონადირეებს უმალ მოუმართავთ იარაღი, მაგრამ ამ დროს, მისთვის დამახასიათებელი დინჯი კილოთი შეუწერებია ისინი, — „არ ესროლოთ ბალღებო, ეგ სიყვარულისთვის ბრძოლაში დამარცხებული ხარირემია და მაგას თავისი გაჭირვებაც ეყოფაო“. დაბნეულ ირემს კიდევ კარგა ხანს უყურებია მათთვის, შემდეგ კი უფსკრულში გადაშვებულა.

ალბათ ბუნების დიდმა სიყვარულმა შეაძლებინა ბატონ რაფიელს, უკურნებელი სენით ღონეგამოცლილს, 1995 წლის 26 აპრილს, გარდაცვალებამდე რამოდენიმე საათით ადრე, უკანასკნელად შეევლო თვალი კავკასიონის ბუმბერაზი მთებისთვის, რომლებიც აგრერიგად დღესაც ლამაზად მოჩანან მისი სახლის აივნიდან.

„თაობა მიდის... თაობა მოდის“... დაბიჯებენ დალოცვილ ქართულ მიწაზე ბატონი რაფიელ შავგულიძის შთამომავლები, მისი ნამონაფრები, მისი სიკეთით მადლცხებული თაობები და უნებურად გვახსენდება დიდი პოეტის, მუხრან მაჭავარიანის ცნობილი სიტყვები „... იარონ, იარონ, იარონ, ამინ!“ დიდი მასწავლებელი მაშინაც აგრძელებს სიცოცხლეს, როდესაც იგი ამქვეყნად აღარაა, რადგან ის მოსწავლეთა გონებასა და გულებში სამარადისო სინათლედ ივანებს. დრო ვერაფერს დააკლებს რაფიელ შავგულიძის მიერ დანატოვარ „საუკუნო საგზალს“.

ბატონი რაფიელ შავგულიძის ხსოვნისადმი პატივისცემის ნიშნად ქ. ყვარლის იმ ქუჩას, სადაც ცხოვრობდა, 1997 წელს მიენიჭა მისი სახელი.

ზურო ბუჯიაშვილის გახსენება

უკვე წლები გავიდა ჩვენო ზურო, შენი გარდაცვალებიდან; ისე მოულოდნელად გადასახლდი იმ ქვეყანაში, რომ დამშვიდობებაც ვერ მოვასწარით. ასე შემზარავად არასოდეს ჩათავებულა ის თვე ჩვენთვის. 9 აპრილს თურმე უკანასკნელად მოგილოცეთ დაბადების დღე პირისპირ და მას შემდეგ კიდევ უფრო დამძიმდა 9 აპრილი ჩვენთვის. შენს განუყრელ ძმასთან — ბესიკ უძილაურთან ირჩიე ცხოვრება. თქვენ ყოველთვის იყავით ყველასთან და საკუთარი თავისთვის ვერ იცლიდით. ორივენი რაღაც სხვანაირი სიყვარულით გვიყვარდით, ალბათ იმიტომ, რომ ასე მოკლე წუთისოფლისანი ყოფილხართ. გვჯერა, რომ შენი სული ახლაც მაღლიდან გვიყურებს და თემიდას სასნორივით წონის ჩვენს ქმედებას. ასე პატიოსნად ვიცხოვრებთ და ვცხოვრობთ, როგორც შენ გწამდა. ასე მოვდივართ დღემდე შენი მეგობრები და ასე იქნება სანამდე ვიარსებებთ. ისღა გვანუგეშებს, რომ ოდესმე შევხდებით ერთმანეთს.

მეგობრები

გამოსათხოვარი

ნინო ბერიანიძე

დაგვიტოვე უსაზღვრო მონატრება დიდებული ქალბატონისა

ჩვენო საყვარელო, თბილო და ტკბილო! მთელ სკოლას დაგვწყვიტე გული. მუდამ გვემახსოვრები მოცინარი, მოალერსე, სიცოცხლით სავსე, პოზიტიური.

ნინო, წახვედი და დაგვიტოვე დიდი გულის ტკივილი. შენ დააკლდი არა მარტო შენს დიდ ოჯახს, არამედ საახლობლოსა და სამეგობროს.

ყვარლის 1 საჯარო სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის შენი სიკვდილი ტრაგედიაა. ადამინთა დიდი მეგობარი იყავი, შემკული საუკეთესო თვისებებით: ჭკვიანი, ნოვატორი, დარბაისელი, ყველას გვერდით მდგომი, ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. მუდამ უანგაროდ ცდილობდი სხვათა დახმარებას. იყავი ოჯახის განუმეორებელი დიასახლისი, ერთგული და ყურადღებიანი მეუღლე, იდეალური დედა, უსაყვარლესი ბებია, შენი მოსწავლეებისათვის მზრუნველი და ყურადღებიანი მასწავლებელი, ჩვენთვის კი უძვირფასესი მეგობარი.

სკოლაში თქვენი ყოველი შემოსვლა ჩვენთვის იყო დღესასწაული, რადგან თან გახლდათ სითბო და სიყვარული.

დაგვიტოვე უსაზღვრო მონატრება დიდებული ქალბატონისა, რომელმაც იცხოვრა, იღვაწა, იშრომა და უამრავი ცრემლი გაიყოლა თან!

ყვარლის 1 საჯარო სკოლის პედკოლექტივი

თინა გოზალიშვილი

გზობის დღეს დაგვტოვეთ და მარადისობას შეუერთდით

ჩვენო თინა მასწავლებელო! პირველი სკოლის სიამაყევ და უზომოდ დიდო ტკივილო! სამწუხაროა, რომ თქვენზე წარსულში უნდა ვილაპარაკოთ. თქვენ იყავით ადამიანი, რომელსაც, მიუხედავად სულიერი და ფიზიკური შეჭირვებისა, არად მიგაჩნდათ ყოველგვარი ტკივილი და მაინც სკოლაზე ფიქრობდით. გწამდათ, რომ აუცილებლად დაუბრუნდებოდით თქვენს პროფესიას. საუბრისას აღნიშნეთ , რომ „თქვენებური ძარღვიანი გაკვეთილები“ გენატრებოდათ. მოსწავლეებმა ხომ „მუშა ფუტკარი“ შეგარქვეს. იმედიანი თვალებით აღამებდით და ათენებდით, მაგრამ ვერაგი სენი ამის საშუალებას არ გაძლევდათ. სამომავლო გეგმებზე საუბრობდით და ბევრს ფიქრობდით, რა უნდა გაგეკეთებინათ.

კარგად გვახსოვს იანვრის დღე, როცა სკოლაში დაბრუნდით ფერმკთალი, მაგრამ სიკეთით სავსე სხივჩამდგარი თვალებით. თანამშრომლების მოკითხვის შემდეგ მოსწავლეები მოიკითხეთ და განაცხადეთ, რომ ყოველდღიურად ივლიდით სკოლაში, მაგრამ.....

გაჭირვებულის მხარში დგომა იცოდით, თქვენი რჩევები ბევრჯერ მალამოდ გვედებოდა ნატკენ გულზე.ყველასთან საერთოს გამონახავდით.ახალგაზრდა მასწავლებლები“ თინა გოგოს „გეძახდით და გიხაროდათ იმიტომ, რომ ჩვენი უფროსი მეგობარი იყავით და გაცემული სიყვარული უკან გიბრუნდებოდათ.

თქვენი ცხოვრების გზა ტკივილით აღსავსე იყო. გულით დიდ დარდს ატარებდით, მაგრამ საკუთარი საქმისა თუ მოსწავლეებისათვის არასოდეს გიღალატიათ, რაც კიდევ ერთი დასტურია თქვენი მაღალი პროფესიონალიზმისა.

ჩვენ ბედნიერად ვთვლიდით თავს, რომ გიცნობდით და „თინა გოგოს „მეგობრები გვერქვა. სიტყვა უძლურია იმის გამოსათქმელად, თუ როგორ მოედინებოდა თქვენი კეთილშობილება ჩვენკენ და მადლით გვავსებდა.

ბზობის დღეს დაგვტოვეთ და მარადისობას შეუერთდით. ამინდიც ფორიაქობდა თქვენს ლამაზ სულთან ერთად. ვინ იცის, იქნებ საყვარელ შვილთან, ლევანთან, მიგეჩქარებოდათ.

ყვარლის №1 საჯარო სკოლის პედკოლექტივი

ტუტე წყალი ამარცხებს სიმსივნეს, ანთებით პროცესებს და გამოდევნის ტოქსინებს

ცნობილია, რომ ტუტე წყალი ორგანიზმიდან გამოდევნის ტოქსინებს, სიბერის პროცესებს აფერხებს, არეგულირებს pH დონეს და შესანიშნავად გამოიყენება ქრონიკული დაავადებებისა და სიმსივნის პროფილაქტიკისთვის.

ყოველდღე ჭიქა ტუტე წყალს ადამიანის ჯანმრთელობაზე ძალიან მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია.

არსებობს რამდენიმე სიმპტომი იმისა, რომ სხეული ზედმეტ მჟავიანობას განიცდის — თავის ტკივილი, ტკივილი მუცლის არეში, დაქვეითებული იმუნიტეტი და გამუდმებით სისუსტის განცდა.

ტუტე წყალი ატენიანებს ჩვენს უჯრედებს და აუმჯობესებს ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობას. ცნობილია, რომ სიმსივნურ უჯრედებს ტუტე წყლის გარემოცვაში არსებობა არ შეუძლია.

თუმცა, ჯანმრთელობისთვის არც ზედმეტად ბევრი ტუტე წყალია სასარგებლო, რადგან ზედმეტად დიდი რაოდენობით ტუტე წყალი ვნებს ჯანმრთელ უჯრედებსა და შინაგან ორგანოებს.

გთავაზობთ ტუტე წყლის რეცეპტს.

დაგჭირდებათ მხოლოდ 3 ინგრედიენტი:

- 1 ლიმონი
- 1 ჩ.კ. ჰიმალაის მარილი
- 2 ლიტრი სუფთა წყალი

შეავსეთ დიდი ქილა გაფილტრული წყლით. დაუმატეთ ლიმონის ნაჭრები, ჰიმალაის მარილი და კარგად აურიეთ. სასმელი მთელი ღამით გააჩერეთ.

მომდევნო დილით, საუზმემდე უნდა დალიოთ 2 ჭიქა მზა ტუტე წყალი.

ასე გააკეთეთ ყოველ დილით და შედეგს რამდენიმე დღეში იგრძნობთ.

გაიძლიერეთ იმუნიტეტი გაზაფხულზე – დროის მიერ გამოცდილი გემრიელი რეცეპტები

გაზაფხულზე ორგანიზმს თითქმის ამოწურული აქვს ვიტამინების მარაგი, ქვეითდება ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობაც, სწორედ ამ პერიოდში აქტიურდება სხვადასხვა დაავადება, ადვილია გაცივებაც და ეს ყველაფერი პირდაპირ უკავშირდება დაქვეითებულ იმუნიტეტს.

იმუნიტეტის გაძლიერებაზე შეგიძლიათ დამოუკიდებლად იზრუნოთ. ამისთვის ორ მარტივ რეცეპტს შემოგთავაზებთ:

1. ხორცსაკეპ მანქანაში გადაატარეთ და ერთმანეთში აურიეთ

ნახევარი ჭიქა ქიშმიში, ნახევარი ჭიქა გარგარის ჩირი, ნახევარი ჭიქა შავქლიავის ჩირი, ერთი ჭიქა ნიგოზი, 0,5 ჭიქა ნუში, 2 ლიმონის კანი. ლიმონის წვენი მოასხით მიღებულ მასას, დაუმატეთ 150 გრამი თაფლი და კარგად აურიეთ. 1-2 დღით ბნელ ადგილას, შემდეგ კი მაცივარში შეინახეთ.

უფროსებმა უნდა მიირთვან 1-2 კოვზი 3-ჯერ დღეში, ბავშვებმა კი – 1 ჩაის კოვზი 2-ჯერ დღეში.

2. ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ და ერთმანეთში აურიეთ 200 გრამი გარგარის ჩირი, 200 გრამი შავქლიავის ჩირი, 200 გრამი ლეღვის ჩირი, 200 გრამი ნიგოზი, 200 გრამი ქიშმიში, 1 ლიმონი (კურკების გარეშე). მიღებულ მასას დაუმატეთ 200 გრამი თაფლი და 50 მილიგრამი კონიაკი, გადაიტანეთ ქილაში და მაცივარში შეინახეთ. მიიღეთ ჭამის წინ 1 სადილის კოვზი.

გაითვალისწინეთ: მათთვის, ვისაც კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პრობლემები აწუხებს, ნაზავი უნდა მომზადდეს ლიმონის გარეშე.

როგორ ითრევენ ქართველ მოზარდებს სათამაშო ნარკომანიაში — რა სქემას ასაჯაროვებს ონლაინკაზინოს თანამშრომელი

ხელისუფლების არაერთი დაპირების მიუხედავად, ონლაინკაზინოების რეგულირების საკითხი კვლავ მოუგვარებელია.

შესაბამისად, არ იცვლება საგანგაშო სტატისტიკა, რომელიც ონლაინთამაშებზე დამოკიდებულთა რაოდენობას ასახავს. არასამთავრობოების მონაცემებით, დღეს ონლაინ აზარტულ თამაშებში დაახლოებით 400 000 ადამიანია ჩართული და მათ შორის ათასობით არასრულწლოვანია. არახალია, რომ თამაშდამოკიდებულება ხშირად მძიმე შედეგით მთავრდება და ჩვენი ახალგაზრდობის ნაწილის დეგრადირებას იწვევს. სწორედ ამ მიზეზით „პალიტრამედიამ“ თავის დროზე უარი თქვა ონლაინკაზინოების რეკლამირებაზე და დაიწყო სოციალური კამპანია — „არ ითამაშო! იცხოვრე!“

ცოტა ხნის წინ „კვირის პალიტრის“ რედაქციამ მიიღო წერილი ასეთი შინაარსით: „მოგესალმებით, გწერთ, როგორც „აჭარა გრუპის“ (ადჯარანეტ.ცომ) თანამშრომელი, რომელიც მომხმარებელს ონლაინაზარტულ თამაშებს სთავაზობს. სამწუხაროდ, არ მყოფნის გამბედაობა და საჯაროდ ვერ ვამბობ ამას, ვერც ვტოვებ სამსახურს, გამომდინარე იქიდან, რომ მაქვს საკმაოდ ნორმალური ანაზღაურება.

ვიცი, რომ „პალიტრამედია“ ყველაზე ობიექტური და მიუკერძოებელი ჰოლდინგია. ეს არის ერთადერთი ჰოლდინგი საქართველოში, რომელმაც უარი თქვა საკმაოდ დიდ შემოსავლებზე გემბლინგის სარეკლამო სივრცეში დაბლოკვით. მინდა, თქვენი ყურადღება მივიქციო იმ საშინელი სამუშაო პოლიტიკით, რაც აქ ხდება! ჩვენი კომპანიის ყველა ონლაინპლატფორმა არის ბიზნესი, რომელიც ყოველთვიურად, ერთი შეხედვით, თითქოს გადის მინუსში, საშუალოდ 30.000-50.000 ლარით. თუმცა კომპანია ამ თანხას იმით ანაზღაურებს, რომ 12-18 წლამდე ბავშვებს აზარტულ თამაშებს აჩვევს, რაც უწყვეტი შემოსავლის წყარო ხდება! ამ სპეცპლატფორმის ერთადერთი დანიშნულება ის არის, რომ თინეიჯერები გემბლინგს მიაჩვიონ.

მოდელი მარტივია: თარგმნიან ფილმებს ქართულ ენაზე, რომ მოიზიდონ სწორედ ის სეგმენტი, ვინც არ იცის არც ერთი უცხო ენა, ხარჯავენ უზარმაზარ თანხას ამის რეკლამირებაში, ხოლო შემოსავალი ვითომ აქვთ ნული. საქართველოს კანონი არ კრძალავს, ყოველ შემთხვევაში, არ არეგულირებს კანონს „მეკობრულ“ ფილმებზე, არც გემბლინგზე და შეიძლება ითქვას, ეს იდეალური სქემაა!“ — ნათქვამია წერილში.

წერილში აღწერილი სქემის შემოწმება თვითონაც ვცადეთ. არაერთ ონლაინპლატფორმაზე ქართულად გახმოვანებული ფილმების ყურება მართლაც შეიძლება რეგისტრაციისა და საფასურის გარეშე, ხოლო შეთავაზება — ჩაერთო სხვადასხვა ონლაინაზარტულ თამაშში, მოიგო და გაბედნიერდე — ყველაზე თვალსაჩინო ადგილებზეა. მაგალითად, გთავაზობენ, რომ სახლიდან გაუსვლელად პოკერში ჯეკპოტის მოგების შანსი გეძლევა. ჯეკპოტი კი, არც მეტი, არც ნაკლები, 126.100 ლარია. ერთ მაცდურ შეთავაზებას მეორე მოსდევს და გარწმუნებენ, რომ ეს არის უსწრაფესი გზა, რომ მოიგო დაუჯერებლად დიდი თანხა და ეს შენი იღბალია. საქმეს ისიც ამარტივებს, რომ ტურნირი მხოლოდ 3-4 წუთს გრძელდება და რომ შენი გადახდილი თანხა 2-დან 1000-მდე კოეფიციენტზე მრავლდება. სარეკლამო სლოგანები გიტყუებს, რომ მხოლოდ ორი მონინააღმდეგე უნდა დაამარცხო და თანხა შენია და რომ ნებისმიერ დროს, ნებისმიერ მაგიდაზე შეიძლება ჩამოვარდეს 100 ათასი ლარი ან მეტი. ფულის შოვნის მაცდური შეთავაზება ისე გითრევს, ვერც კი ხვდები, ისე აწვები იღბლის გამოსაცდელად წითელ ღილაკს, რომ ითამაშო. თუმცა მანამდე რეგისტრაცია უნდა გაიარო.

რეგისტრაციის სამივე ეტაპს მარტივად გაივლის როგორც ზრდასრული, ისე არასრულწლოვანი სხვისი პირადობის მოწმობის გამოყენებით. იწყებ თამაშს და, ფაქტობრივად, ვეღარ ამთავრებ, რადგან მოგებას წაგება მოსდევს, წაგებას კი მოგება და ასე, სრულ გაკოტრებამდე. იოლი ფულის შოვნის გზა განსაკუთრებით მოზარდებს ითრევს, ვისაც საკუთარი ფული ჯერ არა აქვთ, შეიძლება არც მშობლებს აქვთ იმდენი შემოსავალი, რომ მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას ეყოს, ან თუნდაც ყოველდღიური ჯიბის ფულით უზრუნველყონ შვილები. აქ კი ფულის შოვნის იოლ გზას გთავაზობენ, თანაც ვირტუალურ სივრცეში ადამიანი რეალობის შეგრძნებას კარგავს. თუმცა, რა თქმა უნდა, არავინ გაფრთხილებს, რომ ამ გზას თავს რთულად დააღწევ და ბოლოს, აუცილებლად გაცილებით მეტ პრობლემას შეუქმნი როგორც საკუთარ თავს, ისე მშობლებსა და გარშემო მყოფებს. არავინ გეუბნება, რომ შენ და შენისთანები აზარტული თამაშების ბიზნესისთვის ფულის შოვნის საშუალება ხართ და ეს მაცდური რეკლამაც სატყუარაა, რათა შენგან და შენნაირებისგან რაც შეიძლება მეტი ფული იშოვონ. არავინ გეუბნება, რომ თამაშდამოკიდებულება ერთ-ერთი მოწინავეა იმ მავნე ჩვევებს შორის, რომელზეც ადამიანი ადვილად ხდება დამოკიდებული და ასეთ დამოკიდებულებას ადამიანი გაკოტრებამდე ან თვითმკვლელობამდეც კი მიჰყავს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, სურვილი და არაერთი მცდელობა გვქონდა, წერილში მოყვანილი ფაქტების შესახებ კომენტარი თავად „აჭარა ჯგუფის“ წარმომადგენლებისგან მიგვეღო, თუმცა უშედეგოდ. როგორც აგვიხსნეს, ადჯარანეტ.ცომ-ის მარკეტინგის მენეჯერს ცოტა ხნის წინ დაუტოვებია თანამდებობა, ამიტომ არ-კვევდნენ, ვის შეიძლებოდა გაეკეთებინა კომენტარი ამ საკითხთან დაკავშირებით მედიასთან, თუმცა კომპანიისგან პასუხი წერილში გამოთქმულ ბრალდებებზე ამ დრომდე ვერ მივიღეთ.

დათო ჩახნაშვილი

შენ მოულოდნელად და ნაადრევად დატოვე ეს სამზეო, ჩვენო დათო! ულმობელმა წუთისოფელმა კიდევ ერთხელ მოგვივლინა მწარე განსაცდელი. შენისთანა გამორჩეული ვაჟკაცები ქვეყანას უკვდებიან და არა მხოლოდ ოჯახს, სანათესაოს და სამეგობროს. შენი უდროო აღსასრული თავზარდამცემი იყო ყველა ჩვენთაგანისათვის. განუზომელია სულიერი და მორალური ტრავმა, რომელიც მივიღეთ და მოუშუშებელ იარად დაგვრჩება ცხოვრების დასასრულამდე.

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ... რა ჩქარა გარბის დღეები, რა თვალშეუვლები სისწრაფით მიჰქრის დროის მანქანა. არადა, თითქოს გუშინ იყო, იმედიანი თვალებით რომ შესცქეროდი ცის კაბადონს. ერთი წელია უკვე, რაც ახოვან და თვალ-ტანად ვაჟკაცს ვეღარ გხედავენ

ეს მონატრება კიდევ უფრო გამძაფრდება დროის სრბოლასთან ერთად

ყვარლის ქუჩებში. უშენოდ მოვიდა მესამოცე გაზაფხული. ატმის ყვავილებში შენს სათნო და უბოროტო სახეს ვხედავთ, აპრილის ცის სილაჟვარდეში შენი თვალების გამონათებას ვეძებთ. ძნელი ყოფილა უშენოდ ყოფნა და რაც დრო გადის, უფრო ძნელი ხდება იმის გაცნობიერება, რომ ჩვენს გვერდით აღარა ხარ ამ ულმობელ და ცოდვიან წუთისოფელში.

ამ წუთისოფელში სამართალი რომ არსებობდეს, შენს 60 წლისთავს სულ სხვა ვითარებაში უნდა აღვნიშნავდეთ. ბედისწერამ თუ ბედის უკუღმართობამ კი სულ სხვაგვარად განსაჯა და ასეთი მწარე რეალობის წინაშე დაგვაყენა.

ვინ წარმოიდგენდა შენს ასეთ მოულოდნელ და უეცარ დასასრულს? ვინ იცის რამდენი სიტყვა დაგრჩა უთქმელი, რამდენი საქმე დაუმთავრებელი, რამდენი ჩანაფიქრი განუხორციელებელი, რამდენი გული გასათბობი? არ არსებობს ნუგეშის სიტყვები, რომლებიც დაამშვიდებენ შენს მოხუც მშობლებს, სათაყვანო მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, ახლობლებსა და მეგობრებს, რომლებიც აგრერიგად გიყვარდა და ვისზე ფიქრშიც ათენებდი და აღამებდი.

სიკვდილი არ ყოფილა ყველაზე უარესი რამ ამქვეყნად. იმაზე უარესი და საშინელი არაფერია, რასაც მშობლები განიცდიან შვილის სიკვდილის შემდეგ.

განუზომელია ჩვენი — შენი უახლოესი მეგობრების მწუხარება და გულისტკივილი, შენი მეგობრებისა და თანაგუნდელებისა 70-იანი წლების იმ „დიდი გუნდიდან“, სადაც ერთად გვიღვრია ჩვენი წონა ოფლი და მრავალი სასახელო გამარჯვება მოგვიპოვებია. ჩვენი გუნდი და ჩვენი ფრენბურთი დღესაც კარგად ახსოვთ სტაჟიან გულშემატკივრებს. შენ ხომ ძირითადი ექვსეულის წევრი იყავი და გქონდა მხოლოდ შენთვის დამახასიათებელი მანერები. თავდასხმაში შენი ცაცია ხომ ელვა და მეხი იყო ნებისმიერი მეტოქისათვის. დღეისათვის ჩვენც დავცოტავდით ჩვენო დათო — შენსავით უდროოდ გამოგვეცალნენ საყვარელი თანაგუნდელები ლეო ჩიტაშვილი, ვანო კანანაძე, გოგია ცისკარიშვილი. ისინი ახლა შენთან ერთად არიან ცათა სასუფეველში.

რა თქმა უნდა, როცა საკითხი მწუხარებას ეხება, თავისთავად უაზრობაა საუბარი იმაზე, თუ რა უფრო მძიმეა და ძნელი, მაგრამ სპორტში დაძმობილებული მეგობრის სიკვდილზე შემზარავი მართლაც არაფერი ყოფილა ქვეყანაზე.

ამიერიდან შენს შესახებ მხოლოდ წარსულ დროში უნდა ვილაპარაკოთ — ასეთი ყოფილა წუთისოფლის დაუწერელი კანონი. გვიყვარხარ და გვენატრები, გვენატრება შენთან ერთად გატარებული დღეები. ეს მონატრება კიდევ უფრო გამძაფრდება დროის სრბოლასთან ერთად. შენ მუდამ დარჩები ჩვენს გულებში და ჩვენს ხსოვნაში ისეთი, როგორიც იყავი — ალალი და ვაჟკაცური, ლამაზი და მოხდენილი ყვარლელი კაცი!

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მოვიდეთ შენს სამარადისო განსასვენებელთან, დაგინთოთ წმინდა სანთლები, გაგიხსენოთ და გულისტკივილით გითხრათ, რომ:

„უშენოდ მოვიდნენ ისევ იები,
უშენოდ აყვავდნენ მაგნოლიები.
უშენოდ გაიშალა იასამანი,
უშენოდ გაიტკეპნა ბილიკ-სამანი.
უშენოდ ეზოში შაშვი ჭახჭახებს,
უშენოდ ანათებს მზე და კაშკაშებს.
უშენოდ ფრთოსნებსაც მოულხენიათ,
უშენოდ მეგობრებს მოუწყენიათ.
უშენოდ ფიქრებიც უბრად არიან,
უშენოდ ვაი, რომ გვიჭირს ძალიან.
უშენოდ მზე არ მზეობს ამქვეყნად,
უშენოდ გული დარდმა დაფერფლა.
უშენოდ სიხარული გათავდა,
უშენოდ ნაადრევად დაღამდა!

განისვენე მშვიდად ჩვენო დათო, ნათელი ედგას შენს სულს აწ და სამარადისოდ!

ოჯახი, მეგობრები.

მეუღლე ნათელა მაისურაძე; შვილები: მზია, ვანო, თინათინი; შვილიშვილები: სოსო, ქეთი, გიორგი, თორნიკე, დემეტრე; სიძე დათო ქანდაურიშვილი; რძალი ნინო ვარამიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გიორგი ქოჩორაშვილი.

სააქციო საზოგადოება „ყვარელი“-ს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ამავე საზოგადოების დირექტორს თემურ ბერიანიძეს მეუღლის ნინო ბერიანიძის გარდაცვალების გამო.

ზაურ ჩახნაშვილი ოჯახით მწუხარებაში თანაუგრძნობს მაია და ჯამბულ ბუჯიაშვილებს დეიდის გულიზა ბუჯიაშვილის გარდაცვალების გამო.

მალხაზ დათუაშვილი ოჯახით მწუხარებაში თანაუგრძნობს მაია და ჯამბულ ბუჯიაშვილებს დეიდის გულიზა ბუჯიაშვილის გარდაცვალების გამო.

ნიკა ქურხული ოჯახით მწუხარებაში თანაუგრძნობს თემურ ბერიანიძის ოჯახს ნინო ბერიანიძის გარდაცვალების გამო.

სსიპ — ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ყვარლის №1 საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის პედაგოგი ნინო ბერიანიძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სსიპ — ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ყვარლის №1 საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის პედაგოგი თინა გოზალიშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გახსენება

გოგი ქოჩორაშვილის გახსენება

მშვიდობით, გოგი!

კიდევ ერთი მშრომელი, კეთილშობილი, ყველასათვის საყვარელი კაცი, გოგი ქოჩორაშვილი გამოეცალა ყვარელს. წავიდა და გულში დიდი იარა, ტკივილი, სიცარიელე, უეცარი ელდა დაგვიტოვა. ამაყი, ხალხის ერთგული, თავის საქმეზე შეყვარებული, გაწონასწორებული, მუდამ ფორმაში მყოფი და მშვიდი. აი, ასეთი იყო იგი. უცხო პაციენტი იყო თუ შინაური, ყველას გასაჭირი გულთან მიგქონდა, ანგარიშის გაწევა იცოდი და უკმაყოფილოს არავის გამოუშვებდი. ამიტომ „ოქროს ხელებიანი ექიმი აღარ გვყავსო“ — ასე დაგიტირა ყველა შენმა პაციენტმა.

ისე უეცრად წახვედი და გაიხურე სახლის კარები, რომ არავისთვის გიგრძნობინებია გულისტკივილი, თურმე რამხელა იარები გქონია გულში, შენ კი მხნედ, ამაყად გეჭირა ყოველთვის თავი.

დიდი ტკივილი დაუტოვე ოჯახს, თვალ-ცრემლიანი დატოვე მეუღლე, შვილები და შვილიშვილები.

მე რა მომკლავსო — ამაყი, მომღიმარი სახით იტყოდი ხოლმე. მოუთმენლად ელოდებოდი მეექვსე შვილიშვილის დაბადებას. დღეებს ითვლიდი, მაგრამ ვერაგმა სიკვდილმა არ დაგინდო და ფეხზე მდგომი, ჯანღონით სავსე კაცი წაგაქცია.

ექვსი დღე ებრძოდი და ეჭიდებოდი სიკვდილს. შენი ვანო წუთითაც არ მოგშორებია, გამხნევებდა: ნუ გეშინია მამა, ფეხზე დაგაყენებ და სახლში ჯანმრთელი დაბრუნდებიო. უშენობას ძალიან განიცდის შენი სოსიკო, რომელსაც მამის გარდაცვალების შემდეგ მხნედ ედექი გვერდში. გიორგი, თორნიკე, დემეტრე და ქეთი სახლის კედლებში ამაოდ გეძებენ, მაგრამ, ვაი, რომ ყველაფერი რეალობაა.

მშვიდობით გოგი, ნათელში იყოს შენი სული, სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა, ილოცე შენი ოჯახისთვის, შვილებისთვის და შვილიშვილებისთვის. წმინდა გიორგი მიგიძღოდეს წინ, სამოთხისკენ მიმავალ გზაზე. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა.

ოჯახი

ჟორა კასრელიშვილის გახსენება

ორმოცი დღე გავიდა, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ და უცნაურია, ყველგან და ყოველთვის მაინც ვგრძნობთ შენს არსებობას. შეიძლება ძალიან უცნაურადაც ჟღერდეს, მაგრამ ჩვენს უზომო ტკივილს სიამაყეც ახლავს. გვეამაყება, რომ შენ ჩვენი ოჯახის წევრი იყავი. შენ იყავი არაჩვეულებრივი მეუღლე, მამა, პაპა. გვეამაყება, რომ შენთან დაკავშირებული უამრავი მოგონება დაგვრჩა, რომლებიც მხოლოდ ჩვენია. სწორედ ამ სიამაყის და შენს მიერ დათესილი უამრავი სიკეთის გამო ჩვენი ტკივილიც განუზომლად დიდია.

ბედისწერა ვერ ხსნის სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოს. ადამიანის გონება ვერ სწვდება უფლის განგებულებას, თუ სად მთავრდება სიცოცხლე და სად გრძელდება მარადიულობის არსობა.

დააკლდა ქალაქს კარგი მოქალაქე. ოჯახმა დაკარგა მზრუნველი და მოსიყვარულე მამა, პაპა და მეუღლე, სამეზობლომ — კეთილი, უბოროტო მეზობელი, სამეგობრომ — საიმედო მეგობარი.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური კუთხის მიწა. სულის მარადისობაში დასავანებლად ჩაუქრობელ ლამპრად გენთოს მარადის უფლის გზისაკენ მანათობელი წმინდა სანთლები.

ოჯახი

ზაირა და ლელა ვარდიაშვილების გახსენება

ჩემო ზაირა, ჩემო ლელა, მოვიდა შვილებო გაზაფხული, გადამწვანდა მდელო, აყვავდა ბუნება, შიშველი ხეები შეიმოსა თავისი სამოსელით, მიწამ თავისი სურნელით დაგვატკბო. მიწის წიაღიდან სამზეოზე ამოვიდა მცენარეები და ჭიაღუა. მეც გელოდებით, იქნებ ია—ენძელასავით თქვენც ამოიხედოთ სამზეოზე, მაგრამ... იგვიანებთ. ჩემო ატმის ყვავილო, მისებრ ნაზო და ლამაზო გოგო, მოვიდა შენი დაბადების დღე, უშენოდ. 21 აპრილი ერთ დროს სიამისა და სიხარულის თარიღი, დღეს გულის კვნესა და იარა. აღარც სიხარულის ფუსფუსი გვაქვს, აღარც მუსიკები, ყველაფერი ცრემლიანი თვალით მზადდება და მონატრებით. მე უბედური, მოვალ შვილო, თქვენს საფლავზე, მოგიტანთ ყვავილებს, დაგინთებთ უამრავ სანთლებს და შევთხოვ უფალს, ნათელი არ მოაკლოს თქვენს კეთილ გულსა და სპეტაკ სულს.

თქვენი უბედური დედა
და ბებია ნანი

5 პროდუქტი — თქვენი ორგანიზმის საიმედო დამცველი

რამდენიმე წლის წინ ამერიკელმა და ევროპელმა მეცნიერებმა მასშტაბური გამოკვლევა ჩაატარეს და გამოავლინეს 5 პროდუქტი, რომელიც ორგანიზმის დაბერებას აფერხებს. პირველი ადგილი დაიკავა ჩაიმ, რომელიც გულის დაავადების თავიდან აცილებას ეხმარება. მეორე ადგილზეა თხილეული, ის დიაბეტისგან იცავს. „ბრინჯაოს“ მედალი ერგო სოიას, რომელიც ქოლესტერინს ამცირებს, ხოლო მთლიანად მარცვლის ფქვილის პროდუქტები მეოთხე ადგილზეა. ისინი გულს შეუფერხებლად მუშაობაში ეხმარებიან. მეხუთე ადგილი ერგო თევზს (ორაგული, თინუსი, სარდინი). ცხიმმჟავა ომეგა — 3-ის წყალობით ის აზროვნების სისხარტეს იცავს.

რას გვირჩევენ ექიმები

ექიმები გვირჩევენ, რომ თუ შეგცივდათ და წვიმაში მოყევით, ფეხი გაგიცივდათ ან დაგისველდათ, სახლში მისვლისას, პირველ რიგში, ფეხებისთვის ცხელი აბაზანა გაიკეთეთ. წყლის ტემპერატურა უნდა იყოს 40-42 გრადუსი, ხოლო პროცედურის ხანგრძლივობა 10 წუთი. ჩაიცვით თბილი წინდები და შიგ ცოტა მშრალი მდოგვი ჩაყარეთ. დალიეთ ცხელი ჩაი ლიმონით, ცაცხვის ყვავილით ან ჟოლოს მურაბით, ასკილის ან შავი მოცხარის ნახარშით და მაშინვე დაწექით. ეს ღონისძიებები კი უკვე საკმარისია სურდოს „შესაშინებლად“, მაგრამ თუ სიმპტომები მაინც განვითარდა, დაუყოვნებლივ შეუდექით მკურნალობას.

ან, იმ დროს, როდესაც ცხვირში პირველი სიმპტომები გაჩნდება, — ეს იქნება ცხვირში მოჭერა, თავის ტკივილი, ყელში ფხაჭნა, ცხვირცემინება, უკვე საჭიროა ზომების მიღება.

ცხვირი მარილის ან სოდის ხსნარით გამოირეცხეთ. პროცედურა ცოტა თითქოს უსიამოვნოა, მაგრამ, სამაგიეროდ ეფექტურია. ხსნარი გამორეცხვისთვის ასე მზადდება. ერთ ჭიქა თბილ წყალში 1 ჩაის კოვზი მარილი ან საჭმელი სოდა გახსენით. გამორეცხვისთვის ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ გვირილის, ან მუხის ქერქის ნახარში, — 1 სუფრის კოვზ ნედლეულს 1 ჭიქა ცივი წყალი დაასხით, 1-2 საათი გააჩერეთ, შემდეგ დაბალ ცეცხლზე 20 წუთი ადუღეთ. გვირილის ნახარშს შეგიძლიათ 1 სუფრის კოვზი თაფლი დაუმატოთ.

ყველაზე უსაფრთხო გამორეცხვის წესი ასეთია: ხსნარი ან ნახარში ხელისგულზე დაისხით და უბრალოდ ცხვირით შეისუნთქეთ, თავი წინ დახარეთ. გამორეცხვას დღეში 2-4-ჯერ, 7-14 დღის განმავლობაში ატარებენ.

ასევე შეიძლება ორთქლის ინჰალაცია არომატული დანამატებით, როგორიცაა, ევკალიპტის, პიტნის, ლიმონის, ლავანდის ჩაის სახით, რომელსაც საკმაოდ კარგი ეფექტი აქვს. სასარგებლოა ასევე სამკურნალო ბალახების კალენდულის, გვირილას, სალბის ინჰალაცია. ბალახს ადუღებული წყალი დაასხით და სამკურნალო ორთქლი 5 წუთი ისუნთქეთ. მეტად ძლიერი საშუალებებია ხახვის ან ნივრის წვენი. მისი მომზადებისას საჭიროა ნინასწარ ნესტოებში წაისვათ ვაზელინი, ხოლო შემდეგ, რიგრიგობით თვითეულ ნესტოში ხახვის ან ნივრის წვენში დასველებული ბამბის დისკი მოათავსეთ. აი, ასეთი მატრივი ქმედებებით, ოჯახურ პირობებში ჩატარებული წესებით გვთავაზობენ სურდოს დამარცხებას ჩვენი ექიმები.

რა სიმბოლური დატვირთვა აქვს საღდგომო პასკას?

რა სიმბოლური დატვირთვა აქვს საღდგომო პასკას? – ამ კითხვას **დეკანოზი ზურაბ მჭედლიშვილი** პასუხობს:

– ებრაული პასექის დღესასწაულზე ხმიადებს, უსაფუარო პურებს აცხობდნენ. ეს ხმიადები იყო საიდუმლო სეროებაზეც. გარკვეული განსხვავება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებში, ჯერ კიდევ განხეთქილებამდე, ის იყო, რომ დასავლეთში უსაფუარო კვერის გამოყენების ტრადიცია შეინარჩუნეს (ებრაელებს აკრძალული ჰქონდათ მისი საფუარით მომზადება), აღმოსავლეთში კი გაფუებული კვერის გამოყენების ტრადიცია შემოვიდა. ის ეფუძნება მაცხოვრის მიერ მოყოლილ იგავს სასუფევლის შესახებ: სასუფეველი ჰგავს საფუარიან ცომს, რომლის მცირე ნაწილი ცომს აფუებს.

საფუარი მადლის სიმბოლოა – მადლით ხდება ქვეყანაზე ჭეშმარიტი

სარწმუნოების გავრცელება, მადლით ხდება ადამიანის მოპოვება სასუფევლისთვის და ცხონება. ამიტომ აღდგომის დღესასწაულზე ვამზადებთ საფუარიან პურს, რომელიც ტკბილი უნდა იყოს – „ტკბილ ხარ შენ, უფალო, და სიტკბოებითა შენითა მასწავე მე სიმართლენი შენნი“, იესო ტკბილის სულიერი სიტკბოება მიწიერშიც აისახება. ამავე დროს პასკა პურია. უფალი ამბობს: „მე ვარ პური ზეციით გადმოსული“. ვიცით, რომ საზიარებელი ღვინო და პური ღვთის მადლით იკურთხება და გარდაისახება უფლის სისხლად და ხორცად.

აღდგომის სიხარულთან ერთად პასკა ასევე ზეციური საზრდოს სიმბოლოა ჩვენი სულებისათვის.

„სასარგებლო რჩევები პასკის წარმატებულად გამოცხობისათვის“

პასკის უამრავი რეცეპტი არსებობს. ყველა თავისი რეცეპტით აცხობს და ყველას თავისი მოსწონს. ბუნებრივია! ვერავის შეედავები რომელი რეცეპტია უკეთესი. ფაქტი ერთია: ყველა რეცეპტს ერთი პრინციპი აქვს.არსებობს ისეთი დეტალები, რომლებსაც შეიძლება დამწყებმა კულინარებმა არ მიაქციონ თავიდან ყურადღება, თუმცა კი, გამოცდილი კულინარებისთვის ეს უკვე ისეთი ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ხშირად მათზე ხსენებაც არ არის რეცეპტებში. ამიტომ შევეცადე გამეზიარებინა ჩემი გამოცდილება დამწყებებისთვის, თუმცა კი, ალბათ, არც გამოცდილი კულინარები ჩათვლიან ზოგიერთ დეტალს უინტერესოდ.

ეს რჩევები შეგროვებული მაქვს ძველი, კარგად გამოცდილი რეცეპტებიდან. ასევე, მონასტრული ვიდეორეცეპტებიდანაც.

ბევრი რამ მე თვითონაც რამდენიმე წლის წინ ვისწავლე და, მინდა გითხრათ, რომ ჩემი პასკის ხარისხი ბევრად გაუმჯობესდა. სცადეთ, არ ინანებთ!

იხილეთ რეცეპტი:

ფორმები: ამჟამად იყიდება ქაღალდის ფორმები, რომლებიც არანაირ დამატებით მომზადებას აღარ საჭიროებს. იმას კი, ვისაც კონსერვის ქილები აქვს შემონახული, გამოსაცხობი ქაღალდი გამოადგება გვერდებზე ამოსაფენად. ამასთან, ეს ქაღალდი ფორმიდან 3-5 სმ სიმაღლეზე უნდა ამოდიოდეს. ვინაიდან კონსერვის ქილა თავად თხელი მეტალისაა, ამიტომ ძირი რომ არ დაიწვას, ცალკე მოვამზადებთ თხელ მუყაოს ან 4 ფენა ქაღალდს და შემდეგ გამოსაცხობ ქაღალდს.

ქიშმიში: გავასუფთავოთ, გავრეცხოთ. დავაწდოთ და შემდეგ ტილოზე გავაშროთ.

რძე: ის რაოდენობა რძე, რაც საფუარისთვის არის საჭირო, მხოლოდ უნდა შეთბეს, დანარჩენი კი, შეგვიძლია კარგად გავაცხელოთ.

სანელებლები: წინასწარ დაფქულ სანელებლებს, დავასხამთ ცხელ, ქაფქაფა რძეს. დავახურავთ თავზე და დავაცდით არომატების უკეთ გამოსვლას.

საფუარის გასინჯვა: საფუარი ხანდახან არ ამართლებს. ამიტომ, წინასწარ შეიძლება მისი ვარგისიანობის შემოწმება. გავხსნათ ცოტა (150 მლ) თბილ რძეში (არავითარ შემთხვევაში ცხელში). დავუმატოთ 1 ს.კ. შაქარი. მოვურიოთ და ცოტა ხანი დაველოდოთ. თუ კარგად ამოვა, მაშინ საფუარი კარგია და შეიძლება გამოვიყენოთ. თუ არა და ე.ი. არ ვარგა.

მასალა ზემოდან წასასმელად: კვერცხის გულს აუცილებლად უნდა დაემატოს ცოტა არაჟანი ან მაწონი ან ნაღები ან რძე. პასკას თავი უფრო უკეთ უწითლდება.

იხილეთ რეცეპტი:

ცომი:

1. გაცილებით უკეთესი გამოდის, თუ პროპორცია კვერცხის გულებსა და ცილებს შორის არის დაახლოებით 3:1. ანუ, 10 გულზე 3 ცილა სავსებით საკმარისია.

2. გულებს აუცილებლად უნდა დაემატოს მარილი. მარილი კვერცხის გულს უფრო ინტენსიურ ფერს აძლევს და პასკაც შესაბამისად უფრო ყვითელი გამოდის.

3. ყვითელი ფერი ასევე თავად კვერცხზეცაა დამოკიდებული: სოფლის კვერცხი უფრო ყვითელია.

4. თუ ცოტა ზაფრანის ფოთლებს მდუღარეს დავასხვამთ 1 დღით ადრე ან 1 კვირით ადრე სპირტს ან კონიაკს და თავდახურულს სიბნელეში შევინახავთ, ესეც დამატებითი „სტიმულია“ ფერისათვის.

5. ცომს ვზელთ იმდენ ხანს, სანამ ის არ დაიწყებს ხელიდან მოცილებას. ამას შეიძლება 1 საატამდე დასჭირდეს. ცომი მძიმეა და მისი ზელვა ძალიან შრომატევადი პროცესია! კარგია მამაკაცის დახმარება! ბოლოს, როცა ცომი ხელს აღარ ეკრობა, შეიძლება პატარა გუნდა მოვაწყვიტოთ და ორივე ხელით შევეცადოთ გავნელოთ ფურცელივით. თუ კარგად გაინელება, ე.ი. ცომი მზადაა.

6. შეცდომაა, თუ ვინმე იფიქრებს, რომ მძიმე ცომის ამოსვლას, დიდი რაოდენობის საფუარი უშველის. ზედმეტი საფუარი ცომს აშრობს!

7. ქიშმიშს ცომში დამატებამდე ჩავყრით პატარა ჯამში. დავუმატებთ 2-3 ს.კ. ფქვილს და კარგად ამოვსვრით მასში. ეს იმისთვის კეთდება, რომ ის კიდევ უფრო შეშრეს და კარგად მიეწებოს ცომს. ასე ქიშმიში აღარ „ჩაიძირება“ და მთელ სიმაღლეზე განაწილდება.

8. კარგია, თუ უკვე წინასწარ იცით, თუ ცომის რა მასას იტევს თქვენი ფორმები. ისე, კი ფორმის მხოლოდ 1/3 უნდა შეავსოთ. ერთი კონსერვის ქილა იტევს დაახლოებით 350-400 გრ ცომს.

9. სანამ ცომს ფორმაში ჩადებთ, მანამდე ცომი ოდნავ ხაჭაპურივით შეაბრტყელეთ. გვერდები ასევე ხაჭაპურივით მოუკარით და ზედაპირით ჩადეთ ძირს, ისე, რომ გლუვი ზედაპირი ზემოთ მოექცეს. პასკის თავი აუცილებლად თანაბრად მრგვალი და ღამაზი გამოვა.

10. პასკის ზედაპირს მაშინ გადავუსვამთ კვერცხის გულს, როცა ცომი ზომაში 2-ჯერ მოიმატებს. ადრევე რომ გადავუსვათ, ცომის ამოსვლის პროცესში გარკვეული ადგილები ხელმეორედ გახდება წასასმელი.

11. შევდგამთ წინასწარ გახურებულ ღუმელში 175-180 გრადუსზე. უმჯობესია ფორმები დავალაგოთ ცხაურზე და არა გამოსაცხობ ფირფიტაზე. ასე უფრო მეტი ფორმა ეტევა.

12. ფორმები არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეხებოდეს ერთმანეთს. მათ შორის აუცილებლად ჰაერი უნდა ტრიალებდეს, რომ გვერდებიც კარგად გამოცხვეს.

13. ღუმელში ძირზე უნდა დადოთ მოზრდილი ზომის თუჯის ტაფა, რომელიც ნახევარზე მეტად სავსე იქნება ცივი წყლით. წყალი დაიწყებს აორთქლებას და ცომი ამ პერიოდში კიდევ უფრო იმატებს ზომაში. თან პასკა სველი გამოდის. წყალი თავისით დაშრება. დაშრობის შემდეგ პასკა დაიწყებს შეწითლებას. როცა თავი მოუწითლდება, პასკა უკვე მზადაა. შეიძლება გრძელი ჩხირებით გასინჯვაც, მაგრამ საჭირო აღარც იქნება.

14. თუ პასკას ღუმელში ქვემოდან წყლიან ტაფას შეუდგამთ, მის გამოცხობას დასჭირდება დაახლოებით

კონსერვის ფორმებში (350-400 გრ) 1 სთ და 10 წთ

საშუალო ფორმებში (550-600 გრ) 1 სთ და 20 წთ

დიდ ფორმებში (1000 – 1100 გრ) 1 სთ და 30 წთ

სამი შეხვედრის გამარჯვებული

16-17 მარტს, ქ. თბილისში ჩატარდა კაკო ოქროპირიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ 2005-2006 წლებში დაბადებული აზერბაიჯანის, სასომხეთის და საქართველოს სპორტსმენები. ჩვენი რაიონიდან ამ ტურნირში მონაწილეობას იღებდა ჭიკანელი (გავაზის სპორტსკოლის გაზრდილი), 11 წლის მერაბ იოხმუსაშვილი (60 კგ. წონითი კატეგორია) და დაიკავა პირველი ადგილი. პატარა მერაბს შერკინება მოუხდა თბილისის კლუბ „ჯორჯიას“ წარმომადგენელთან კოროხაშვილთან (60 კგ. წონითი კატეგორია). მეორე შერკინება ჰქონდა სომხეთის წარმომადგენელთან, მესამე ფინალური შეხვედრა კი ხაშურის ძიუდოს სკოლის მოსწავლესთან დუშელაშვილთან (60 კგ. წონითი კატეგორია). სამივე შეხვედრას მერაბმა წარმატებით გაართვა თავი და დაიკავა პირველი ადგილი, დაიმსახურა ოქროს მედალი, დიპლომი და ფასიანი საჩუქარი. მერაბს კიდევ მოუწევს შემდგომში ჩატარებულ ამ სახის ღონისძებებზე მონაწილეობის მიღება და გვჯერა, რომ ის კვლავ წარმატებით გაართმევს თავს. ვუსურვოთ წარმატებები და წინსვლა პატარა აღსაზრდელს ჭიდაობა ძიუდოში. (მწვრთნელები თემურ იოხმუსაშვილი და ბეჟან კოტაშვილი).

დალი ტატულიშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86